პარტნიორი მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
2 თებერვალი **შაბათი** 2013
№026 (13 942) ფასი 80 თეთრი



ვაჟა დანელიას ფოტო

ლეგენდის სტუმარი

მიხეილ [illegible]

## გენმა და ტრადიციამ მიბიძგა

11

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისეთივე ტკბილი, როგორც ბელგიური შოკოლადი?

## ბორჯღალოსნები 2013 წელს დღეს დაიწყებენ

დღეს 18:00

## ბელგია-საქართველო

**მილტონ ჰეიგი (ქართველთა დამრიგებელი):**

- ტკბილი მატჩი არ გველის, მეტოქე შინ თამაშობს და მორაგბეები საკუთარი ოჯახებისა და ახლობლების წინაშე ეცდებიან გამარჯვებას. მათ ხომ ორი წელია, თამაში არ წაუგიათ. ფავორიტები მაინც ჩვენ ვართ, თუმცა ეს სტატუსი სტატუსადვე დარჩება, თუ მატჩისთვის კარგად არ მოვემზადებით, ბოლომდე არ დავიხარჯებით და, რაც მთავარია, მეტოქეს სათანადოდ არ შევაფასებთ.



## დიდი ძიუდო ბრუნდება

### ახალი სეზონი თბილისში იწყება

**ხვალ ოლიმპიურ ჩემპიონს ძიუდოდან გააცილებენ**

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა ევროპის ლია თასი იწყება, რომელშიც 25 ქვეყანა მონაწილეობს, თუმცა აქედან 5 - ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჰოლანდია, თურქეთი და სლოვენია მხოლოდ მსაჯთა დონეზეა წარმოდგენილი. ამდენად, მოჭიდავე 20 ქვეყანა დაგვრჩა: საქართველო, იაპონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ბელარუსი, ბულგარეთი, კანადა, ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ლიტვა, ლატვია, უკრაინა, საბერძნეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, რუმინეთი ისრაელი და სერბეთი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე



2008 წელი, პეკინი. დაუვიწყარი ჟესტის ავტორ ირაკლი ცირეკიძეს ხვალ ძიუდოდან გააცილებენ

## რომან რურუა: გათავისუფლება უკანონო იყო

### გამოსავალს ვეძებთ და ჯერ ვერ ვპოულობთ

10



ვაჟა დანელიას ფოტო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

U21

# ვიწყებთ ლუქსემბურგში, ვამთავრებთ ჰოლანდიაში



ალექსანდრე ჩივაძე

გუშინწინ ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა გაიმართა, რომელმაც საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად ჰოლანდია, შოტლანდია, სლოვაკეთი და ლუქსემბურგი არგუნა. ნიონში იმყოფებიან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრე ჩივაძე** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი **ნიკოლოზ ჩხეიძე**, რომლებმაც მეტოქე გუნდების წარმომადგენლებთან კალენდრის თაობაზე ითათბირეს და საბოლოოდ, ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს:

**25.03.2013**
შოტლანდია-ლუქსემბურგი

**11.06.2013**
ლუქსემბურგი-სლოვაკეთი

**5.09.2013**
ჰოლანდია-შოტლანდია
**ლუქსემბურგი-საქართველო**

**9.09.2013**
**სლოვაკეთი-საქართველო**
ლუქსემბურგი-ჰოლანდია

**10.10.2013**
**საქართველო-ჰოლანდია**
შოტლანდია-სლოვაკეთი

**14.10.2013**
სლოვაკეთი-ლუქსემბურგი
**საქართველო-შოტლანდია**

**14.11.2013**
სლოვაკეთი-ჰოლანდია
**შოტლანდია-საქართველო**

**18.11.2013**
**საქართველო-სლოვაკეთი**

**5.03.2014**
**საქართველო-ლუქსემბურგი**

**28.05.2014**
შოტლანდია-ჰოლანდია

**3.06.2014**
ჰოლანდია-ლუქსემბურგი

**4.09.2014**
სლოვაკეთი-შოტლანდია
**ჰოლანდია-საქართველო**

**8.09.2014**
ჰოლანდია-სლოვაკეთი
ლუქსემბურგი-შოტლანდია

*"ჩვენი გეგმა და გათვლები გვაქვს და ცხადია, ადვილად ვერ შევთანხმდებოდით. ვფიქრობ, მაქსიმალურად კარგ ვარიანტზე შევჯერდით. რაც შეეხება წილისყრას, შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ"*, - უთხრა ალექსანდრე ჩივაძემ სფფ-ის ვებგვერდს.

უახლოეს დღეებში ალექსანდრე ჩივაძე თბილისში პრესკონფერენციას გამართავს და ნაკრების სამომავლო გეგმებზე ამომწურავად ისაუბრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 19

# ცეცაძემ 19-წლამდელები პირველად შეკრიბა

## უცხოეთში რამდენიმე საინტერესო კანდიდატია

გუშინ 19-წლამდელთა ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **გია ცეცაძემ** გუნდი შეკრიბა. გუნდის სათავეში მისი მისვლის შემდეგ, ეს ამ ნაკრების პირველი საწვრთნელი შეკრებაა. ნაკრები სასტუმრო „ბატესტაში" დაბინავდება და ორჯერად ვარჯიშებს სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" გამართავს.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, პირველ საწვრთნელ შეკრებაზე ცეცაძემ 24 ფეხბურთელი გამოიძახა:

**გაბრიელ თებიძე, ზურაბ თევზაძე (ორივე - „ჩიხურა", საჩხერე), ოთარ კაკაბაძე, საბა ლობჟანიძე, გიორგი პაპუნაშვილი, ბუდუ ზივზივაძე, გია ნიკვაშვილი, ალექსანდრე კვარაცხელია (ყველა - „დინამო" თბილისი), ლევან გეგეჭკორი, პაპუნა ფონიავა, ცოტნე მონიავა (ყველა - „მერანი", მარტვილი), სანდრო წულუკიანი, სულხან კახიძე, გია ჩადუნელი (ყველა - „კოლხეთი", ფოთი), ალექსანდრე ადამია, გიორგი ერისთავი (ორივე - „გაგრა"), რეზო ქიტიაშვილი, შალვა ექვთიმიშვილი (ორივე - „მეტალურგი", რუსთავი), ნიკა სანდოხაძე („ტორპედო", ქუთაისი), დავით უბილავა („ვიტ ჯორჯია", თბილისი), ნიკოლოზ კვაჭანტირაძე (უკლუბო), რომან ტაკიძე („დინამო" ბათუმი), შოთა ბიწკინაშვილი (უკლუბო), ნიკოლოზ ქარელი („დილა", გორი).**

მოსამზადებელ გეგმებზე "ლელო" გია ცეცაძეს ელაპარაკა: *"შეკრება 6 თებერვლამდე გაგრძელდება და კანდიდატებს დავაკვირდებით. ცხადია, სასურველია, ასეთი შეკრებები ხშირად მოეწყოს, მაგრამ შეუძლებელია. ფეხბურთელები გუნდებში არიან და თუ უეფას კალენდარული დღე არ იქნება, ვერ მოვიწვევთ. ახლა ქართულმა კლუბებმა ანგარიში გაგვიწიეს და ხმა არ ამოუღიათ, მოთამაშეები ისე გამოუშვეს. თუმცა, არიან ფეხბურთელები, რომელთა შესაძლებლობებსაც კარგად ვიცნობთ და მათი გასინჯვა საჭიროდ არ ჩავთვალეთ: მაგალითად, ნიკა დიასამიძე თბილისის "დინამოში" ემზადება, ბაჩანა არაბული — გორის "დილაში", ფანცულაია, მარკოზაშვილი და გოგიჩაიშვილი – "ტორპედოში", ხოლო "ზესტაფონში" - სამუშია და ენდელაძე. პირიქით, კარგიც არის, ასეთი დონის კლუბებში კარგ მოსამზადებელ შეკრებაზე რომ იმყოფებიან. გვირჩევნია, რომ ახლა ის მოთამაშეები მოვიწვიოთ, რომლებიც სანახავი გვყავს. ვერ მოვიწვიეთ უცხოეთში დასაქმებული ფეხბურთელები: ჰუფნაგელი (გერმანია), ნარმანია (პოლონეთის "რუხი"), სარჯველაძე ("ერკულესი"ესპანეთი), ტარყაშვილი (ბელგიის "ანტვერპენი"). საინტერესო ფეხბურთელები კიდევ არიან და იმედია, მათზე სრულყოფილ ინფორმაციას მოვიპოვებთ".*



გია ცეცაძე

ცეცაძის თქმით, შეკრებაზე ნაკრები 3 თებერვალს ერთმანეთში ითამაშებს, 6-ში კი "გაგრას" დაუპირისპირდება, რადგან ამ დროისთვის ყველა სხვა გუნდი მოსამზადებლად მიემგზავრება.

19-წლამდელების მთავარი მწვრთნელი მორიგ შეკრებას 16 მარტს ისევ თბილისში გეგმავს, 21-26 მარტს გუნდი პოლონეთში ამ ქვეყნის თანატოლთა ნაკრებთან 2 საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. 16-22 აპრილს კი გუნდი პორტუგალიაში საერთაშორისო ტურნირზე მასპინძლებსა და სერბეთს დაუპირისპირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ქართველთა ოფიციალური და არაოფიციალური ამბები



ალექსანდრე იაშვილი

**ჰოლანდიის** მიმდინარე ჩემპიონატში "ვიტესმა" "აიაქსი" ორჯერ დაამარცხა და არნემული კლუბის გულშემატკივრებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ ეს შედეგი თასის გათამაშებაშიც განმეორდებოდა. თუმცა, ამჯერად გამარჯვება ამსტერდამელებს დარჩათ.

ეს გუნდები ერთმანეთს თასის მეოთხედფინალში გადაეყარნენ და "აიაქსმა" არნემში გამანადგურებელი სხვაობით, 4:0 მოიგო. "ვიტესის" შემადგენლობაში ორივე ქართველმა ითამაშა – გუნდის კაპიტანმა **გურამ კაშიამ** შეუცვლელად, ხოლო **ვაკო ყაზაიშვილი** მოედანზე მე-80 წუთზე შევიდა.

ამგვარად, "ვიტესი" ევროსაგზურისთვის ბრძოლას მხოლოდ ჩემპიონატში გააგრძელებს, სადაც დღეისთვის მეოთხე ადგილზეა, თუმცა არა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურის, არამედ ჩემპიონობის შანსსაც ინარჩუნებს.

გუშინ სამი მატჩით გერმანიის მეორე ბუნდესლიგა განახლდა და ითამაშა "ბოხუმმაც", რომლის ღირსებასაც ორი ქართველი იცავს. "ბოხუმი" სტუმრად "ალენს" დაუზავდა – 2:2. ქართველთა გუნდი შეხვედრის მსვლელობისას ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. **ალექსანდრე იაშვილი** თამაშში 23-ე წუთზე ჩაერთო, იმ დროისთვის ანგარიში გახსნილი არ იყო, ზუსტად 2 წუთში კი ქართველის პასით ანგარიში **ჟატკოვსკიმ** გახსნა. **ნიკოლოზ გელაშვილმა** მატჩს სათადარიგოთა სკამიდან მიადევნა თვალი.

სამარის "კრილია სოვეტოვი", რომელთანაც რამდენიმე დღის წინ კონტრაქტი **ალექსანდრე ამისულაშვილმა** გააფორმა, თურქულ შეკრებაზე პოლონურ "ზაგლებეს" შეხვდა და ფრედ, 1:1 ითამაშა. ამისულაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და ძირითადში გამწესებული ფეხბურთელების უმრავლესობის მსგავსად, შესვენებაზე შეცვალეს. ორივე გოლი მატჩის მეორე ტაიმში გავიდა.

უკრაინული "დნიპრო" ასევე შეკრებაზე გაეჯიბრა რუმინულ "კლუჟს" და 2:1 სძლია. **ჯაბა კანკავა** და **ალექსანდრე კობახიძე** ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. პირველი მათგანი 69-ე წუთზე შეცვალეს, მეორე კი – 62-ეზე. კობახიძის ანგარიშზე საგოლე გადაცემაა.

ყაზანის "რუბინში" დაბრუნებულმა **საბა კვირკველიამ** ბუქარესტის "რაპიდთან" გამართულ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა. საბა თამაშში მე-60 წუთზე ჩაერთო, "რაპიდმა" კი შეხვედრა 76-ე წუთზე გატანილი გოლით მოიგო.

რუსეთის პრემიერლიგის ბინადარ "მორდოვიაში" სინჯებს განაგრძობს **აკაკი ხუბუტია.** საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა გუშინ პოლონურ "კორონასთან" ტესტ-მატჩში მეორე ტაიმი ჩაატარა. "კორონამ" მე-40 წუთზე გატანილი გოლით 1:0 გაიმარჯვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# მარცხი ყარაბახთან, ესპანელის დებიუტი და გვატემალელი სინჯებზე

**ზესტაფონი-ყარაბახი 0:2**

0:1 ბლედა (50), 0:2 მუარემი (75)

ზესტაფონი: **მეშველიანი, თ. ღონღაძე, ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, გაგოშიძე, ბენაშვილი, გორგიაშვილი, იელიჩი, აფციაური, ბაბუნაშვილი, წინამძღვრიშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **შარიქაძე, კუტალია, ჭანკოტაძე, ლოპესი, ენდელაძე, ჭანტურიშვილი.**

ყარაბახი: **ვარვოდიჩი, იაგუბლუ, ჰუსეინოვი, ჰაშიმოვი, ხალილზადე, იუსუფოვი, ბილალი, ისგანდაროვი, აბდულოვი, მუსაზადე, ბლედა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ველიევი, გურბანოვი, სადიგოვი, ტელი, აგოლი, აჰმადოვი, ისმაილოვი, მუარემი, ალმეიდა, სუბაშიჩი.**



ჰენრი ლოპესი

**გუშინ** თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ზესტაფონმა" პირველი საკონტროლო მატჩი აზერბაიჯანულ "ყარაბახთან" გამართა და 0:2 დამარცხდა. ვიდრე უშუალოდ შეხვედრაზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ საქართველოს მოქმედი ჩემპიონის შემადგენლობაში ორმა ახალმა ლეგიონერმა ითამაშა – 31 წლის ესპანელი მცველის, **ორიოლ ლოსანო ფარანის** შესახებ "ლელოს" გუშინდელ ნომერში ვრცლად გიამბეთ, მეორე გასასინჯი ფეხბურთელი კი გვატემალის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი, 20 წლის **ჰენრი ლოპესი** გახლავთ.

"ზესტაფონის" ვებგვერდის ცნობით, პირველი ტაიმი ქართველების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ **კახა კაჭარავას** ფეხბურთელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტის გამოყენება ვერ შეძლეს. ყველაზე ახლოს მიზანთან **თორნიკე გორგიაშვილი** და ორიოლ ლოსანო იყვნენ.

მეორე ტაიმის დებიუტში "ყარაბახი" დაწინაურდა, რასაც კვლავ "ზესტაფონის" აქტიურობა მოჰყვა. ფეროელებმა კიდევ რამდენიმე საგოლე შანსი ვერ გამოიყენეს და დაუწერელი საფეხბურთო კანონი 75-ე წუთზე ამოქმედდა – აზერბაიჯანელები ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ.

84-ე წუთზე "ზესტაფონს" პრესტიჟის გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ **ავთო ენდელაძის** დარტყმა მეტოქის კარის ძელს მოხვდა.

"ზესტაფონს" გუშინ მცირე ტრავმების გამო **როინ კვასხვაძე, თედო და თორნიკე გრიგალაშვილი, გურამ სამუშია, მიხეილ სარდალიშვილი, დავით რაჟამაშვილი** და **მოჰამედ რეკრუკი** აკლდნენ, თუმცა არც ერთი მათგანის მდგომარეობა საგანგაშო არ არის და შემდეგი სპარინგისთვის, სავარაუდოდ, ყველა მწყობრში იქნება.

3 თებერვალს "ზესტაფონი" მორიგ საკონტროლო შეხვედრაში პოლონურ "რუხს" გაეჯიბრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზესტაფონი შეკრებაზე ყარაბახს შეხვდა

www.fczestafoni.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიონი

# ახალი დირექტორები და ძველი პრესატაშე

## ბურდული დაწინაურდა, სტურუა მიიწვიეს



ლადო ბურდული

**სულ რაღაც ორი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც ბოლნისის „სიონში“ ხელმძღვანელობა შეიცვალა. კლუბში გენერალურ დირექტორად დანიშნულმა მალხაზ მაღრაძემ ძველი კადრების ახლით ჩანაცვლება გადაწყვიტა.**

**სპორტული დირექტორის, ლადო ბურდულის კანდიდატურა ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა, მაგრამ არა — მაღრაძისთვის. როგორც შევიტყვეთ, კლუბში მიმდინარე მოვლენები ბოლნისის გამგეობაში განიხილეს და საბოლოოდ მაღრაძის გაშვება გადაწყვიტეს.**

**მის ნაცვლად "სიონის" გენერალურ დირექტორად სწორედ ბურდული გადაიყვანეს. ინფორმაცია საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ნახევარმცველმა თავად დაგვიდასტურა:**

- დიახ, ამ პოსტზე უკვე ოფიციალურად დამამტკიცეს.

**- მაღრაძე რატომ გაუშვეს?**

- ვერ გეტყვით, ეს გამგეობის გადაწყვეტილება იყო.

**- ახალ სპორტული დირექტორად ვინ დაინიშნა?**

- საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე ზვიად სტურუა. ის ბოლოს ასაკობრივი ნაკრებების მეკარეების მწვრთნელად იყო მიწვეული, წესიერი ადამიანია და მიხარია, რომ გვერდში დაგვიდგა.

**- ასევე შევიტყვეთ, რომ "სიონში" პრესატაშედ დარჩა ჯემალ ჭიპაშვილი, რომელიც ქართულ სპორტულ მედიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თუმცა, მისი დროებითი გაშვება გაუგებარი იყო.**

- მასთან კონტრაქტის გაწყვეტას ჩვენ არ ვაპირებდით, მაგრამ გაუგებრობა მოხდა, რაც ჩვენ მოვაგვარეთ და ის კვლავ ჩვენი პრესატაშე იქნება.

**- საინტერესო სატრანსფერო სიახლეები გქონიათ: ისრაელის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელი ჩამოგიყვანიათ.**

- დიახ, ისრაელის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი გალ საპირი დავიმატეთ.

**- საიდან სადაო?!**

- საპირი ისრაელშია დაბადებულ-გაზრდილი, მაგრამ ბოლოს ჰოლანდიის მეორე დივიზიონში თამაშობდა. იქაც იმიტომ გადავიდა, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიეღო.

**- "სიონში" როგორ მოხვდა?**

- ახლა ისრაელში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ გარკვეული ფორმალური პრობლემები შეექმნა. დრო რომ არ დაეკარგა, 4 თვით სხვაგან თამაში გადაწყვიტა და ამ დროს შევთავაზეთ "სიონში" გადმოსვლა, რაც მისთვის მისაღები წინადადება აღმოჩნდა. ჩვენთან თამაში ამიტომაც სურს, ისრაელის ახალგაზრდულ ნაკრებში ადგილი რომ შეინარჩუნოს. გეცოდინებათ, რომ 2013 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი სწორედ ისრაელში იმართება და მისი სურვილი გასაგებია, საკუთარი მაყურებლის წინაშე ევროპის ჩემპიონატზე თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა.

**- კიდევ ვინმე დაიმატეთ?**

- საპირის გარდა, ჩვენთან გამოცდილი ოლეგ გველესიანიც ვარჯიშობს. მიმაჩნია, რომ ფორმის აღდგენის შემთხვევაში, ის გუნდს წაადგება. "სიონშია" გიორგი ჩივაძე და პირველი ლიგის სტუ-ს ფეხბურთელი გიორგი ბიბილეიშვილი. დანარჩენი ტრანსფერების შესახებ კი ადრე უკვე გითხარით.

**- მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იური გაბისკირია გაუშვით?**



სიონის პრესატაშედ ისევ გამოცდილი ჯემალ ჭიპაშვილი იმუშავებს

- არა, რატომ, დარჩა და სელექციონერად იმუშავებს.

**- ანთალიურ შეკრებაზე ბოლოს სპარინგის მეტოქე გაარკვიეთ?**

- ჯერ არ დაგვიზუსტებია, რადგან რამდენიმე გუნდთან მოლაპარაკება გვაქვს. ერთ-ერთი ვარიანტი ნორვეგიულ კლუბთან თამაშია. ვნახოთ, ეს ამბავი ამლე გაირკვევა.

■ ■ ■

დავინტერესდით, ვინ არის **გალ საპირი** და აი, რა დავადგინეთ: ის არის რიშონ ლეზიონის "ჰაპოელის" გაზრდილი, სადაც საკმაოდ ბევრი შეხვედრა ჩაატარა. ჰოლანდიურ კლუბ "ტელსტარში" 2012 წლის ივნისში ჩაირიცხა. ნიდერლანდურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს "ვილემ II"-ში ისინჯებოდა, მაგრამ საბოლოოდ, კონტრაქტი ვერ გააფორმა.

■ ■ ■

რაც შეეხება ბოლნისელთა ახალ სპორტულ დირექტორს, 34 წლის **ზვიად სტურუას:** მას საკმაოდ კარგი კარიერა ჰქონდა, უთამაშია "სამტრედიაში", წყალტუბოს "სამგურალში", "ქუთაისის "ტორპედოში", თსუ-ში, "ვიტ ჯორჯიაში", თბილისის "ლოკომოტივსა" და "დინამოში", საჩხერეს "ჩიხურაში", ბათუმის "დინამოში", რუსთავის "ოლიმპში", ხოლო კარიერა 2009 წელს სწორედ ბოლნისის "სიონში" დაასრულა. 2005-2007 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატი და მის შემადგენლობაში 3 ოფიციალური თამაში აქვს ჩატარებული. სულ ორად-ორი მეკარეა საქართველოში, რომლებმაც 11-მატჩის განმავლობაში კარი უგოლოდ შეინახეს – ერთი ფედერაციის დღევანდელი ტექნიკური დირექტორი **ნიკა ჩხეიძეა**, მეორე კი "სიონის" დღევანდელი სპორტული დირექტორი.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სტურუამ კარიერა ნაადრევად, 31 წლის ასაკში დაასრულა და სამწვრთნელო საქმიანობის შესწავლა დაიწყო. აქვს შესაბამისი სერტიფიკატი და ასაკობრივ ნაკრებებშიც მუშაობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● დილა

# სკენდერს იქსტენსი შეცვლის



კასპარს იქსტენსი

გორის „დილა“ ხორვატმა მეკარემ **მარინ სკენდერმა** კი დატოვა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „დილას“ კარს ისევ უცხოელი დაიცავს - ლატვიელი **კასპარს იქსტენსი** უკვე „დილასთან“ ერთადაა თურქულ შეკრებაზე.

24 წლის კასპარსი ლატვიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე გახლდათ, იყო რიგის „სკონტოს“ წევრიც, ბოლოს „დაუგავპილსში“ გამოდიოდა.

თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კასპარსი „დილასთან“ მალევე გააფორმებს კონტრაქტს და სეზონის ბოლომდე დარჩება გორულ კლუბში. სეზონის დასრულების შემდეგ კი რა იქნება, ჯერ უცნობია - გორის „დილას“ დაფინანსების წყარო იქნება გასარკვევი.

იკსტენსის სიმაღლე 185 სანტიმენტრია, როგორც ამბობენ, საკმაოდ კარგი მონაცემების მქონე მეკარეა და იმედია, ისეთი ლეგიონერი გამოდგება, მართლა რომ გაამდიდრებს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს.

### პირველი ტესტი ავსტრიელებთან

თურქულ შეკრებაზე მყოფმა გორის "დილამ" პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა, ავსტრიულ "ვინერ ნოიშტადტთან" 1:1 ითამაშა.

"დილას" სასტარტო შემადგენლობა: **იკსტენსი, ალადაშვილი, კვახაძე, თომაშვილი, კვირკველია, გვალია, მაისურაძე, არზიანი, კახელიშვილი, ლეონარდო, ჟუნიორი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **შეყრილაძე, ჯიშკარიანი, თოთაძე, მოდებაძე, აბურჯანია, ილურიძე, გორელიშვილი და გოგინაშვილი.**

"დილა" 70-ე წუთზე დაწინაურდა **გიორგი ილურიძის** გოლით, ავსტრიელებმა კი ანგარიში 88-ე წუთზე გაათანაბრეს.

**დავით თავართქილაძე**

# 1000 კვირის წვრილმანი

დავით თავართქილაძე

## დარეტიანებული შმეიხელი




გერმანელთა მეკარე ტონი შუმახერისა და პატრიკ ბატისტონის შეჯახება

ფეხბურთში მთავარია შედეგი და გოლი, ოღონდაც ეს მაინც არითმეტიკასთან მიდის, ეს ისეთი რამეა, რაც დაითვლება.

ვერავინ დათვალა ზღვაში ქვიშა და ცაზე ვარსკვლავები - ფეხბურთშიც არის ისეთი რამეები, რაც დათვლას არ ექვემდებარება. არის ეპიზოდები, რითაც ფეხბურთელი სამუდამოდ დაგამახსოვრდება და აღარ აქცევ იმას ყურადღებას, რამდენჯერ მოიგო თასი, ჩემპიონობა და რამდენი გოლი გაიტანა.

არასდროს დამითვლია, რამდენი კეპი და გოლი აქვს მონაგრებული საფრანგეთის ნაკრებში **პატრიკ ბატისტონს**, მაგრამ იმას რა დამავაწყებს, თუ როგორ ჩაუმტვრია სახე მას **ტონი შუმახერმა** - ბატისტონი მაშინ სიკვდილს გადაურჩა. იმავე, 1982 წელს **მარკო ტარდელიმ** ფინალში გერმანიას რომ გაუტანა გოლი, ეს ისე ემოციურად აღნიშნა, რომ იქ გამოკვეთა საკუთარი სახე დიდ ფეხბურთში. ან იმას რა დამავიწყებს, ნიუკასლელმა **თემურ ქეცბაიამ** „ბოლტონს“ რომ შეუგდო ბურთი და მერე სარეკლამო ბანერს რომ ურტყამდა ფეხს...

ჩვენთან კი ხელახლა ალაპარაკდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე. ისე ჩანს, რომ ფედერაციის ამ გუნდის მთავარი ოპონენტი **მიხეილ**



პიტერ შმეიხელი



მიხეილ ყაველაშვილი

**ყაველაშვილი** იქნება და ალბათ წამოაყენებს კიდეც საკუთარ კანდიდატურას ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე თუ ვადიან არჩევნებზე.

და რატომ მაინცდამაინც ყაველაშვილი? შესაძლოა იმიტომ,. რომ ის წლობით გახლდათ ფეხბურთის ფედერაციის ბოლო ორი პრეზიდენტის ოპონენტი.

კრიტიკა და საჭირბოროტო თემებზე დისკუსია სწორედაც რომ საქმეა. იყო ასეთი პოლიტიკური სლოგანი: "საქმე ლაპარაკის ნაცვლად". სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე არ მომწონდა ეს ლოზუნგი, რადგან ლაპარაკი თავისთავად საქმეა, თუ სწორად ლაპარაკობ. პოლიტიკოსის ერთ-ერთი მთავარი საქმე კი სწორად, დახვეწილად, დამაჯერებლად ლაპარაკია. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებიც საქართველოში პოლიტიკურ ბატალიებს დაემსგავსა.

განსხვავებაც არის - პოლიტიკოსს ხმას მოსახლეობა აძლევს, ფედერაციის პრეზიდენტს კი ფედერაციის სუბიექტები. ამიტომაც, აქ მხოლოდ ლაპარაკი ვერ გაჭრის.

ეგრეთ წოდებული საბიუჯეტო კლუბები, კერძო კლუბები და რეგიონალური ფედერაციები - სუბიექტებს მეტწილად ესენი შეადგენენ. დღეს საბიუჯეტო კლუბები და რეგიონალური ფედერაციები დათრგუნულები არ იქნებიან და ალბათ არც ისეთი ზეწოლა იქნება მათზე, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ იყო. იმედია, კერძო სექტორმაც ამოისუნთქა დაძაბულობისგან და არჩევანის გაკეთების დროს, უწინდელზე მეტი თავისუფლება ექნება. მოკლედ, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება ახლა უფრო რთული იქნება, ვიდრე ადრე იყო და შესაბამისად, ლაპარაკის გარდა სხვა საქმეც იქნება კრიტერიუმი: ფეხბურთელობის გარდა რა გაგიკეთებია ქართული ფეხბურთისთვის.

ფედერაციის პრეზიდენტობა ჩინოვნიკობაა და როცა ამ თანამდებობას უმიზნებ, ჩინოვნიკური გამოცდილებაც უნდა იყოს საჭირო. სხვა კრიტერიუმიც არსებობს: რა თანხა გაქვს დახარჯული ქართულ ფეხბურთში. თუ ამ კუთხით მივუდგებით საკითხს, „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** 15 წელი ხარჯავს საკუთარ ფულს ამ საქმეში და რითი უნდა იყოს მასზე უკეთესი ყაველაშვილი ან ფედერაციის პრეზიდენტობის რომელიმე სხვა მსურველი?

ჩინოვნიკური გამოცდილება, დახარჯული ფული - რა არის ყაველაშვილის აქტივში?

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ყაველაშვილი თუ წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე, ეს აქტუალური და მოსალოდნელი უნდა იყოს - სიტუაცია სწორედ აქეთკენ მიდის, ეს ყველაფერი თითქოს მომწიფებულია.

ყაველაშვილს არაერთხელ მოუგია საქართველოს ჩემპიონობა, რუსეთის ჩემპიონიც გამხდარა და შვეიცარიისაც, ნაკრებშიც გამოუჩენია თავი, **ალესანდრო ნესტას** რომ თავზე გადაატარა ბურთი, ეგეც კარგად გვახსოვს და ისიც, პრემიერლიგის სადებიუტო მატჩში რომ გაიტანა გოლი, ოღონდაც ყველაზე უფრო მაინც დარეტიანებული **პეტერ შმეიხელი** მახსენდება - ყაველაშვილის ახლოდან დარტყმული ბურთი თავში რომ მოხვდა და მოსასულიერებელი შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# ვალდივიას უარყოფენ


ხორხე ვალდივია

ბოლო დროს გავრცელდა საკმაოდ დაუჯერებელი ინფორმაცია, რომ თბილისის "დინამო" მოლაპარაკებას აწარმოებს **ხორხე ვალდივიასთან** და რომ, თითქოს, დიდი შანსია, ჩილელი ნახევარმცველი მალე თბილისის „დინამოში" ჩაირიცხოსო.

ამ ფეხბურთელის ტრანსფერს "transfermarkt"-ი 1,5 მილიონ ევროდ აფასებს. ვალდივიას უთამაშია ისეთ პოპულარულ კლუბებში, როგორებიც არიან "კოლო-კოლო", "რაიო ვალეკანო" და "სერვეტი", 2010 წლიდან კი ბრაზილიურ "პალმეირასში" ირიცხებოდა და 65 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა. ჩილეს ეროვნულ ნაკრებში 51 თამაში აქვს ჩატარებული და მეტოქეთა კარი 4-ჯერ აილო.

ინფორმაციის თანახმად, ვალდივია თავისუფალი აგენტია და ცალსახად ვიტყვით, რომ ის თბილისის „დინამოსთვის" დიდი შენაძენი იქნებოდა, მაგრამ ჩილელი შემტევი ნახევარმცველით არგენტინის ერთ–ერთი საუკეთესო გუნდი „რივერ პლეიტია" დაინტერესებული და მისი ჩამოყვანა საკმაოდ დაუჯერებლად ჟღერდა.

ასევე მცირე ხნის წინ გავრცელდა ცნობა, "დინამო" თითქოს, პრაღის „სპარტას" სლოვაკი ფეხბურთელით, **პეტერ გრაიციარითაც** დაინტერესდა და ტრანსფერი რეალური იყო. ისიც ცენტრალური ნახევარმცველია და საყრდენის პოზიციაზეც თამაშობს.

დაუჯერებელი ის იყო, რომ 29 წლის გრაიციარს პრაღის „სპარტასთან" 2015 წლამდე გააჩნია კონტრაქტი, მისი სატრანსფერო თანხა კი 750.000 ევროს შეადგენდა – პირველი კითხვა, რაც მისი და ვალდივიას ტრანსფერის გამო იბადებოდა - სად მოიძიებდა "დინამო" მათი პირადი კონტრაქტების სახსრებს. ბოლო დროს ხომ კლუბის საკადრო პოლიტიკა ბევრად მოკრძალებულ ტრანსფერებზეა აწყობილი.

თუმცა, მთავარი მაინც სხვა არის. თბილისის "დინამოშიც" გვითხრეს, რომ ვალდივიასთან და გრაიციართან არანაირი მოლაპარაკება არ ჰქონიათ.

თუმცა, ამ ინფორმაციებიდან ერთი მაინც ცხადია, კლუბი ცენტრალური ნახევარმცველების პოზიციაზე მოთამაშეებს ეძებს. ეს კლუბის მთავარი მწვრთნელის, **დუშან უჰრინის** ადრინდელი ინტერვიუებიდანაც ცნობილი იყო. მაგრამ როგორც ჩანს, ახლა ძიება გაძლიერებულად მიმდინარეობს და ისიც არაა გამორიცხული, მათი კანდიდატურები "დინამოს" მართლაც შესთავაზეს.

შესაძლოა, ასე წელიწადში 100-მდე მოთამაშეს სთავაზობდნენ. მაგრამ ერთია შეთავაზება და მეორე, რეალობა, რომელსაც ქართული კლუბები ვერ გადაახტებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# რატომ წამოვიდა ბეგლარიშვილი კარპატიდან?

**ზაქარია ბეგლარიშვილი** ლვოვის "კარპატიდან" წამოვიდა. უკრაინული კლუბის მთავარი მწვრთნელი **ნიკოლაი კოსტოვი** 22 წლის ქართველით ესტონეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაინტერესდა. ტალინის "ფლორას" შემტევმა ნახევარმცველმა გასულ წელს "მეისტრიილიგაში" შედეგიანი თამაშით გამოიჩინა თავი - 28 მატჩში 17 გოლი გაიტანა და ჩემპიონატის ბომბარდირებში მესამე ადგილზე გავიდა.

ბეგლარიშვილით ლვოველები ჯერ კიდევ 2012 წლის ზაფხულში დაინტერესდნენ, რაც ქართველისთვის მისაღები ვარიანტი აღმოჩნდა. ისიც თავისუფალი აგენტი იყო და უკრაინაში გადასვლა გადაწყვიტა. ბეგლარიშვილი 13 იანვარს ლვოვის „კარპატს" თურქულ შეკრებაზე გაჰყვა.

მაგრამ 20 იანვარს უკრაინელები ანთალიაში უკვე მეორედ გაემგზავრნენ, ოღონდ, ბეგლარიშვილის გარეშე; ლვოველთა შემადგენლობაში მხოლოდ ორი ქართველი ფეხბურთელი იყო: ასევე ცენტრალური ნახევარმცველები, **ლევან ყენია** და **ბუბა დაუშვილი**.

უკრაინული მედიის ცნობა, თითქოს, ბეგლარიშვილი კოსტოვმა აღარ წაიყვანა, დაზუსტებას საჭიროებს. ჩვენი ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ბეგლარიშვილი თავისუფალი აგენტია, ტალინის "ფლორა" მასში საკომპენსაციო თანხას ითხოვს: ქართველი ნახევარმცველი 23 წლის არ გამხდარა, ასეთ დროს კი კომპენსაცია სავალდებულოა. მოკლედ, ზუსტად იგივე ვითარებაა, რაც დაუშვილის, "ზესტაფონისა" და "კარპატის" "სამკუთხედის" შემთხვევაში.

ლვოვის "კარპატი" ვალდებული იყო, ესტონელებისთვის საკომპენსაციო გადაეხადათ. მერე რა მოხდა, დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ტრანსფერი ამიტომაც ჩაიშალა. თავად ბეგლარიშვილმა არ ისურვა გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა და კლუბი საკუთარი სურვილით დატოვა.

ვფიქრობთ, ახლა საკმაოდ კარგი დრო არის, ბეგლარიშვილით წამყვანი ქართული კლუბები დაინტერესდნენ. მისი აყვანა რომ არავის აწყენდა, "ფლორაში" ზაქარიას შედეგიანობა და ესტონელების დამოკიდებულება მეტყველებს – მათ დღემდე არ სურთ ქართველის გაშვება და ახალ კონტრაქტს გაუმჯობესებული პირობებით სთავაზობენ.

ლვოვის "კარპატის" ეკუთვნის **სანდრო გურულის** ტრანსფერიც. საქართველოს ნაკრების შემტევ ნახევარმცველს გორის "დილასთან" იჯარის ვადა ამოეწურა და უკრაინაში დაბრუნდა, მაგრამ "კარპატის" შეკრებაზე ისიც არ გაჰყოლია.

**მერაბ მამულაშვილი**


ზაქარია ბეგლარიშვილი

ინტერვიუ ნოდარ ხიზანიშვილთან


ნოდარ ხიზანიშვილი

ალექსანდრე კოტრამაშვილის ფოტო

# თუ არ გეწყინება, იეროს დაგიძახებ

**ახლახან ნოდარ ხიზანიშვილს 60 წელი შეუსრულდა, 1981 წლის „დინამოს" ერთ-ერთ ფეხბურთელს, რომელმაც დიუსელდორფის ფინალის შემდეგ ტელეეკრანიდან დაუვიწყარი კოცნა გამოგვიგზავნა...**

**ნოდარ ხიზანიშვილი მცველი იყო და მისი ვაჟი ზურაც მამის კვალს გაჰყვა. შეიძლება ითქვას, რომ შვილს მამამისზე უკეთესი კარიერა ჰქონდა, თუმცა კატეგორიულები აქ ვერ ვიქნებით - ნოდარ ხიზანიშვილს ხომ თასების მფლობელთა თასი აქვს მოგებული...**

**ნოდარ ხიზანიშვილს გუშინ შევხვდი და არაერთი საფეხბურთო საკითხი მიმოვიხილეთ...**

**- ბატონო ნოდარ, ფეხბურთში აღარ ჩანხართ, რა არის ამის მიზეზი?**

- ფეხბურთში მართლა აღარ ვსაქმიანობ, საამისოდ ასაკიც არ მიწყობს ხელს და სიმართლე გითხრათ, სურვილიც არ მაქვს. ჩემი ერთი შვილი ფეხბურთელია, მეორე - მწვრთნელი და ფეხბურთში სულ ხიზანიშვილები ხომ არ ვიქნებით?!

**- ზურა ხიზანიშვილმა ისეთი რიხით დაიწყო ფეხბურთელის კარიერა, რომ მისგან ალბათ თქვენც გაცილებით იმაზე მეტს ელოდით, ვიდრე მან მიაღწია. როგორ ფიქრობთ, რამ შეუშალა ზურას ხელი?**

- მუხლის მძიმე ტრავმის გამო იტალიაში რომ გაიკეთა ოპერაცია, ამან ზურა უკან დახია. მართალია, ამ ოპერაციის შემდეგ ჩემმა შვილმა ჯერ „რეინჯერსში" ითამაშა, შემდეგ პრემიერლიგის „ბლექბერნში", მაგრამ მუხლი ქრონიკულად მაინც აწუხებდა, უხეშ გრუნტზე უსივდებოდა. საერთო ჯამში, ზურას ცუდი კარიერა ნამდვილად არ გამოუვიდა.

**- მახსოვს, ადრე მითხარით, ზურას, როგორც მცველის მთავარი კოზირი ის არის, რომ მეტოქის სვლების წაკითხვა შეუძლიაო. ამ სიტყვების შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ახლაც იმავე აზრის ხართ?**

- კი, ზურას მთავარი უპირატესობა ახლაც ეს არის. ამ ცოტა ხნის წინ თურქეთში ჩავაკითხე ჩემს შვილს. „ქაისერისფორს" ახლა რობერტ პროსინეჩკი წვრთნის და მანაც შეამჩნია ზურას ეს თვისება, ასე უთხრა, თუ არ გეწყინება, იეროს დაგიძახებ, ესპანელივით კარგად კითხულობ მეტოქის სვლებსო, ზურამაც უპასუხა, არ მეწყინებაო. მცველისთვის ეს მართლაც დიდი პლუსია, მურთაზ ხურცილავას ჰქონდა ეს გამორჩეული თვისება...

**- თქვენ თუ დარჩით კმაყოფილი საკუთარი კარიერით?**

- ზოგადად, ადამიანი ბოლომდე კმაყოფილი არასდროს არ არის, ვფიქრობ, მეტის გაკეთებაც შემეძლო. 1982 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ვახლდი არგენტინულ ტურნეზე, არგენტინის ნაკრებს რომ ვეთამაშებოდით, მწვრთნელებმა მეორე ტაიმში შეცვლაზე შემიშვეს, 1:1 იყო და ანგარიშის შენარჩუნება გვინდოდა. რა ნაკრები ჰყავდა მაშინ არგენტინას, ყველამ იცის, დიეგო მარადონამაც ითამაშა იმ შეხვედრაში. მეორე დღეს ერთ-ერთ იქაურ კლუბთან გვქონდა შეხვედრა, ვისაც წინა დღეს არ მოუწია მოედანზე გასვლა ან შეცვლაზე შევიდა, მათ უნდა ეთამაშათ. სამწუხაროდ, მე ვერ მოვახერხე მეორე დღეს თამაში, რადგან არგენტინის ნაკრებთან მატჩში დანიელ პასარელამ იდაყვი ნეკნებში ჩამარტყა და ტრავმა მივიღე. ვგრძნობდი, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები, ბესკოვი, ლობანოვსკი და ახალკაცი კარგი თვალით მიყურებდნენ, მაგრამ ტრავმამ შემიშალა ხელი.

**- დიუსელდორფიდან გამოგზავნილი კოცნა კი ქართველი გულშემატკივრის მეხსიერებიდან ალბათ არასდროს არ წაიშლება...**

- კარგი კოცნა გამომივიდა, სხვანაირად როგორ უნდა მიმელოცა ქართველი გულშემატკივრებისთვის ამხელა გამარჯვება? ეს კოცნა მილოცვის ერთადერთი შანსი იყო და მეც გამოვიყენე.

**- საქართველოს ნაკრების თემას გვერდს ვერ ავუვლით, მნიშვნელოვანი წარმატება არა და არ ჩანს - რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

- ყველა გუნდს აქვს პატარა წინსვლა, ჩვენი კი...გუნდთან ახლოს უნდა იყო, ანალიზი რომ გააკეთო. გარედან ვითარება ასეთი ჩანს - რასაც ჩვენები თამაშობენ, ამაზე მეტი არ შეუძლიათ. ვფიქრობ, რეალურად სხვაგვარად უნდა იყოს საქმე, შიგნით ღრმა კრიზისთან უნდა გვქონდეს საქმე.

**- რას გულისხმობთ?**

- თუ ნაკრების ფეხბურთელი ხალისით არ თამაშობს, გუნდს მნიშვნელოვანი წარმატება არ ექნება. გუნდში ასეთი ატმოსფეროს შექმნას ხელი მწვრთნელმა და ფეხბურთის ფედერაციამ უნდა შეუწყოს. ფინანსურ მხარესაც აქვს მნიშვნელობა, დღეს ხომ ფეხბურთი კიდევ უფრო კომერციულია. გასაგებია, რომ გიყვარს ფეხბურთი, მაგრამ ფინანსური მხარეც მნიშვნელოვანია. სანამ ქართულ ფეხბურთში დიდი ფული არ გამოჩნდება, წინსვლა არ იქნება. ფეხბურთში ფინანსების თავმოყრით აზერბაიჯანმაც გვაჯობა და სომხეთმაც...

**- ახლანდელ თბილისის „დინამოზე" რას გვეტყოდით?**

- „დინამო" ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ძალიან კარგია, „დინამოში" ბევრი სასიკეთო რაღაც რომ კეთდება. „დინამოში" ჩამოჰყავთ კარგი მწვრთნელი და ფეხბურთელები და არ ვიცი, რატომ ხდება ისე, რომ გუნდს მნიშვნელოვანი წარმატებები ჯერ არ აქვს, არადა, როგორც ვიცი, კლუბში ფინანსურად ყველაფერი გამართულადაა...

**- ახალი თაობის ქართველი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

- დიდი იმედი მქონდა ჯანო ანანიძის, მაგრამ თუ კლუბი არ გამოიცვალა, წინსვლა გაუჭირდება. დანამდვილებით ვიცი, რომ ანანიძით „მაჩესტერ სისტი" და ლონდონის „არსენალი" იყვნენ დაინტერესებულნი, სხვა ქვეყნის კლუბებიც ინტერესდნენ...

**დავით თავართქილაძე**

პირველი ლიგა

# გამოცდილი ახალწვეულები: თოდუა, კაკალაძე, დარჩიძე...

რამდენიმე დღეა, რაც ლანჩხუთის „გურია" ადგილზე შეიკრიბა და ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდი დატოვეს **გია თოდუამ**, **დათა რაფავამ**, **ალეკო ლალაძემ** და **ლევან იაშვილმა**. „გურიას" დაუბრუნდა **დავით მაისაშვილი**, რომელსაც ბოლნისის „სიონი" ეპატიჟებოდა. ასევე დაბრუნდნენ მცველი **ლაშა ჯანგიძე** (პირველ წრეში ამბროლაურის „რაჭაში" თამაშობდა) და ნახევარმცველი **ერეკლე კილაძე** ბათუმის „დინამოდან".

ასევე დაიმატეს მარცხენაფლანგელი **გიორგი სალარიძე** საჩხერის „ჩიხურადან". ლანჩხუთელები სამი გამოცდილი ფეხბურთელითაც გაძლიერდნენ: შუახაზელი **ვიტალი დარჩიძე** ბოლოს ქედის „ბეთლემში" გამოდიოდა, ფორვარდი **მიხეილ კაკალაძე**, რომელსაც თბილისის „დინამოსა" და უცხოურ კლუბებში აქვს ნათამაშები და სულ ბოლო ინფორმაციით, მოლაპარაკება წარმატებით დაასრულეს მცველ **სევასტი თოდუასთან.**

„გურია" 5 თებერვლიდან 2-კვირიან შეკრებას ურეკში გაივლის და სწორედ ამის შემდეგ დააკომპლექტებს **თემურ ლორია** გუნდის საბოლოო შემადგენლობას.

შეგახსენებთ, რომ ლანჩხუთელები პირველი ლიგის ა ზონას ლიდერობენ, მეორეზე მყოფ სასკოს 4 ქულით, ხოლო მთავარ კონკურენტ „გაგრას" 7 ქულით უსწრებენ.

**მამუკა ქანთარია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ლიგა 1. XXIII ტურის წინ.

# ელის იოლი გასეირნება [illegible]

| 1 თებერვალი | |
|---|---|
| ტულუზი-პსჟ | 0:4 |
| **2 თებერვალი** | |
| ლორიანი-რენი | 20:00 |
| სოშო-სტ. ეტიენი | 23:00 |
| ბორდო-ვალანსიენი | 23:00 |
| ლილი-ტრუა | 23:00 |
| ბასტია-ევიანი | 23:00 |
| ბრესტი-ნიცა | 23:00 |
| **3 თებერვალი** | |
| აიაჩო-ლიონი | 17:00 |
| მონპელიე-რეიმსი | 20:00 |
| მარსელი-ნანსი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 23 | 14 | 6 | 3 | 42-12 | 48 |
| 2. ლიონი | 22 | 13 | 6 | 3 | 37-18 | 45 |
| 3. მარსელი | 22 | 13 | 3 | 6 | 30-27 | 42 |
| 4. რენი | 22 | 11 | 3 | 8 | 33-28 | 36 |
| 5. ბორდო | 22 | 8 | 11 | 3 | 24-15 | 35 |
| 6. ნიცა | 22 | 9 | 8 | 5 | 33-27 | 35 |
| 7. სტ. ეტიენი | 22 | 9 | 7 | 6 | 30-16 | 34 |
| 8. ლორიანი | 22 | 9 | 7 | 6 | 36-35 | 34 |
| 9. მონპელიე | 22 | 9 | 5 | 8 | 35-27 | 32 |
| 10. ტულუზი | 23 | 8 | 7 | 8 | 30-28 | 31 |
| 11. ლილი | 22 | 7 | 9 | 6 | 26-23 | 30 |
| 12. ვალანსიენი | 22 | 8 | 6 | 8 | 32-32 | 30 |
| 13. ბასტია | 22 | 7 | 4 | 11 | 28-47 | 25 |
| 14. ბრესტი | 22 | 7 | 3 | 12 | 23-31 | 24 |
| 15. აიაჩო | 22 | 5 | 9 | 8 | 23-31 | 22 |
| 16. სოშო | 22 | 6 | 4 | 12 | 21-32 | 22 |
| 17. ევიანი | 22 | 5 | 6 | 11 | 23-35 | 21 |
| 18. რეიმსი | 22 | 4 | 8 | 10 | 18-24 | 20 |
| 19. ტრუა | 22 | 3 | 7 | 12 | 25-43 | 16 |
| 20. ნანსი | 22 | 2 | 9 | 11 | 20-38 | 15 |

**შენიშვნები:** „აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 20 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 9 – ალესანდრინი (რენი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი), ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია), ობამეიანი (სენტ ეტიენი).

**საფრანგეთის ჩემპიონატის 23-ე ტური გუშინ, ძალიან საინტერესო მატჩით დაიწყო: ტულუზში, ადგილობრივმა გუნდმა დევიდ ბექჰემით გაძლიერებულ „პარი სენ ჟერმენს" უმასპინძლა. ჩემპიონატის სხვა ორი ლიდერი კი ხვალ თამაშობს...**



ელი ბოპის გუნდი ვალდებულია, სამი ქულა აიღოს.

**რემი გარდის** „ლიონი" ამ ტურში „აიაჩოს" ხვდება, რომელიც იანვარში საკმაოდ მოძლიერდა. კორსიკელები საკუთარ მოედანზე გოლს პრაქტიკულად არ უშვებენ და ყველასთვის სერიოზულ მეტოქეს წარმოადგენენ. როგორც ვთქვით, „აიაჩო" საკმაოდ მოძლიერდა, რადგან გუნდმა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა. გუნდში მოვიდა **დენის ოლიეჩი**, რომელიც წლების განმავლობაში „ოსერის" ღირსებას იცავდა და ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. გარდა ამისა, კარიერას კორსიკაზე **მატიო შალმე** („ბორდომ" გაანათხოვრა) და ყოფილი მარსელელი, **როლანდ ზუბარი** (ბოლოს „ვულვერჰემპტონში" იყო) გააგრძელებენ. ასევე, გუნდს აფრიკის თასიდან **მეჰდი მოსტეფა** და **შაჰირ ბელგაზუანი** დაუბრუნდნენ, რომელთა ალჟირმაც ასპარეზობა უკვე დაასრულა.

„ლიონს" გასულ თვეში არავინ შეუძენია, სამაგიეროდ გუნდი ერთ-ერთმა ლიდერმა, **მიშელ ბასტოსმა** დატოვა, რომელიც 1,5-წლიანი იჯარით „შალკეში" გადავიდა. გუნდში დარჩა **ჯიმი ბრიანი**, მაგრამ მისი თამაში საეჭვოა, ისევე როგორც **ლისანდრო ლოპესის** ასპარეზობა, ვისაც მცირე ტრავმა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ „აიაჩოს" სტუმრად წაქცევა ძალიან რთულია, „ლიონს" ბოლო წლებში ამის გაკეთება არ უჭირს – ბოლო 5 მატჩიდან „ოლიმპიკმა" 3 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა, ბოლოს კი კორსიკაზე 1973 წელს, 4:3 წააგო.

„მარსელი" საკუთარ მოედანზე უპირობო აუტსაიდერ „ნიცას" შეხვდება და სამ ქულას პრობლემის გარეშე აიღებს. წინა ტურში, **ელი ბოპის** გუნდმა „რენს" ვერ მოუგო და ორ ლიდერს უკვე 3 ქულით ჩამორჩება, შესაბამისად, „ოლიმპიკს" ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს, მით უმეტეს „ნანსისთან", რომელიც ბოლო ადგილზეა და რომელსაც „მარსელმა" ბოლო 8 თამაში მოუგო. ბოლოს „ნანსიმ" პროვანსელებთან 2008 წელს იმარჯვა, როდესაც „ველოდრომზე" 3:0 მოიგო. მაშინ ეს გუნდი გაცილებით ძლიერი გახლდათ, ბოლოს და ბოლოს, იმ შეხვედრაში დუბლი **იუსუფ ჰაჯიმ** შეასრულა, ასეთი დონის ფეხბურთელი კი დღევანდელ „ნანსის" ნამდვილად არ ჰყავს.

ელი ბოპის გუნდმა, **ლოიკ რემის** თუ არ ჩავთვლით, ყველა წამყვანი ფეხბურთელი შეინარჩუნა. გარდა ამისა, „ოლიმპიკის" რიგებში **მოდუ სუგუ** და **ალექსის რომაო** (ლორიანიდან) ჩაირიცხნენ. სუგუმ გოლის გატანა უკვე მოასწრო – სენეგალელმა თავი „რუენთან", სათასო შეხვედრაში გამოიჩინა.

საინტერესო უნდა გამოდგეს „ლორიანის" და „რენის" დაპირისპირება. ბრეტონელები მეოთხე პოზიციაზე არიან და დიდი სამეულის მთავარ კონკურენტებად მოიაზრებიან. შესანიშნავ ფორმაშია **რომენ ალესანდრინი**, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო 10 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა, სულ კი მის ანგარიშზე 9 ბურთია. ასეთი კარგი ასპარეზობის გამო, 23 წლის ფეხბურთელი **დიდიე დეშამმა** ნაკრებშიც გამოიძახა. „რენმა", მოგეხსენებათ, **იან მვილა** დაკარგა, რომელიც ყაზანის „რუბინში" გადავიდა. მის შემცვლელად, **ფრედერიკ ანტონეტიმ ალუ დიარა** („ვესტ ჰემიდან") მიიყვანა, რომელიც „რენში" სეზონის ბოლომდე დარჩება.

„ლორიანმა" უკანასკნელ პერიოდში კი მოუკლო, მაგრამ შინ ეს გუნდი, ლიგის მასშტაბით, ერთ-ერთი საუკეთესოა, ამიტომ „რენს" ძალიან რთული მატჩი ელის, თუმცა თუ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკას გადავხედავთ, ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებაში საფუძვლიანი ეჭვი შეგვიძლია შევიტანოთ, რადგან ბოლო 6 მატჩიდან, რომელიც ლორიანში გაიმართა, მასპინძლებმა მხოლოდ 1 მოიგეს, 3-ჯერ კი გამარჯვება „რენს" დარჩა.

**იოან გუფრანის** წასვლით, გვარიანად დასუსტდა „ბორდო". მიუხედავად იმისა, რომ **გიომ ჟიო** მთელი იანვრის განმავლობაში, ფორვარდის შეძენის მნიშვნელობაზე საუბრობდა, სატრანსფერო ფანჯარა ისე დაიხურა, რომ ჟირონდელებმა არავინ იყიდეს. ახლა ჟიოს განკარგულებაში შემდეგი ფორვარდები არიან: **ანრი საივე** (6 გოლი), **დავიდ ბელიონი** (0 გოლი) და მალელი **შეიკ დიაბატე** (2 გოლი), რომელიც ჯერ კიდევ აფრიკის თასზეა და სამხრეთ აფრიკასთან სათამაშოდ ემზადება.

ამ ტურში „ბორდო" „ვალანსიენს" ხვდება, რომელიც ბოლო პერიოდში ცუდ ფორმაშია და სტუმრადაც ცუდად თამაშობს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად საუკეთესო ბომბარდირის დაკარგვისა (გუფრანმა 8 გოლი გაიტანა), ამ მატჩის ფავორიტი მაინც „ბორდოა".

თუ ტრანსფერებსა და დანაკლისზე მიდგა საქმე, ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, „ბრესტმა" იზარალა, რომელმაც საუკეთესო ბომბარდირი, **ედენ ბენ ბასატი**, „ტულუზს" 1 მილიონ ევროდ დაუთმო. ბენ ბასატი, ახალ გუნდში **იასიმ ბენ იედერს** შეეწყვილდება. გაამართლა თუ არა ამ დუეტმა პსჟ-სთან, თქვენ უკვე იცით, რაც შეეხება „ბრესტს" – ეს გუნდი, ამ ტურში „ნიცას" ხვდება, რომელმაც წინა შეხვედრა კი დათმო, მაგრამ მაინც კარგ პოზიციაზეა და ევროთასების საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს. რაც მთავარია, ჯანმრთელია **დარიო ცვიტანიჩი**, რომელიც 12 გოლით, **ბაფეტიმბი გომისთან** ერთად, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მთავარი მდევარია.

ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

## სამგზის გამარჯვებული და პრაქტიკულად დებიუტანტი

| ოლიმპია-დეფენსორი | 2:0 |
|---|---|

(პირველი მატჩი: 0:0)

**გოლები:** 1:0 ხ. ფერეირა (35), 2:0 არანდა (60).

| ვალიეხო-დეპორტეს ტოლიმა | 1:1 |
|---|---|

(პირველი მატჩი: 0:1)

**გოლები:** 1:0 რ. კინტეროსი (45), 1:1 მონსალვო (86).

დასრულდა კოპა ლიბერტადორესის საკვალიფიკაციო ეტაპი. გუშინ, პარაგვაის მრავალგზის ჩემპიონმა „ოლიმპიამ", საკუთარ მოედანზე ურუგვაულ „დეფენსორ სპორტინგს" უმასპინძლა და 2:0 მოუგო. მასპინძელთა მხრიდან გოლები არგენტინელმა **ხუან ფერეირამ** და **ედუარდო არანდამ** გაიტანეს.

მეორე შეხვედრა კი პერუში შედგა. „უნივერსიდად სესარ ვალიეხომ", რომელსაც პირველი მატჩი 0:1 ჰქონდა წაგებული, „დეპორტეს ტოლიმას" პირველი ტაიმი 1:0 მოუგო, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთებზე, კოლუმბიელმა **ჩარლეს მონსალვომ** წონასწორობა აღადგინა და საკუთარი გუნდი ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა.

„ოლიმპია", რომელიც პარაგვაის 39-გზის ჩემპიონია (რეკორდი) და ასევე ლიბერტადორესის თასის სამგზის (1979, 1990, 2002) გამარჯვებული გახლავთ, 2013 წლის გათამაშებაში მეშვიდე ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები „დეპორტივო ლარა" (ვენესუელა), „უნივერსიდად დე ჩილე" (ჩილე) და „ნიუელს ოლდ ბოისი" (არგენტინა) იქნებიან.

რაც შეეხება „დეპორტეს ტოლიმას" – ეს გუნდი ლიბერტადორესის თასზე სულ მეოთხედ მონაწილეობს და საკუთარი ქვეყნის ჩემპიონი სულ ერთხელ, 2002 წელს გახდა. კოლუმბიელები მე-6 ჯგუფში, „სანტა ფეს" (კოლუმბია), „სერო პორტენიოს" (პარაგვაი) და „რეალ გარკილასოს" (პერუ) კომპანიაში მოხვდნენ.

ტატო ბაციკაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის წინ

**1 თებერვალი**

ვერდერი-ჰანოვერი 2:0

**2 თებერვალი**

**შალკე-ფიურტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფიურშტნერი (ფიურტი)

**ტრავმა:** კ. პაპადოპულოსი, აფელაი, მორიტცი, მარიკა, ობასი - ნდოიე, ჰეფელე, პრიბი, ტირალა

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +0=1-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +1=0-0, (2:0)

**ვოლფსბურგი-აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჟოსუე - ბონსე (აფრიკის თასზეა), სიო

**ტრავმა:** ჰასანი, პილარი, ჰელმესი - იენტცში, ს. ლანგკამპი, რაინჰარდტი, ვერჰეგი, ოტლი, პეტრჟელა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 3 თამაში: +0=1-2, (1:4)

**ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი 18:30**

**ტრავმა:** გრალი, კრისი, შრიოკი, თესკერი, რუდი, სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი, ხოსელუ, შიპლოკი - მუიჯა, ფრაისი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=1-5 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 7 თამაში: +1=3-3, (8:11)

**მაინცი-ბაიერნი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** სალაი (მაინცი)

**ტრავმა:** ბუნგერტი, ჩუპო-მოტინგი - ბადშტუბერი, რაფინია, შაჩირი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +3=2-8, (18:34)

**ფორტუნა-შტუტგარტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბოკა (აფრიკის თასზეა),Lჰარნიკი (ორივე შტუტგარტი)

**ტრავმა:** ბრუნო სუარესი, ლანგენეკე, დუ-რიჩა, გარბუშევსკი, რაფაელი, ვორონინი - აუდელი, ბა, კაკაუ, ჰემლაინი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 41 თამაში: +13=10-18, (66:92)

**ჰამბურგი-აინტრახტი 21:30**

**ტრავმა:** მანსიენი, სალა - ამედიკი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 87 თამაში: +41=20-26, (155:106)

**3 თებერვალი**

**ნიურნბერგი-ბორუსია (მ) 18:30**

**ტრავმა:** შტეფანი, მარკოს ანტონიო, პლატენჰარდტი, ჰლუშეკი (ყველა „ნიურნბერგი“)

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +3=3-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 55 თამაში: +22=9-24, (69:80)

**ლევერკუზენი-ბორუსია (დ) 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბიტენკური (ბორუსია /დ/)

**ტრავმა:** ბელარაბი - ოვომოიელა, სუბოტიჩი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 67 თამაში: +24=19-24, (101:98)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 19 | 15 | 3 | 1 | 48-7 | 48 |
| 2. ლევერკუზენი | 19 | 11 | 4 | 4 | 36-23 | 37 |
| 3. ბორუსია (დ) | 19 | 10 | 6 | 3 | 43-20 | 36 |
| 4. აინტრახტი | 19 | 10 | 3 | 6 | 36-31 | 33 |
| 5. მაინცი | 19 | 9 | 3 | 7 | 27-21 | 30 |
| 6. შალკე | 19 | 8 | 5 | 6 | 32-29 | 29 |
| 7. ბორუსია (მ) | 19 | 7 | 8 | 4 | 27-27 | 29 |
| 8. ფრაიბურგი | 19 | 7 | 7 | 5 | 24-18 | 28 |
| 9. ჰამბურგი | 19 | 8 | 4 | 7 | 22-24 | 28 |
| 10. ჰანოვერი | 20 | 8 | 2 | 10 | 38-39 | 26 |
| 11. ვერდერი | 20 | 7 | 4 | 9 | 32-37 | 25 |
| 12. შტუტგარტი | 19 | 7 | 4 | 8 | 21-32 | 25 |
| 13. ვოლფსბურგი | 19 | 6 | 4 | 9 | 20-29 | 22 |
| 14. ფორტუნა | 19 | 5 | 6 | 8 | 23-27 | 21 |
| 15. ნიურნბერგი | 19 | 5 | 6 | 8 | 18-26 | 21 |
| 16. აუგსბურგი | 19 | 2 | 7 | 10 | 15-31 | 13 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 19 | 3 | 4 | 12 | 24-43 | 13 |
| 18. ფიურტი | 19 | 1 | 6 | 12 | 11-33 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 – კისლინგი (ლევერკუზენი); 12 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი), მაიერი (აინტრახტი); 11 – სალაი (მაინცი)

# ვინაა ბაიერნის რეალური მდევარი?

## ლევერკუზენი თუ დორტმუნდი? ამ კითხვას პასუხი ხვალ საღამოს უნდა გაეცეს

**გერმანიის ჩემპიონატის მე-20 ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ „ლევერკუზენისა“ და „დორტმუნდის“ ჯახია, რომელიც ხვალ „ბაი არენაზე“ გაიმართება - მეორე და მესამეადგილოსნებმა ერთმანეთში უნდა გაარკვიონ, რომელი იმსახურებს „ბაიერნის“ ნომერ პირველი მდევრის სტატუსს. ლევერკუზენელებმა ჩემპიონობაზე უკვე ხელი ჩაიქნიეს, დორტმუნდელები კი ჯერ არ ნებდებიან. ტური გუშინ „ვერდერისა“ და „ჰანოვერის“ მატჩით დაიწყო და დღეს და ხვალ, ცენტრალური მატჩის გარდა, კიდევ არაერთი საინტერესო თამაში გველის.**



ხვალ მათი დუელია: ლევერკუზენელ შტეფან კისლინგს (მარცხნივ) 13 გოლი აქვს გატანილი და ჯერჯერობით ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირია, დორტმუნდელი რობერტ ლევანდოვსკი 12 გოლით მეორე ადგილზეა

### ბიუსკენსი „სახლში ბრუნდება“

...მაგალითად, „შალკესა“ და „ფიურტის“ მატჩი, რომელიც იმითაა გამორჩეული, რომ ფიურტელთა თავკაცი **მაიკ ბიუსკენსი** „სულით ხორცამდე“ გელზენკირხენელია და „სახლში მტრის რანგში ბრუნება“. 44 წლის ბიუსკენსს აქტიური სპორტული კარიერის დროს „შალკეში“ 257 მატჩი აქვს ჩატარებული (13 გოლი) და ცხადია, რომ „აუფ შალკეზე“ მატჩის წინ თავისი გუნდისთვის უკეთეს მდგომარეობას ინატრებდა - მისი „ფიურტი“ ხომ ბოლო ადგილზეა და 17-მატჩიანი (!) მოუგებელი სერია აქვს. თუ ფიურტელები ასე გააგრძელებენ, შეიძლება, ბუნდესლიგის ლეგენდარულად სამარცხვინო კლუბის, ბერლინის „ტასმანიას“ ანტირეკორდი გააუმჯობესონ. ფაქტია ისიც, რომ „ფიურტში“ ბიუსკენსი უკვე აღარ არის ხელშეუხებელი ფიგურა - მიმომხილველები მის გათავისუფლებას უკვე წინასწარმეტყველებენ.

„შალკეში“ კი ამ დროს საკადრო საკითხები აწუხებთ. **ლუის ჰოლტბი** „ტოტენჰემში“ გადავიდა. სამაგიეროდ, გელზენკირხენელებმა „ლიონიდან“ **მიშელ ბასტოსი** დაიმატეს, რომელსაც დებიუტი დღესვე უნდა ჰქონდეს. „შალკეს“ რუმინელი თავდამსხმელი **ჩიპრიან მარიკა** დაუშავდა და რაკი **იენს კელერის** გუნდმა წინა ტურში ვერ მოიგო (0:0 „აუგსბურგთან“), „შალკე“ ვალდებულია, „ფიურტთან“ სამი ქულა აიღოს.

### აუგსბურგი ვოლფსბურგშიც იბრძოლებს

„ვოლფსბურგმა“ მეორე წრე კარგად დაიწყო, მაგრამ წინა ტურში ჰანოვერში 1:2 დამარცხდა და ევროზონას 7 ადგილითა და 8 ქულით ჩამორჩება. „აუგსბურგთან“ საშინაო მატჩში „მგლები“ ფავორიტებად კი მიიჩნევიან, მაგრამ თუ მწვრთნელმა **დიტერ ჰეკინგმა** რამე ახალი არ მოიფიქრა, ვოლფსბურგელები არ არიან დაზღვეულები, რომ ფეხბურთელებმა „აუგსბურგთანაც“ უპატიებელი შეცდომები დაუშვან. მაგალითად, ცენტრალური მცველები **ნალდო** და **სიმონ კიაერი** არაერთხელ შეცდნენ და დიდი შანსია, რომ დიტერმა ძირითად შემადგენლობაში **ალექსანდერ მადლუნგი** გაამწესოს, რომელსაც მეორე წრის ორი ტურის შემდეგ ორი გოლი აქვს გატანილი. „ვოლფების“ თავდამსხმელებს კი მეტი ეფექტურობა მართებთ - „ჰანოვერთან“ 7 რეალური საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს. აუგსბურგელები კი, ფაქტია, ვოლფსბურგშიც თავგამოდებით იბრძოლებენ. შეგახსენებთ, რომ **მარკუს ვაინცირლის** გუნდმა ბოლო ორ ტურში 4 ქულა აიღო და პირდაპირ მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებელ ზონას თავი დააღწია, რამაც მთელ გუნდს გადარჩენის იმედი ჩაუსახა.

### ჰოფენჰაიმს დე კამარგო უშველის?

„ჰოფენჰაიმი“ გაცილებით უარეს დღეშია. „სოფლელებმა“ ბოლო რვა მატჩიდან მხოლოდ ერთი არ წააგეს და ისიც ფრედ დაასრულეს, რის გამოც უკვე გასავარდნ ზონაში არიან. „ფრაიბურგთან“ თამაშის წინ „ჰოფენჰაიმის ბომბი“ ბოლოს და ბოლოს გასკდა და კლუბის ხელმძღვანელებმა მეკარე **ტიმ ვიზე** ძირითადი გუნდიდან მოკვეთეს. გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე იმდენ შეცდომას უშვებდა, რომ მისი თუნდაც განაცხადში დატოვება უკვე მართლაც ძალიან სარისკო გახლდათ. სამაგიეროდ, „ჰოფემ“ „ტოტენჰემიდან“ ასევე გამოცდილი კიპერი **ეურელიო გომეში** გადაიბირა. „ჰოფენჰაიმს“ ახალი თავდამსხმელიც ჰყავს: **იგორ დე კამარგო**, რომელსაც „გლადბახში“ მომავალი აღარ ჰქონდა. თუმცა დე კამარგოს „ფრაიბურგის“ კარში გოლის გატანა გაუჭირდება, რადგან ბრაისგაუელებს „ბაიერნის“ შემდეგ ყველაზე ცოტა, მხოლოდ 18 გოლი აქვთ გაშვებული. აქვე კიდევ ერთი რამ: თუ „ფრაიბურგი“ ამ მატჩს არ წააგებს, ზედიზედ მეშვიდე გასვლით შეხვედრაში არ დამარცხდება, რაც „ფრაისთვის“ ახალი რეკორდი იქნება.

### რეკორდმაისტერი მაინცში

„მაინცი“ კარგ ფორმაშია და საფეხბურთო გერმანიაში ამიტომაც გაჩნდა იმედი, რომ „ბაიერნმა“ მაინცში შეიძლება ვერ მოიგოს. **თომას ტუხელის** შეგირდებმა ფიურტში 3:0 გაიმარჯვეს და ჩინებულ ხასიათზეც არიან, მაგრამ მიუნხენურ გრანდთან მათ მთავარი დამრტყმელი ძალა, **ადამ სალაი** არ ეყოლებათ. „ჩვენთვის სალაის არყოფნა ნამდვილი კატასტროფაა,“ - ამბობს მაინცელთა მენეჯერი **კრისტიან ჰაიდელი**. საინტერესოა, ათამაშებენ თუ არა მაინცელები **იან კირხჰოფს** მომავალი კლუბის წინააღმდეგ - ეს უკანასკნელი ზაფხულში ხომ რეკორდმაისტერში მიდის.

„ბაიერნის“ თავკაცი **იუპ ჰაინკესი** ძირითად შემადგენლობას ალბათ ისევ არ შეცვლის, რადგან ბავარიელებმა მეორე წრის ორივე თამაში მოიგეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდასხმის ცენტრში კვლავ **მარიო მანჯუკიჩს** ვიხილავთ, დაცვაში კი, დანტეს ისევ **დანიელ ვან ბუიტენი** შეუწყვილდება, ხოლო **მარიო გომესსა** და **არიენ რობენს** ძველებურად სათადარიგოთა სკამის „ხეხვა“ მოუწევთ.

### ფორტუნას სულ სხვა ნელი

დიუსელდორფის „ფორტუნა“ სეზონის დასაწყისში კარგად გამოიყურებოდა - პირველ ხუთ შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა, 11 ქულა აიღო და ბუნდესლიგაში სენსაციის სუნი დააყენა. მეორე წრის დაწყების შემდეგ კი დიუსელდორფელები ცუდად თამაშობენ - ხუთი გოლი მიიღეს და ერთი ქულაც არ აუღიათ. შესაბამისად, „ფორტუნა“ გასავარდნ ზონას მიუახლოვდა და ქულები ჰაერივით სჭირდება. თუმცა ქულები სჭირდება მეტოქე „შტუტგარტსაც“, რადგან შვაბები ევროზონას უმიზნებენ და საუკეთესო ექვსეულამდე 4 ქულა აშორებთ.

### ჰამბურგელები ფრანკფურტელებს ემუქრებიან

ევროპალიგის საგზურია „ჰამბურგის“ მიზანიც და მეკარე **რენე ადლერი** ამბობს, თუ „აინტრახტსაც“ მოვუგებთ, ვიტყვით, რომ სწორ გზაზე ვდგავართო. როგორც ჩანს, „ვერდერთან“ ჩრდილოეთის დერბის მოგების შემდეგ ჰამბურგელები შემართულნი არიან და ეს ლოგიკურიცაა, რადგან მეექვსეადგილოსან „შალკეს“ მხოლოდ 1 ქულითღა ჩამორჩებიან. ამ ბრძოლაში „ჰამბურგისთვის“ „აინტრახტიც“ პრინციპული მეტოქეა, რადგან ფრანკფურტელები მე-4 ადგილზე იმყოფებიან. ფრანკფურტულ კლუბს ამიერიდან **სრდიან ლაკიჩიც** ეხმარება, რომელიც „აინტრახტმა“ „ვოლფსბურგიდან“ გადაიბირა.

### ნიურნბერგში განგაშის ზარებს შემოჰკრეს

„ნიურნბერგმა“ პირველი წრე კარგად ჩაატარა, მაგრამ ზამთრის შესვენებაზე მწვრთნელი დაკარგა (ჰეკინგი ვოლფსბურგში გადავიდა) და რაკი სეზონის მეორე ნახევარი არასახარბიელოდ დაიწყო და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა, ფრანკებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს. მართალია, „ნიურნბერგი“ მეთექვსმეტეადგილოსან „ნიურნბერგს“ 8 ქულით უსწრებს, რაც კომფორტული უპირატესობაა, მაგრამ ფრანკებს ტენდენცია აშინებთ და „გლადბახთან“ საშინაო დუელს სრული სერიოზულობით ეკიდებიან. იანვრის სატრანსფერო პერიოდის მიწურულს „ნიურნბერგმა“ იაპონელი **კანაზაკი** დაიმატა. მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ კი გაცილებით უკეთესი განწყობაა, რადგან **ლუსიენ ფავრის** გუნდს 9-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

### ლევერკუზენი თუ დორტმუნდი?

ტურის ტოპ-მატჩი კი, როგორც უკვე გითხარით, ლევერკუზენში გაიმართება, სადაც ხვალ საღამოს მეორე ადგილზე მყოფი „ბაიერი“ მესამეადგილოსან „დორტმუნდს“ მასპინძლობს - თანაც, „ბორუსია“ „ბაიერს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში იურგენ კლოპის გუნდი მეორე პოზიციაზე გადაინაცვლებს. ეს მატჩი იმითაცაა საინტერესო, რომ „ლევერკუზენსა“ და „დორტმუნდში“ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო გოლეადორები თამაშობენ - „ბაიერს“ **შტეფან კისლინგი** ჰყავს (13 გოლი), „ბორუსიას“ კი **რობერტ ლევანდოვსკი** (12). დორტმუნდელებმა მეორე წრის ორივე თამაში ბრწყინვალე ფეხბურთითა და ანგარიშებით (5:0 ბრემენში, 3:0 „ნიურნბერგთან“) მოიგეს და შესანიშნავ ფორმაში არიან.

### გერმანიის ნაკრები

## ლიოვმა ბუნდესგუნდი დარაზმა

### გომესი დაბრუნდა, კისლინგი მოიცდის

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა ბუნდესგუნდის შემადგენლობა გუშინ დაასახელა



ოთხშაბათს პარიზში ძალიან საინტერესო ამხანაგური მატჩი უნდა შედგეს: საფრანგეთის ნაკრები გერმანიას უმასპინძლებს. ფრანგების თავკაც **დიდიე დეშამის** განაცხადი გუშინდელ ნომერში გაგაცანით, დღეს კი გერმანიის ნაკრების შემადგენლობას გაეცნობით, რომელიც ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გუშინ დაასახელა. აღსანიშნავია, რომ იოგის სიურპრიზები არ შემოუთავაზებია.

სიახლეა ის, რომ გერმანიის ნაკრებში **მარიო გომესი** ბრუნდება, რომელიც გამოჯანმრთელების შემდეგ ბუნდესგუნდის ფორმას პირველად მოირგებს. ლიოვის თქმით, საფრანგეთთან გერმანიის ნაკრების კარს ჰამბურგელი **რენე ადლერი** დაიცავს, თუმცა იოგიმ იქვე დასძინა, ეს **მანუელ ნოიერის** დეგრადაციას არ ნიშნავს - პირველი ნომერი კვლავაც მანუა, ადლერმა კი, უბრალოდ, შანსის მიღება დაიმსახურაო.

ბუნდესგუნდში ისევ არაა გამოძახებული ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირი **შტეფან კისლინგი**, მაგრამ ლიოვმა აღნიშნა, მომდევნო მატჩისთვის (ყაზახეთთან) შტეფანს აუცილებლად გამოვიძახებო.

**მეკარეები:** რენე ადლერი (ჰამბურგი), მანუელ ნოიერი (ბაიერნი)

**მცველები:** ჟერომ ბოატენგი (ბაიერნი), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე), მატს ჰუმელსი (ბორუსია /დ/), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (არსენალი), მარსელ შმელცერი (ბორუსია /დ/), ჰაიკო ვესტერმანი (ჰამბურგი).

**ნახევარმცველები:** ლარს ბენდერი (ლევერკუზენი), იულიან დრაქსლერი (შალკე), მარიო გიოტცე, ილქაი გიუნდოგანი (ორივე ბორუსია /დ/), სამი ხედირა (რეალი), ტონი კროოსი, თომას მიულერი (ორივე ბაიერნი), მესუთ იოზილი (რეალი), ლუკას პოდოლსკი (არსენალი), მარკო როისი (ბორუსია /დ/), ანდრე შიურლე (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (ლაციო).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია. სერია A. XXIII ტურის წინ

### 1 თებერვალი

რომა-კალიარი 2:4

### 2 თებერვალი

**ტორინო-სამპდორია 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** ობიანგი (სამპდორია).
**ტრავმა:** ოგბონა, დიოპი (ტორინო).

**ბოლო 6 მატჩი**

+3=3-0 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 19 თამაში: +6=5-8, (17-22)

**ნაპოლი-კატანია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კამპანიარო, ბრიტოსი - ალვარესი, კასტრო.
**ტრავმა:** მაჯო - შაკა, ალმირონი.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 15 თამაში: +6=4-5, (15-15)

### 3 თებერვალი

**კიევო-იუვენტუსი 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ბონუჩი, ვუჩინიჩი, კიელინი (იუვენტუსი).
**ტრავმა:** სარდო, დრამე, ლუსიანო, პელისიერი - მარკიზიო, კიელინი, პეპე, ბენდტნერი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 19 თამაში: +1=6-12, (17-35)

**ფიორენტინა-პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** აკვილანი (ფიორენტინა).
**ტრავმა:** როსი, აგაცი - გალოპა, სანტაკროჩე.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 34 თამაში: +15=9-10, (49-39)

**ჯენოა-ლაციო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ანტონელი - ბიავა, დიასი.
**ტრავმა:** იანკოვიჩი, ვარგასი, ფლორო ფლორესი - ედერსონი, ერნანესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 15 თამაში: +4=3-8, (14-26)

**პალერმო-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მიკოლი, ფონ ბერგენი, არონიკა - ბრივიო.
**ტრავმა:** ერნანდესი, მანტოვანი - კაპელი, ბელინი, მარილუნგო, ლუკინი, ფერი.

**ბოლო 6 მატჩი**

+0=3-3 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 15 თამაში: +6=5-4, (17-14)

**პესკარა-ბოლონია 18.00**

**ტრავმა:** გაბიადინი, ნატალი (ბოლონია).

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 5 თამაში: +0=2-3, (3-6)

**სიენა-ინტერი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო, ტერცი (სიენა).
**ტრავმა:** პოცი - კასტელაცი, სამუელი, სტანკოვიჩი, მუდინგაი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=0-5 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +1=4-12, (15-32)

**მილანი-უდინეზე 23.45**

**ტრავმა:** დიდაკ ვილა, დე იონგი, ამბროზინი - ბრკიჩი, ბადუ.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 40 თამაში: +21=9-10, (78-44)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 22 | 15 | 4 | 3 | 46-15 | 49 |
| 2. ნაპოლი | 22 | 14 | 4 | 4 | 43-20 | 46 |
| 3. ლაციო | 22 | 13 | 4 | 5 | 31-21 | 43 |
| 4. ინტერი | 22 | 12 | 4 | 6 | 35-25 | 40 |
| 5. მილანი | 22 | 11 | 4 | 7 | 39-28 | 37 |
| 6. ფიორენტინა | 22 | 10 | 6 | 6 | 39-27 | 36 |
| 7. კატანია | 22 | 10 | 5 | 7 | 31-28 | 35 |
| 8. რომა | 23 | 10 | 4 | 9 | 49-42 | 34 |
| 9. უდინეზე | 22 | 8 | 9 | 5 | 33-31 | 33 |
| 10. პარმა | 22 | 8 | 7 | 7 | 30-29 | 31 |
| 11. კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 23-34 | 28 |
| 12. ტორინო | 22 | 6 | 10 | 6 | 27-26 | 27 |
| 13. სამპდორია | 22 | 7 | 4 | 11 | 28-29 | 24 |
| 14. კალიარი | 23 | 6 | 6 | 11 | 25-40 | 24 |
| 15. ატალანტა | 22 | 7 | 4 | 11 | 19-32 | 23 |
| 16. ბოლონია | 22 | 6 | 4 | 12 | 29-31 | 22 |
| 17. პესკარა | 22 | 6 | 2 | 14 | 17-45 | 20 |
| 18. ჯენოა | 22 | 4 | 6 | 12 | 22-34 | 18 |
| 19. პალერმო | 22 | 3 | 8 | 11 | 19-35 | 17 |
| 20. სიენა | 22 | 5 | 5 | 12 | 20-32 | 14 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 15 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), პაცინი (მილანი); 9 - ჯილარდინო (ბოლონია); 8 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), ერნანესი (ლაციო), ჰამშიკი (ნაპოლი).

# კალჩოს ბალოტელი უბრუნდება

## ტური ბევრი სიახლით



მარიო ბალოტელის „მილანის" ფორმაში მალე ვიხილავთ

**სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ, ეს პირველი ტურია და გუნდებსაც უკვე ის შემადგენლობა ჰყავთ, რომლითაც სეზონის ბოლომდე მოუწევთ ასპარეზობა. შესაბამისად, XXIII ტური განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არაერთ ფეხბურთელს ექნება დებიუტი ახალი გუნდის შემადგენლობაში...**

### მაცარი ტაქტიკას ცვლის

შაბათის შეხვედრებიდან განსაკუთრებულ ინტერესს „ნაპოლი"-"კატანია" იწვევს, რადგან **ვალტერ მაცარის** გუნდი სკუდეტოსთვის ბრძოლაშია ჩაბმული. ამასთან, კარგი ტემპი აკრიფა და ასევე ალმავლობის პროცესში მყოფ მეტოქესთან მოუწევს ჭიდილი. სამხრეთული ჯახი წესით ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს, რადგან, როგორც წესი, „ნაპოლის" უჭირს „კატანიასთან" გამკლავება და ეს სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს.

თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, ვალტერ მაცარი საყვარელ ტაქტიკაზე უარს იტყვის და გუნდს 4-3-1-2-ზე გადააწყობს. არადა, ნეაპოლელებს სწორედ დაცვაში უჭირთ, რადგან ერთბაშად ორი უკანახაზელი ჰყავთ დისკვალიფიცირებული: **უგო კამპანიარო** და **მიგელ ბრიტოსი**. მაცარი ცენტრში **ალესანდრო გამბერინი-პაოლო კანავაროს** ტანდემს გაამწესებს, ფლანგებზე კი სავარაუდოდ კოლუმბიელებს დაეყრდნობა - მარჯვნივ **კამილო ცუნიგას**, ხოლო მარცხნივ **პაბლო არმეროს**. საინტერესო ვარიანტია და ვნახოთ, როგორ გაირჯებიან მაცარის შეგირდები. **ედინსონ კავანი**, **გორან პანდევი** და **მარეკ ჰამშიკი** მწყობრში არიან, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

### კონტეს დაცვაში უჭირს

„ნაპოლის" მსგავსად, დაცვაში აქვს პრობლემები „იუვენტუსსაც", რომელსაც „კიევოსთან" უწევს გასვლითი პაექრობა. **ლეონარდო ბონუჩი** დისკვალიფიცირებულია, **ჯორჯო კიელინი** კი ერთდროულად დისკვალიფიცირებულიცაა და ტრავმაც აქვს. მოკლედ, **ანტონიო კონტეს** ძირითადი შემადგენლობის სამი მცველიდან ორი აკლია და შესაბამისად, ექსპერიმენტების ჩატარება უწევს. „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, **ანდრეა ბარცალისთან** ერთად, დაცვაში **ლუკა მარონე** და **მარტინ კასერესი** გაირჯებიან. საგულისხმოა, რომ ამ პირობებშიც კი თადარიგში რჩება **ფედერიკო პელუზო**, რომელიც სულ სხვა იმედებით გადაბარგდა ტურინში.

შეტევის წინა ხაზზე კონტე ალბათ **სებასტიან ჯოვინკოს** და **ალესანდრო მატრის** გაამწესებს, თუმცა განსაკუთრებულ ინტერესს თადარიგში მოაზრებული **ნიკოლას ანელკა** იწვევს. ვარაუდობენ, რომ ფრანგი მეორე ნახევარში ჩაერთვება თამაშში.

ბოლო თამაშები „იუვემ" არცთუ მაღალ დონეზე ჩაატარა და შედეგად, იტალიის თასის გათამაშებას გამოეთიშა. კვლავაც აქტუალურია „ვეკია სენიორას" კრიზისის ამბავი და ვნახოთ, გააქარწყლებენ, თუ პირიქით, გაამყარებენ ტურინელები ამ მოსაზრებას.

### კლოზე-ფლოკარის ტანდემი?

ლიდერთა სამეულში მყოფი :ლაციო" „ჯენოას" ესტუმრება, გუნდს, რომელიც სატრანსფერო პერიოდში გვარიანად გაძლიერდა. ერთ-ერთი ახალწვეული **მატია კასანი** ლიგურიელებს სასტარტო შემადგენლობაში ეყოლებათ, რომელმაც გულშემატკივრებს პირობა მისცა: „ჯენოა" აუცილებლად შეინარჩუნებს ადგილს ელიტაშიო. დიახ, გენუელები სერია A-ში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან და „ლაციოსთან" მატჩის წინ, ხმაურიან განცხადებებს აკეთებენ.

რომაელთა მთავარი მწვრთნელის, **ვლადიმირ პეტკოვიჩის** თქმით, სათასო ბატალიის შემდეგ, მისი გუნდი ოდნავ გადაღლილია, რაც შეშფოთების საბაბია. ამიტომ, დიდია შანსი, მწვრთნელმა ისევ როტაციას მიმართოს და შემადგენლობა გადაახალისოს. იტალიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, პეტკოვიჩმა შესაძლოა სქემა შეცვალოს და 4-5-1-დან 4-4-2-ზე გადავიდეს. ამის მიზეზი **სერჯო ფლოკარის** ათამაშებაა, რომელიც თავისუფლად შეიძლება **მიროსლავ კლოზეს** შეუწყვილდეს. მით უმეტეს, **ერნანესია** დაშავებული და რომაელებს შუა ხაზში დეფიციტი აქვთ. კლოზე-ფლოკარის ტანდემი საინტერესო სანახავი იქნება და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რომაელთა თავკაცი.

### ბალოტელის დებიუტი

„ინტერი" „სიენას" ესტუმრება, „მილანი" კი „უდინეზეს" მიიღებს. მილანური გრანდები ფავორიტებად ითვლებიან, მაგრამ სერია A-ში რომ იოლად ვერაფერს დაგეგმავ, ფაქტია. მით უმეტეს, არც „როსონერის" უდგას საუკეთესო დროება და არც „ნერაძურის". თუ „გაძეტას" ვენდობით, **ანდრეა სტრამაჩონი** ახალწვეულების თამაშისგან თავს შეიკავებს, რადგან **კუზმანოვიჩი**, **კოვაჩიჩი** და **სკელოტო** განაცხადშიც კი არ მოიაზრებიან. სამაგიეროდ, „სან სიროზე" გველოდება ერთი სიახლე და თანაც როგორი, „მილანში" **მარიო ბალოტელი** ითამაშებს. ყველა სპორტული გაზეთის ვერსიით, სუპერ-მარიო ძირითად შემადგენლობაშია და ალბათ, ასეც იქნება. ბალო ცენტრფორვარდი იქნება, ფლანგებიდან კი მას **მბიაე ნიანგი** და **სტეფან ელ შაარავი** დაეხმარებიან. ახალგაზრდა და მეტად პერსპექტიული ტრიოა - ვერაფერს იტყვი...

**ლაშა ნიკლაური**

## რასიზმი

# დანი ალვეში: ესპანეთი რასიზმთან ბრძოლას აგებს!



დანი ალვეში

„ბარსელონას" ბრაზილიელი მცველი **დანი ალვეში** მიიჩნევს, რომ ესპანეთში რასიზმი შემაშფოთებლად იკრებს ძალას. ეს კომენტარი მან კლასიკოს მეორე დღეს გააკეთა პრესასთან.

*„რასისტული შეძახილები ხშირია „სანტიაგო ბერნაბეუზე", მაგრამ მარტო მანდ არა, სხვა სტადიონებზეც კი, შეიძლება უფრო შემაშფოთებელ ფორმებში. რა თქმა უნდა, ესპანეთში ებრძვიან ამ ცუდ მოვლენას, მაგრამ, ჩემი აზრით, ქვეყანა ამ ბრძოლას აგებს პირწმინდად. უკვე ათი წელია ესპანეთში ვარ და რასიზმს ყოველ ნაბიჯზე ვაწყდები. საჭიროა უფრო ქმედითი ზომები და არა კლუბების სასაცილო თანხით, 1-2 ათასი ევროთი დაჯარიმება. ელიტის კლუბებისთვის ეს თანხა არაფერია, ყურადღებასაც არ აქცევენ ასეთ ჯარიმებს. აი, ნახეთ, რა კარგად ებრძვიან რასიზმს ინგლისში".*

ალვეშმა კლასიკოს მსაჯი იმიტომაც შერისხა, რომ **კრიშტიანო რონალდოს** ყვითელი ბარათი არ მისცა - აღნიშნა, მსაჯს რონალდოსი ეშინიაო.

დანის გამონათქვამებზე კომენტარი „რეალის" ლეგენდა **მანოლო სანჩისმა** გააკეთა: *„რა თქმა უნდა, დანი ალვეში ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. მაგრამ მოედანს მიღმა მას კულტურა და ეთიკა აკლია, მე არ მომწონს მისი გამონათქვამები".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ტრანსფერები

# ფანჯრის დახურვამდე

## ბოლო საათების ამბები

სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და გუნდებმაც ფორმირება დაასრულეს. ყველაზე ხმაურიანი ამბავი უდავოდ **მარიო ბალოტელის** „მილანში" გადაბარგებაა, თუმცა ამ თემაზე შეჩერებას აღარ ვაპირებთ. 31 დეკემბრის ბოლო საათებში რამდენიმე საინტერესო ამბავი მოხდა და სწორედ ამაზე გავამახვილებთ ყურადღებას...

„ინტერმა" სანადელი აისრულა და 23 წლის ნახევარმცველი **ესეკილ სკელოტო** გადაიბირა - არგენტინული წარმოშობის კიდევ ერთი იტალიელი, რომელმაც ბერგამოს „ატალანტაში" ასპარეზობით გაითქვა სახელი და „სკუადრა აძურას" კანდიდატად ითვლება. სკელოტომ მოკლე კომენტარი გააკეთა:

*„მილანიდან შეთავაზება მივიღე, რომელზეც უარს, უბრალოდ, ვერ ვიტყოდი. „ინტერი" მსოფლიო ფეხბურთის გრანდია და ამ გუნდში თამაში ჩემთვის კარიერის სრულიად ახალი ეტაპია. ვფიქრობ, მომდევნო სეზონში „ნერაძურისთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებ".*

სკელოტო „ინტერში" ითამაშებს, სამაგიეროდ, „ატალანტაში" **მარკო ლივაია** გაირჯება. 19 წლის ხორვატი ფორვარდი „ნერაძურის' სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და უფრო დაბალი დონის გუნდში გადასვლა მისთვისაც მისწრება უნდა იყოს.

სიახლე მეორე მილანური გრანდიდანაც გვაქვს - ზედ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, „როსონერი" **ურბი ემანუელსონმა** დატოვა და იჯარის წესით ინგლისურ „ფულჰემში" გადაბარგდა. 26 წლის შემტევი ნახევარმცველი „მილანს" ვერაფრით მოერგო და დიდია შანსი, ზაფხულში ინგლისურ გუნდთან სრულფასოვანი ხელშეკრულება გააფორმოს.

„ფულჰემში" უნდოდა გადასვლა „რომას" კიპერ **მარტინ სტეკელენბურგსაც**, მაგრამ სანადელი ვერ აისრულა. „ჯალოროსის" მესვეურებმა 30 წლის მეკარის გასხვისებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. მარტინმა კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მისი სურვილი სწორედ ინგლისში გადაბარგება იყო. ეს კიდევ ერთი უკმაყოფილების მესიჯია, რომელიც ჰოლანდიელმა **ზდენეკ ზემანს** გაუგზავნა.

საინტერესო სიახლე აქვთ ფლორენციაში, სადაც 28 წლის ნახევარმცველი **მომო სისოკო** გადაბარგდა. ფრანგი შუახაზელი ბოლო ორი წელი პსჟ-ში ასპარეზობდა, იქამდე კი „იუვენტუსის" ღირსებას იცავდა. „ვიოლას" ნახევარდაცვაში ისედაც არ უჭირდა და სისოკოს ტრანსფერით კიდევ უფრო გაძლიერდა. ხელშეკრულება საიჯარო იქნება და როგორც ასეთ დროს ხდება, ტოსკანელები გამოსყიდვის უფლებას იტოვებენ.

**ლაშა ნიკლაური**



ერთი „ნერაძურიდან" მეორეში

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტურის წინ

**2 თებერვალი**

**ქუინზ პარკი–ნორვიჩი 16:45**

ტრავმა: ბოსინგვა, სამბა, ჯონსონი - რადი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 | +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 55 თამაში: +15=17-23 (69-74)

**არსენალი–სტოკი 19:00**

ტრავმა: - უილსონი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 | +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 85 თამაში: +42=20-23 (131-81)

**ევერტონი–ასტონ ვილა 19:00**

ტრავმა: ჰიბერტი, კოულმენი – ოლბრაიტონი, ჰერდი, დანი, გარდნერი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 | +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 170 თამაში: +58=48-64 (246-260)

**ნიუკასლი–ჩელსი 19:00**

ტრავმა: ბენ არფა, რ. თეილორი, ვუკჩიჩი – ჩეხი, ლუისი, რომეუ

დისკვალიფიკაცია: - აზარი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 128 თამაში: +42=34-52 (163-184)

**რედინგი–სანდერლენდი 19:00**

ტრავმა: რობერტსი, მაკარტი - ბრაუნი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +5=2-6 (15-20)

**ვესტ ჰემი–სუონსი 19:00**

ტრავმა: პოტსი, მაკარტნი, კოლინსი, რიდი – აგუსტინი, ტეილორი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 | +2=4-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 5 თამაში: +3=1-1 (10-7)

**უიგანი–საუთჰემპტონი 19:00**

ტრავმა: პოლიტი, რამისი, კრუსატი, პისკუ, უოტსონი, მიაიჩი – გული, ფონტე

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 | +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 24 თამაში: +5=5-14 (27-45)

**ფულჰემი–იუნაიტედი 21:30**

ტრავმა: რიჩარდსონი, ფრეი, დევისი, მ. დიარა, ბერბატოვი – ფლეტჩერი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 | +5=1-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 49 თამაში: +7=10-32 (55-117)

**3 თებერვალი**

**ვესტ ბრომვიჩი–ტოტენჰემი 17:30**

ტრავმა: გერა – ჰადლსტოუნი, კაბული, სანდრო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 | +3=3-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 105 თამაში: +40=24-41 (157-156)

**სიტი–ლივერპული 20:00**

ტრავმა: კომპანი, მაიკონი, რიჩარდსი – კელი, ფლენაგანი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1. | +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 147 თამაში: +39=39-69 (196-253)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 24 | 19 | 2 | 3 | 59-31 | 59 |
| 2. სიტი | 24 | 15 | 7 | 2 | 45-19 | 52 |
| 3. ჩელსი | 24 | 13 | 7 | 4 | 49-24 | 46 |
| 4. ტოტენჰემი | 24 | 12 | 6 | 6 | 41-29 | 42 |
| 5. ევერტონი | 24 | 10 | 11 | 3 | 37-27 | 41 |
| 6. არსენალი | 24 | 10 | 8 | 6 | 48-29 | 38 |
| 7. ლივერპული | 24 | 9 | 8 | 7 | 42-30 | 35 |
| 8. სუონსი | 24 | 8 | 10 | 6 | 34-27 | 34 |
| 9. ვესტ ბრომვიჩი | 24 | 10 | 4 | 10 | 34-34 | 34 |
| 10. სტოკ სიტი | 24 | 6 | 12 | 6 | 24-29 | 30 |
| 11. სანდერლენდი | 24 | 7 | 8 | 9 | 27-31 | 29 |
| 12. ფულჰემი | 24 | 7 | 7 | 10 | 36-41 | 28 |
| 13. ვესტ ჰემი | 24 | 7 | 6 | 11 | 27-36 | 27 |
| 14. ნორვიჩი | 24 | 6 | 9 | 9 | 25-40 | 27 |
| 15. ნიუკასლი | 24 | 6 | 6 | 12 | 30-42 | 24 |
| 16. საუთჰემპტონი | 24 | 5 | 8 | 11 | 31-42 | 23 |
| 17. რედინგი | 24 | 4 | 8 | 12 | 30-45 | 20 |
| 18. უიგანი | 24 | 5 | 5 | 14 | 27-45 | 20 |
| 19. ასტონ ვილა | 24 | 4 | 8 | 12 | 20-46 | 20 |
| 20. ქუინზ პარკი | 24 | 2 | 10 | 12 | 18-37 | 16 |

**ბომბარდირები:** 18 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი)

# დამსახურებული ვეტერანები გუდისონ პარკზე

45 დღის ინტერვალით ჩემპიონატის ორი ტურის გამართვა ყოველთვის რთულია. თანაც სათასო თამაშების მიყოლებით. დღეს და ხვალ ინგლისურ კლუბებს ძალების მობილიზება უწევთ. გასათვალისწინებელია, რომ მალე ევროთასებიც განახლდება და ლიდერებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ. თუმცა ეს პრემიერლიგაა და მსგავსი დაძაბული რეჟიმისთვის მეტ-ნაკლებად ყველა მზადაა. მაშ ასე:



დღეს შოტლანდიელი სპეციალისტები დევიდ მოიესი და პოლ ლამბერტი ინგლისის უმაღლეს ლიგაში ჭიპმოჭრილ გუნდებს ერთმანეთის წინააღმდეგ გამოიყვანენ

XXV ტური „ქუინზ პარკის" „ლოფტუს როუდზე" „ნორვიჩის" სტუმრობით გაიხსნება. წესით, მასპინძლებმა იანვარში უნდა მოუმატონ, რადგან ფეხბურთელები **ჰარი რედნაპის** სტილს უკვე შეეჩვივნენ. რაც მთავარია, გუნდს თავდასხმაში **ლოიკ რემის** გარდა ახლადგამოჯანმრთელებული **ბობი ზამორაც** ჰყავს, დაცვაში კი „რეინჯერებს" **კრისტოფერ სამბა** შეეშველება. ოღონდ უკანასკნელმა შესაძლოა მცირე ტრავმის გამო „იადონებთან" ვერ ითამაშოს. რედნაპის შეგირდებს ჩემპიონატის 4 თამაში არ წაუგიათ. თანაც ვისთან? „ჩელსისთან", „ტოტენჰემსა" და „მანჩესტერ სიტისთან" მათ 5 ქულა აიღეს. „ნორვიჩს" კი ბოლო 7 თამაშში 2 ქულა აქვს. გვგონია, რომ „რეინჯერებს" მოგების შესანიშნავი შანსი აქვთ.

„არსენალს" იანვარში ძალიან გაუჭირდა. უკვე ცხადი ხდება, რომ „მეთოფეები" მაქსიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურს თუ გამოჰკრავენ ხელს და იმასაც დიდი გაჭირვებით. „არსენალმა" „ლივერპულთან" ბოლო ტურის მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა ისე, როგორც მისგან ელიან. თუკი „მეთოფეები" **ტონი პულისის** გუნდსაც მსგავს ტემპს შესთავაზებენ, მოგება ჯიბეში ექნებათ. „სტოკ სიტის" დაცვა ბოლო პერიოდში იმდენად სუსტად თამაშობს (15 გოლი ბოლო 5 შეხვედრაში, მაშინ, როცა მე-19 ტურისთვის სულ 14 ჰქონდათ გაშვებული), რომ წესით, მასპინძლებს სასურველი შედეგის მისაღებად მარტო მათი შეცდომების გამოყენება უნდა ეყოთ. ბუკმეიკერების მსგავსად უპირობო ფავორიტად ჩვენც „არსენალი" მიგვაჩნია.

მოდი, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ „ევერტონი" „ასტონ ვილასთან" აშკარა ფავორიტია. მერსისაიდელებს მოგების შემთხვევაში შანსი აქვთ, მეოთხე ადგილზე გადავიდნენ, თანაც მარტო ერთი დღით არა, რადგან ხვალ „ტოტენჰემს" თავის მხრივ რთული დაპირისპირება ელის. ბირმინგემელები რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში არიან. უკანასკნელი თვე-ნახევრის განმავლობაში ისინი ჩამოშორდნენ თასის გათამაშებებს; ჩემპიონატში 7 მატჩიდან 2 ფრე და 5 წაგება აქვთ, თანაც 5/22-ზე ბურთების შეფარდებით. „ვილა" სეზონში უკვე მეოთხედ დაეშვა გასავარდ ზონაში და თუკი თამაშს სასწრაფოდ არ გამოასწორებს, ქვედა ლიგაში დაქვეითება არ ასცდება. არადა, „ასტონ ვილასთვის" ეს 101-ე სეზონია ინგლისის ელიტურ დივიზიონში. მასზე მეტი გამოცდილება უმაღლეს ლიგაში მხოლოდ „ევერტონს" აქვს (109 სეზონი). „გუდისონ პარკზე", თუ შეიძლება ასე ითქვას, გამორჩეული ვეტერანები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

„სენტ ჯეიმს პარკს" „ჩელსი" სტუმრობს. ლონდონელების თამაშის პროგნოზი ბოლო ხანს სულ უფრო ძნელი ხდება. ამის დამსახურებაა, რომ ინგლისური ტოტალიზატორები **რაფა ბენიტესის** გათავისუფლების შანსებზე უკვე მცირე ფსონსლა ჩამოდიან. დედაქალაქელებს პულსი რა ხანია, მომატებული აქვთ. იოლია დასკვნის გაკეთება, რომ მათ თავს კარგი ამბები ნამდვილად არ ხდება (რად ღირს თუნდაც აუტსაიდერებთან ორჯერ განიავებული ორბურთიანი უპირატესობა). ამასობაში „ნიუკასლის" ფრანგულ ლეგიონს იანვარში 5 ახალი ფეხბურთელი შეემატა. რამდენად მზად არიან ისინი ინგლისური გამოცდებისთვის, ამის შემოწმება **ალან პარდიუს** დღესვე შეუძლია. ჩვენი პროგნოზით, „კაჭკაჭები" „ჩელსის" მინიმალური ანგარიშით დაამარცხებენ.

რედინგის „მადეისკიზე" ერთმანეთს კარგ ფორმაში მყოფი გუნდები ხვდებიან. მასპინძელიცა და სტუმარი „სანდერლენდიც" აღმავლობის გზას ადგანან. მათ ბოლო 3 თამაშიდან 2-2 მოგება და ფრე აქვთ. ჩვენი აზრით, საშინაო არენის ფაქტორი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს და **ბრაიან მაკდერმოტის** გუნდმა იძალოს. ინგლისელი კოლეგების პროგნოზით, „არისტოკრატთა" საუკეთესო ბომბარდირი **ადამ ლე ფონდრე** ისევ სათადარიგოთა შორის დარჩება.

„სუონსის" დიდი ხანია, არ წაუგია და გვგონია, რომ ამის გაკეთებას ისინი არც ამჯერად აპირებენ „ვესტ ჰემთან". თავის მხრივ არც „ჩაქუჩებმა" უნდა წააგონ 5-დან მე-4 თამაში. ყველაზე ლოგიკური შედეგი ფრე გვგონია.

„უიგანი" ჩემპიონშიპში დაბრუნების პერსპექტივასთან შეგუებას არ აპირებს. სწორედ ამის ნიშანი იყო „სტოკის" „ბრიტანიაზე" 2:0-ის შემდეგ გაჩაღებული ბრძოლა, რაც საბოლოოდ ქულის აღებით დამთავრდა. თავის მხრივ **მაურისიო პოჩეტინოს** „წმინდანებიც" მყარად დგანან ფეხზე. ისინი ბოლო ტურში „ოლდ ტრეფორდზეც" კი არ ჰგავდნენ წასაგებად განწირულ გუნდს. ტოტალიზატორები „უიგანის" მოგებას წინასწარმეტყველებენ. ჩვენი პროგნოზი განსხვავებულია, ვითვალისწინებთ რა, რომ **რობერტო მარტინესის** გუნდმა შინ 5-დან 4-ჯერ წააგო, გვგონია, რომ ამჯერად ის ფრეს მაინც „გააგორებს".

„ფულჰემს" იმ გუნდთან მოუწევს შეჯახება, ვისთანაც წინა უქმეებზე ასოციაციის თასზე უშანსოდ განადგურდა (1:4). „ქრეივენ კოტეჯზე" საქმე ალბათ ცოტა განსხვავებულად იქნება, მაგრამ ჩვენი პროგნოზით მოგების უფრო მეტ შანსს მაინც „მანჩესტერ იუნაიტედი" ფლობს. „ეშმაკებს" დიდი ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე შეუძლიათ თამაში, რადგან მისი უპირატესობა საჩემპიონო რბოლაში ისევ 7 ქულაა. ლონდონელთა შანსებს ამცირებს ისიც, რომ „ვესტ ჰემთან" მატჩში **დიმიტარ ბერბატოვმა** მუხლი დაიშავა. ყოფილ გუნდთან ბულგარელი ვეტერანის თამაშის შანსები 50/50-ზე ფასდება.

„ტოტენჰემს" მიჯრით სამი ფრე აქვს ნათამაშები. თუკი შინ „მანჩესტერ იუნაიტედთან" ქულის დაკარგვა კიდევ გასაგებია, აუტსაიდერებთან – „ქუინზ პარკსა" და „ნორვიჩთან" ნათამაშები ფრეები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს. „დეზებს" არც ამჯერად ელით იოლი გასეირნება. „ვესტ ბრომვიჩს" ჩავარდნა აქვს (5 თამაშია არ მოუგია), მაგრამ „ჰოუტონსზე" 3 ქულა გარანტირებული მაქვსო, ამას პრემიერლიგაში ვერავინ დაიკვეხნის. ჩვენი პროგნოზით, პირველი წრის მსგავსად გუნდები ერთმანეთში ისევ ფრეს ითამაშებენ.

დაბოლოს, „ეტიჰადზე" „ლივერპული" ჩადის XXV ტურის ცენტრალურ დაპირისპირებაში მონაწილეობისთვის. კიდევ ერთი წაფორხილება „ქალაქელებს" საბოლოოდ დატოვებს ხახამშრალს. „ლივერპულმა" შუა კვირაში „არსენალთან" გვიჩვენა, რომ ცუდი თამაშის პირობებშიც კი შეუძლია მისაღები შედეგისთვის ბრძოლა, რაც გუნდს მხოლოდ დადებითად ახასიათებს. ჩვენი პროგნოზით, „წითლებს" კარგი შანსი აქვთ მანჩესტერში ქულა მოიპოვონ და ამით მოსისხლე მტერი „იუნაიტედი" საჩემპიონო ბრძოლაში მარტო დატოვონ.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ინგლისის ნაკრები



როი ჰოჯსონი

## ჰოჯსონმა ინგლისს უხმო

ინგლისის ნაკრების 65 წლის მთავარმა მწვრთნელმა **როი ჰოჯსონმა** 6 თებერვალს ბრაზილიის ნაკრებთან „უემბლიზე" გასამართი შეხვედრისთვის 24 ფეხბურთელს უხმო. მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონებთან შეხვედრა ექსპერიმენტებისთვის ნამდვილად არ გამოდგება. შესაბამისად, შემადგენლობაში მოულოდნელობა არაფერია. მართალია, 21-წლამდელების მთავარ მწვრთნელ **სტიუარტ პირსს ჯეკ უილშირის** მიწვევა სურდა, მაგრამ ჰოჯსონმა მისი თხოვნა არ შეისმინა და არსენალელს პირველ გუნდში უხმო.

მეკარეები: **ჯეკ ბატლენდი** (ბირმინგემი), **ჯო ჰარტი** (მანჩესტერ სიტი)

მცველები: **ლეიტონ ბეინსი, ფილ იაგიელკა** (ევერტონი), **გარი კეჰილი, ეშლი კოული** (ჩელსი), **გლენ ჯონსონი** (ლივერპული), **ჯოლეონ ლესკოტი** (მანჩესტერ სიტი), **კრის სმოლინგი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კაილ უოლკერი** (ტოტენჰემი)

ნახევარმცველები: **მაიკლ კერიკი, ტომ კლევერლი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ჯეიმ მილნერი** (მანჩესტერ სიტი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული), **ფრენკ ლამპარდი** (ჩელსი), **აარონ ლენონი** (ტოტენჰემი), **ლეონ ოსმანი** (ევერტონი), **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ჯეკ უილშირი** (არსენალი)

თავდამსხმელები: **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი), **უეინ რუნი, დენი უელბეკი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **დენიელ სტარიჯი** (ლივერპული), **თეო უოლკოტი** (არსენალი)

**ლევან ბიბილაშვილი**

ბრაზილიის ნაკრები

## ნეიმარმა წარადგინა

ბრაზილიის ნაკრებს ახალი ფორმა ეცმება, რომლითაც ეს გუნდი პირველად „უიემბლიზე" წარდგება, ინგლისის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში. ახალი ფორმა **ნეიმარმა** წარადგინა, რომელიც განახლებული ბრაზილიის ნაკრების სახეა.

ნაკრების მაისურა ტრადიციულად ყვითელია, მწვანე ფორმებით გაწყობილი. *„ამარელინიას ტარება ჩემი და ჩემი თანაგუნდელების დიდი პატივია. ფეხბურთი ყველაფერია ჩვენს ქვეყანაში. ახალი მაისურა ახალი ტექნოლოგიების წყალობით, ჩვენი ოსტატობის სრულად წარმოჩენას შეუწყობს ხელს"*, - განაცხადა ნეიმარმა.

სხვათა შორის, მაისურა 96%-ით პოლიესტერისგან არის დამზადებული, მეორადი პროდუქტისგან. გამოთვლილია, რომ თითოეულ მაისურზე დაახლოებით 13 გადაგდებული ბოთლი „დაიხარჯა".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## 10 მილიონი მონრეალში

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო საათებში „მალაგადან" ლონდონის „არსენალში" გადასული 26 წლის **ნაჩო მონრეალი** არსენ ვენგერის გუნდს 10 მილიონი ევრო დაუჯდა.

იგნასიო „ნაჩო" მონრეალ ერასო ნავარაშია დაბადებული, ბასკის პირველი გუნდიც „ოსასუნა" იყო, საიდანაც ის 2011 წელს „მალაგაში" გადავიდა. ესპანეთის ნაკრებში მას 7 მატჩი აქვს გამართული. „არსენალში" მას თანამემამულე **სანტი კასორლა** ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტურის წინ

# ბარსას კონკურენტთა უკანასკნელი შანსი...

ჩემპიონი ანდალუსიაში ჩადის და ელიტაში დარჩენისთვის გააფთრებით მებრძოლ „გრანადას" ხვდება. ძალიან კარგ მატჩს ველით „ვისენტე კალდერონზე" - თასზე ბატალიაგამოვლილ „ატლეტიკოს" „ბეტისი" ეწვევა, რომელიც დასვენებულია და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების ჯერ კიდევ კარგი შანსი აქვს, მაგრამ მთავარი თამაში მაინც „მესტალიაზეა". შესაძლოა, ეს „ბარსელონას" კონკურენტთათვის ბოლო შანსიც კი იყოს, თუკი კატალონიელებს ვალენსიაში ფეხი დაუსხლტებათ...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგის III ტურის მატჩი, ბარსელონა-ვალენსია, ზეიმობს ადრიანო

### 1 თებერვალი

ვალიადოლიდი-ბილბაო 2:2

### 2 თებერვალი

**ოსასუნა-სელტა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** დამია (ოსა)
**ტრავმა:** ანანი, არმენტეროსი, სისი, რიესგო, ტიმორი - ტუნიესი, მალიო, ასპასი (?), ლიორკა

**ბოლო 6 მატჩი**
+1=2-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 15 თამაში: +3=2-10, (8-22)

**ხეტაფე-დეპორტივო 21:00**

**ტრავმა:** ლასენი, პედრო ლეონი, მანე, ლაფიტა, ბარადა, როდრიგესი - ევალდო, ლაურე, მარჩენა, აგილარი

**ბოლო 6 მატჩი**
+0=3-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 15 თამაში: +3=6-6, (18-18)

**ესპანიოლი-ლევანტე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვერდიუ - მიჩელი
**ტრავმა:** ვაკასო, ტეხერა, ფონტე, გალანი, ალვარესი - ანხელი

**ბოლო 6 მატჩი**
+3=2-1 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 11 თამაში: +4=3-4, (13-13)

**გრანადა-რეალი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** იოზილი (რეალ)
**ტრავმა:** ბენიტესი, ელ-არაბი, ფ. რიკო, მაჩისი, ურტადო - კასილიასი, პეპე

**ბოლო 6 მატჩი**
+2=2-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 3 თამაში: +0=0-3, (2-10)

### 3 თებერვალი

**მალაგა-სარაგოსა 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** აპონიო (სარ)
**ტრავმა:** ბუონანოტე (გადავიდა), ფერნანდესი, ბაპტიშტა - რომარიკი, ალამო, ობრადოვიჩი, ლოოვენსი

**ბოლო 6 მატჩი**
+3=1-2 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 23 თამაში: +8=8-7, (27-23)

**სევილია-ვალეკანო 20:00**

**ტრავმა:** პეროტი, რაბელიო, კამპანია (?), პალოპი (?), ტროხოვსკი - ლაბაკა, მარტინესი, როდრი, ლეო კარილიო

**ბოლო 6 მატჩი**
+2=1-3 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 21 თამაში: +11=4-6, (39-26)

**ვალენსია-ბარსელონა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** პიკე (ბარ)
**ტრავმა:** მატიო, პარეხო, გაგო (გადავიდა), სოლდადო, ფეგული - ს. რობერტო

**ბოლო 6 მატჩი**
+4=0-2 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 43 თამაში: +10=11-22, (51-84)

**ატლეტიკო-ბეტისი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** გაბი - პერესი
**ტრავმა:** კელასტი, ფალკაო - ვილარჩაო, პაულაუ, მარტინესი, კარლოსი, იგიებორი, მარიო, პოსუელო, ლოპესი

**ბოლო 6 მატჩი**
+3=1-2 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 33 თამაში: +11=11-11, (41-40)

**სოსიედადი-მალიორკა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლუნა (მალ)
**ტრავმა:** კადამურო, ზურუტუზა, გონსალესი, ანსოტეგი - ავატე, ლოპესი, ჟ. ვიქტორი, არისმენდი

**ბოლო 6 მატჩი**
+2=3-1 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 27 თამაში: +12=3-12, (32-35)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა
**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 71-24 | 58 |
| 2. ატლეტიკო | 21 | 15 | 2 | 4 | 42-21 | 47 |
| 3. რეალი | 21 | 13 | 4 | 4 | 54-20 | 43 |
| 4. მალაგა | 21 | 10 | 5 | 6 | 33-19 | 35 |
| 5. ბეტისი | 21 | 11 | 2 | 8 | 31-33 | 35 |
| 6. ვალეკანო | 21 | 11 | 1 | 9 | 30-36 | 34 |
| 7. ვალენსია | 21 | 10 | 3 | 8 | 30-34 | 33 |
| 8. ლევანტე | 21 | 10 | 3 | 8 | 26-30 | 33 |
| 9. სოსიედადი | 21 | 8 | 6 | 7 | 32-28 | 30 |
| 10. ვალიადოლიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 32-29 | 29 |
| 11. სევილია | 21 | 7 | 5 | 9 | 27-29 | 26 |
| 12. ხეტაფე | 21 | 7 | 5 | 9 | 25-35 | 26 |
| 13. ბილბაო | 22 | 7 | 5 | 10 | 28-41 | 26 |
| 14. სარაგოსა | 21 | 7 | 2 | 12 | 21-30 | 23 |
| 15. ესპანიოლი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-32 | 22 |
| 16. სელტა | 21 | 5 | 5 | 11 | 21-26 | 20 |
| 17. გრანადა | 21 | 5 | 5 | 11 | 18-32 | 20 |
| 18. ოსასუნა | 21 | 4 | 6 | 11 | 17-26 | 18 |
| 19. მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 22-39 | 17 |
| 20. დეპორტივო | 21 | 3 | 7 | 11 | 26-45 | 16 |

**ბომბარდირები:** 33 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

## მესტალიური გამოცდა

კვირის მატჩი „მესტალიაზე" ესპანეთში საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. მართალია, „ვალენსია" მხოლოდ მე-7 ადგილზეა, მაგრამ „ღამურების" დაპირისპირება „ბლაუგრანასთან" ყოველთვის მნიშვნელოვანი თემაა. თანაც, ესპანეთში ახლა ყველაზე უკეთ ეს ორი გუნდი თამაშობს („რაიო ვალეკანოს" თუ არ ჩავთვლით). დაბოლოს, „ვალენსია" ბოლო საშინაო მატჩში ძალიან შერცხვა („რეალთან" - 0:5) და საკუთარ მაყურებელთან რეაბილიტაცია მართებს.

„ბარსელონამ" კლასიკო გამოიარა - მადრიდში სასურველ ფრეს მიაღწია (1:1) და კვირამდე შეძლებს ძალების აღდგენას. ასე რომ, ვერ ვიტყვით, რომ თასის გამო „ღამურებს" რაიმე უპირატესობა ექნებათ. „ვალენსია" გამოემშვიდობა გამთამაშებელ **ფერნანდო გაგოს**, რომელიც სამშობლოში, „ველეს სარსფილდში" გაანათხოვრა. „ბარსელონამ" კი თამაშის პრაქტიკის მისაღებად **ისააკ კვენკა** „აიაქსში" გაუშვა.

## ანდალუსიელი დებიუტანტები

კლასიკოს გმირი **რაფაელ ვარანი** „გრანადასთანაც" ძირითად შემადგენლობაში იქნება, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც იქნა, დაუსრულდა დისკვალიფიკაცია **სერხიო რამოსს**. რამოსი **რიკარდო კარვალიოს** ადგილს დაიჭერს, ხოლო 19 წლის ფრანგი, რომელსაც უკვე **ფერნანდო იეროს** ადარებენ, მისი მეწყვილე იქნება. **იკერ კასილიასი** და **პეპე** კვლავ ლაზარეთში არიან, **დიეგო ლოპესმა** კლასიკოზე კარგად ითამაშა და, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს ძირითადში ადგილს, **ანტონიო ადანი** კი სკამზე დარჩება. დისკვალიფიცირებულია **მესუთ იოზილი**, ვინც წინა ტურში მე-5 ყვითელი ბარათი მიიღო, ეს კი **ლუკა მოდრიჩისთვის** მშვენიერი შანსია.

„გრანადას" აფრიკის თასზე ხელმოცარული **იუსეფ ელ-არაბი** ჩამოუვიდა, მაგრამ, შეიძლება მან მაინც არ ითამაშოს. „გრანადაში" დებიუტი აქვს **ლუკას ალკარასს**, რომელიც ალბათ დააყენებს **დიეგო ბუონანოტეს**, „მალაგადან" იჯარით გადმოყვანილ არგენტინელს. **ფაბიან ორელიანა** კი „სელტაში" წავიდა იჯარით.

სკანდალი

# მესის ნერვებმა უმტყუნეს

როგორც ესპანურ მედიას „რეალის" გარემარბმა **ხოსე კალეხონმა** გაუმხილა, კლასიკოს შემდეგ **ლიონელ მესიმ** ნერვები ვერ მოთოკა და **ალვარო არბელოას** და **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტ **აიტორ კარანკას** შეურაცხყოფა მიაყენა. არგენტინელმა ფორვარდმა ესპანელ მცველს მეუღლის თვალწინ იდიოტი უწოდა, ხოლო ფინალური სასტვენის შემდეგ კარანკას უყვირა: *„მოკეტე მოურინიოს თოჯინავ".*

სხვათა შორის, მესი თამაშის დროსაც უჩვეულოდ ნერვიული იყო და ერთი-ორჯერ **ჩაბი ალონსოსაც** ეკვეთა.

ესპანეთი. კოპა დელ რეი. 1/2 ფინალი. I მატჩი

# სამი პენალტის და სამი გაძევების ტაიმი

**ატლეტიკო-სევილია 2:1**

**გოლები:** 1:0 დ. კოშტა (49-პენ), 1:1 ნეგრედო (56-პენ), 2:1 დ. კოშტა (71-პენ)
**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - გაბი, მ. სუარესი - არდა თურანი, ადრიან ლოპესი (63. კ. როდრიგესი), კოკე (59. კატა დიასი) - დ. კოშტა.
**სევილია (4-3-3):** ბეტო - სისინიო, ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, მადურო (51. ბოტია), კონდობია (76. რეიესი) - ხესუს ნავასი, ნეგრედო (86. კოკე), რაკიტიჩი.
**გაძევება:** სპაჰიჩი (48), გოდინი (55), ნავარო (85)

*საპასუხო მატჩი 27 თებერვალს*



ასისა გამესმა დიეგო გოდინის გარდა, კიდევ ორი სევილიელი გააძევა

*„კლასიკო მაგარი იყო, ისევე როგორც მეორე თამაში „ვისენტე კალდერონზე", ეს კი ესპანეთის თასის პრესტიჟის ამაღლებას უწყობს ხელს",* - ეს სიტყვები ესპანეთის ნაკრების მწვრთნელ **ვისენტე დელ ბოსკეს** ეკუთვნის და მართლაც ასე იყო, ოღონდ ერთი შენიშვნით: „ატლეტიკომ" და „სევილიამ" ერთმანეთი არ დაზოგეს, შედეგად მივიღეთ თამაშში სამი გაძევება და სამი პენალტი. ეს ყველაფერი ერთ, მეორე ტაიმში მოხდა. „ატლეტიკომ" **დიეგო კოშტას** დუბლით (რა თქმა უნდა, პენალტებით) მოუგო „სევილიას", რომლის შემადგენლობაშიც თავი (პენალტით) **ალვარო ნეგრედომ** გამოიჩინა, რომელიც მეორე დღეს ესპანეთის ნაკრებში გამოიძახეს. რა თქმა უნდა, ამ დაპირისპირებაში აბსოლუტურად არაფერი გარკვეულა, ყველაფერს 27 თებერვლის მატჩი გადაწყვეტს, რომელიც „სანჩეს პისხუანზე" გაიმართება.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თურქი **არდა თურანის** კარგი თამაში. თქმა არ უნდა, დღეისათვის არდა ლა ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კლასის ნახევარმცველია.

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო): *„ატლეტიკომ" ბრწყინვალე მატჩი ითამაშა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მე ასე ვიტყოდი: ამ თამაშის შემდეგ შანსები 50-50-ზეა".*

**უნაი ემერი** (სევილია): *„თამაშის შედეგი იყო სამართლიანი. ძალიან მაგარი მატჩი იყო და ბევრი ენერგია წაიღო, ცალკე საფიქრალი მაქვს, საპასუხო მატჩისთვის ორი მცველის შემცვლელის გამოძებნა".*

ესპანეთის ნაკრები

# დელ ბოსკეს სია და კარლესის 100

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც 6 თებერვალს ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ გამოიყენებს. შეგახსენებთ, რომ ეს ამხანაგური მატჩი ყატარში გაიმართება.

ვისენტე დელ ბოსკეს სიაში ორი ახალი სახეა: „მალაგას" ნახევარმცველი **ისკო** და „ჩელსის" ფლანგის მცველი **სესარ ასპილიკუეტა**.

სიაში არ მოხვდნენ **ფერნანდო ტორესი, ფერნანდო ლორენტე** და **რობერტო სოლდადო**. სამაგიეროდ, დელ ბოსკემ დაუძახა **დავიდ ვილიას** და **ალვარო ნეგრედოს**.

კიდევ ერთი სიახლე, ნაკრებში **კარლეს პუიოლის** დაბრუნებაა - „ბარსელონას" კაპიტნისთვის ურუგვაისთან მატჩი საიუბილეო, მე-100 იქნება ეროვნულ ნაკრებში.

ბუნებრივია, არ არის სიაში **იკერ კასილიასი**, რომელიც ტრავმირებულია.

**მეკარეები:** ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა), პეპე რეინა (ლივერპული).
**მცველები:** ალვარო არბელოა, სერხიო რამოსი (რეალი), ჟერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, ჟორდი ალბა (ბარსელონა), სესარ ასპილიკუეტა (ჩელსი), ნაჩო მონრეალი (არსენალი).
**ნახევარმცველები:** ჩაბი ალონსო (რეალი), ანდრეს ინიესტა, ჩავი, სესკ ფაბრეგასი, სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), სანტი კასორლა (არსენალი), ისკო (მალაგა), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ხუან მატა (ჩელსი).
**თავდამსხმელები:** ალვარო ნეგრედო (სევილია), პედრო, დავიდ ვილია (ბარსელონა).

**შემადგენლობის დასახელების შემდეგ დელ ბოსკემ პრესკონფერენცია გამართა.**

## რატომ არ არიან ასპასი და მიჩუ

მიჩუ ნამდვილად იმსახურებს ჩვენს ყურადღებას, ჩვენ ძალიან ვაფასებთ მის გოლებს პრემიერლიგაში. ის იმსახურებს ნაკრებში მოხვედრას, მაგრამ ძალიან დიდი კონკურენციაა ეროვნულ გუნდში. იგივეს თქმა შემიძლია იაგო ასპაზზეც. მოკლედ, ამ დროისთვის, ასპასისა და მიჩუს ადგილი ნაკრებში ვერ გამოვძებნე.

## რატომ ვილია

ტორესი ამ ეტაპზე ვერ მოხვდა ნაკრებში, ისევე როგორც ბევრი სხვა. ნუ შევადარებთ ვილიას შემთხვევას. დიახ, ვილია ვერ ხვდება შემადგენლობაში, მაგრამ ვილია უნიკალურია ნაკრებისთვის. და მას ცოტა სხვანაირად ვუდგებით. სხვა არავინაა, რომელიც 9-თვიანი ტრავმიდან დაბრუნდა, სხვა არავის გაუტანია მსოფლიოს ჩემპიონატზე 5 გოლი, სხვა არც ერთ თავდამსხმელს არ მიუძღვის ჩვენს ნაკრებში ამხელა წვლილი, რამხელაც დავიდს.

## პუიოლის კაცურ საქციელზე

ძალიან გვიხარია, კარლესი რომ დაბრუნდა ნაკრებში. ის ყველას მაგალითია, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ. თუნდაც კლასიკოს დროს მომხდარი ფაქტი ავიღოთ, პუიოლის ღირსეული საქციელი ძალიან კარგად შეაფასეს მადრიდშიც და ბარსელონაშიც. ეს იყო ძალიან კარგი საქციელი.

## რატომ არ არის ხავი მარტინესი

დიახ, ვერც ხავი მარტინესი მოხვდა გუნდში, ვერც ტიაგო ან ბენიატი, ან თუნდაც ხავი გარსია. ყველას ვერ დავუძახებთ, ამის საშუალება არ არის, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სხვა მატჩებში ეს ბიჭები გამოჩნდნენ და სხვები არ გამოვიძახო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე

ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. კომენტარი

# ჩიხი ჭიდაობის ფედერაციაში

იმის მიუხედავად, რომ 31 იანვრის ღამეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ მინისტრმა **ლევან ყიფიანმაც** და **ლუკა კურტანიძემაც** განაცხადეს, ჭიდაობის ფედერაციაში მიმდინარე კონფლიქტი ამოწურულიაო, დაპირისპირებას დასასრული მაინც არ უჩანს და ახალ ფაზაში გადადის - გუშინ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **რომან რურუამ** განაცხადა, დებულებით კურტანიძეს ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრებების მთავარ მწვრთნელთა ერთპიროვნულად გადაყენების უფლება არ ჰქონდაო. რურუა აღიარებს, რომ მდგომარეობა ჩიხშია შესული.

თუმცა მწვრთნელთა მოხსნის კანონიერება ფედერაციაში არსებული დაპირისპირების მხოლოდ ერთი გაგრძელებაა და გაჩუმებას არც **თემურ ყაზარაშვილი** აპირებს, რომელიც უკვე ფედერაციის ოფისში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერების განხილვას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელთა გადაყენების შედეგად წარმოქმნილმა კონფლიქტმა ახალი ძალით კურტანიძესა და ყაზარაშვილს შორის იფეთქა - ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტს ფიზიკურ ზეწოლაში ადანაშაულებს, რასაც კურტანიძე უარყოფს.

გუშინ სახელოვანმა ვეტერანმა, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა რომან რურუამ ჯერ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გამართა, მერე კი მინისტრსაც შეხვდა. გთავაზობთ მის კომენტარს:

- ფედერაციის პრეზიდენტს ეროვნული თუ სხვა ნაკრებების მთავარ მწვრთნელთა აღმასკომის გარეშე, ერთპიროვნულად დათხოვნის უფლება არ ჰქონდა. ეს პირდაპირაა მითითებული დებულების X პუნქტში, სადაც ლაპარაკია მხოლოდ მთავარ მწვრთნელებზე და არა დანარჩენებზე. მათი გათავისუფლება უკანონო გადაწყვეტილება იყო, რისი გამოსწორებაც ახლა ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში, გამოსავალს ვეძებთ და ჯერ ვერ ვპოულობთ. ძველი მწვრთნელები რომ დააბრუნონ, მაშინ ახლები უნდა გაუშვან. ამას პრეზიდიუმის თანხმობა სჭირდება, მაგრამ შიშობენ და ეჭვობენ, ის ძველი მწვრთნელების გათავისუფლებას მხარს არ დაუჭერს. ეს აფიქრებს კურტანიძესაც და ყველას. არადა, ეს დაპირისპირება მანამ არ დამთავრდება, სანამ ძველების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ. ამბობენ, ისინი ოფიციალურად არ იყვნენ დანიშნულებიო. აბა, ამდენი წელინადი ხელფასს როგორ აძლევდით-მეთქი და ეს სტიპენდია იყოო. ამაზე ფედერაციის მიღება-ჩაბარების აქტი მოვითხოვე, რაც არ აღმოჩნდა. არადა, ეს დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს, სადაც ქონებასთან ერთად კადრებიც იქნება მითითებული.

ერთი სიტყვით, იურიდიულად ყველანაირად ნაგებული საქმეა. ძველი მთავრობის ვარიანტებს თუ გაიმეორებენ, მხოლოდ მაშინ მოიგებენ. ამ საკითხზე მინისტრსაც შევხვდი, რომელმაც თქვა, ფედერაციის საქმეში ვერ ჩავერევი, თქვენვე მოაგვარეთო. საამისოდ 3-დღიანი ვადა მოგვცეს, მაგრამ რა იქნება მერე, ვერ გეტყვით. იუსტიციის სამინისტროც რომ ჩავრიოთ, რა - ის ახალ დებულებას დაწერს?

P.S. მთელ ამ ამბავში გაკვირვებას ერთი გარემოება იწვევს - კანონი თუ მართლა დაირღვა (არადა, რომან რურუას აბსოლუტურად ვენდობით), სამართლიანობის აღდგენას წინ რა უდგას?!

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. თბილისის ტურნირი

# ცირეკიძის გაცილება

« პირველი გვერდიდან



ევროპის ძიუდოს კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი ამ გაერთიანების პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ჩეხი **მიხალ ვახუნია**.

მონაწილეთა რაოდენობა 187 ფალავანია. ყველაზე მეტი ათლეტი 66-ში იასპარეზებს - 38, ყველაზე ცოტა - მძიმეში, 17.

ეს ახალი სეზონის პირველი დიდი შეჯიბრებაა, რომლითაც ახალი ოლიმპიური ციკლიც იწყება. ამასთან, ის სადებიუტოა ჩვენი ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის - **ირაკლი უზნაძისთვისაც**. ასევე სადებიუტო იქნება ძალიან ბევრი სპორტსმენისთვისაც როგორც საქართველოში, ასევე - უცხოეთში. კვირას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართება - სპორტიდან საზეიმოდ გააცილებენ უტიტულოვანეს ქართველ ძიუდოისტს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს**, რომელიც დღესდღეობით ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობს.

შეხვედრები სპორტის სასახლეში ორივე დღეს 11 საათზე დაიწყება, ფინალები - 17-ზე. დღეს 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ.

როგორც გუშინ გაცნობეთ, უზნაძემ საქართველოს ჩემპიონთაგან მხოლოდ ორი დაასვენა - **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90). მათ, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონ **ლაშა შავდათუაშვილს** (66), მწვრთნელი 9-10 თებერვალს გასამართ პარიზის „დიდ მუზარადზე" გამოიყვანს.

გუშინ წილისყრა გაიმართა და ჩვენებურთა მეტოქეებიც გამოვლინდნენ. 60-კილოგრამში საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ **ვაჟა მარგველაშვილს** მეოთხედფინალში გასასვლელად სომეხ **არტურ ვარდანიანის** და ბრიტანელ **გრეჰემ ტრინდერის** დამარცხება მართებს, რაც არ უნდა გაუჭირდეს, მერე კი სავარაუდო მეტოქეთაგან ყველაზე ცნობილი ყაზახი **იელდოშ სმეტოვია**, თუმცა არც ისაა ძალიან ძლიერი ფალავანი. მარგველაშვილი სამივე ბარიერს თუ წარმატებით გაივლის, დიდი შანსია, ნახევარფინალში **ამირან პაპინაშვილს** შეხვდეს - იმას იქამდე კიდევ უფრო უცნობი მეტოქეები ჰყავს. ამ წონაში ქართველთაგან ყველაზე მეტად ვიცე-ჩემპიონი გიორგი ბროლაშვილი დაიჩაგრა - მეოთხედფინალამდე თუ მივიდა, იქ სომეხი ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **ჰოვანეს დავთიანი** ან იაპონელი **შინჯი კიდო** ელოდებიან - ისინი წინა წრეში ერთმანეთს ხვდებიან და აზიელი თუ უცნობია, სომეხი ამ წონაში ყველაზე ტიტულოვანია.

66-ში ჩვენებს თავიდანვე ძლიერები ერგოთ - **მინდია ლილუაშვილი** პირველივე შეხვედრას ებრაელ **გოლან პოლაცკისთან** გამართავს, რომელმაც შარშან შავდათუაშვილს მედგარი ბრძოლა გაუმართა ლიცენზიისთვის, **თორნიკე თათარაშვილი** კი ასევე პირველ ბრძოლას გამოცდილ უნგრელ **ლასლო ბურიანთან** გამართავს. **ტრისტან ფეიქრიშვილსაც** საკმაოდ გამოცდილ ფალავანთან მოუწევს პირველი პაექრობა - ბელარუს **დმიტრი შერშანთან** (ყოველ შემთხვევაში, წონაში ამაზე ბევრად სუსტებიც გამოდიან), **ვანო თოთლაძეს** კი ასევე ებრაელი **იან ვინოგრადოვი** ერგო.

73-ში **ნუგზარ ტატალაშვილი** პირველ წრეში ისვენებს, მეოთხედფინალამდე სავარაუდო მეტოქეთა შორის კი ყველაზე ანგარიშგასაწევი ბელარუსი **ალექსანდრ კოკშა** მიგვაჩნია. **გიორგი პაპუნაშვილი** აზერბაიჯანელ **ნადირ ბაბაევს** ხვდება, **არსენ მაჭარაშვილი** - უნგრელ **ნორბერტ კისს**. თავიდან **ზებედა რეხვიაშვილიც** თავისუფალია, მერე კი, სავარაუდოდ, ბელარუს **ალექსეი რამანჩუკთან** მოუწევს დაჭიდება - ამასაც შეიძლებოდა, უფრო სუსტიც შეხვედროდა.

ხვალ მოასპარეზე წონებში ჩვენებურთაგან ყველაზე მეტად საქართველოს ჩემპიონ **ლევან მატიაშვილს** (+100) არ გაუმართლა - ბადეში ახლოს ჰყავს ახალგაზრდებში იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკეში ოჯიტანი**. იგივე ითქმის **ლევან წიკლაურზე**, რომელსაც მეოთხედფინალში **გამოცმკოვსი** ელოდება. არც 90 კილოგრამში ამონაცვლებულ **ბექა ლვინიაშვილს** გაუმართლა - უნგრელ **გაბორ ვერს**, ალბათ, კი მოუგებს, მაგრამ მერე იაპონელ **იუია იოშიდასთან** მოუწევს პაექრობა. დაახლოებით ამავე დღეშია **დავით ლორიაშვილიც** 100-ში - პირველ წრეში აზერბაიჯანელი **საინ მამადოვი** არაა ძლიერი, მაგრამ ამათ შორის მოგებულს უკრაინელი **არტემ ბლოშენკო** ელოდება. ასევე ანგარიშგასაწევი უკრაინელი - **ვიაჩესლავ დენისოვი** ელოდება **ლაშა გურულს**.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა. თურქეთის ტურნირები



# დარჩია ქალებს ანაწილებს

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები უკვე სტამბოლშია, სადაც ამ უქმეებზე ვები ემრეს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" პირველი შეჯიბრება იმართება ჭიდაობის ამ სტილის მიმდევართათვის.

ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ბეგი დარჩიას** გადაწყვეტილებით, თურქეთში ნაკრების სათადარიგო შემადგენლობა გაემგზავრა, რადგან ლიდერებს ანუ საქართველოს ჩემპიონებს მწვრთნელი 23-24 თებერვალს უნგრულ სომბათჰეიში გასამართი ამავე რანგის მეორე ტურნირისთვის ინახავს, რომელიც ჩვენი ნაკრებისთვის ევროპის პირველობისთვის მზადების გზაზე სასტარტო იქნება. **ზურაბ კეკელიძე** (55), **ირაკლი ჭოჭუა**, **ქემალ ხარაბაძე** (ორივე - 60), **საჩინო დავითაია**, **მარადი აბულაძე**, **ანტონ მამაგეიშვილი**, **გოგიტა გოგიბერაშვილი** (ოთხივე - 66), **გენადი გოგიშვილი**, **უშანგი ჩიტიაშვილი** (ორივე - 74). **ვალერი მურვანიძე**, **გიორგი ცირეკიძე**, **რევაზ ნადარეიშვილი** (სამივე - 84), **მიხეილ ქაჯაია**, **ჯონი მინაძე** (ორივე - 96), **შოთა გოგისვანიძე**, **ლევან არაბული** (120) - ამჯერად სტამბოლში ესენი იასპარეზებენ.

როგორც ვხედავთ, დარჩიამ გუნდს თურქეთში საჩინო დავითაიაც გააყოლა - საქართველოს წლევანდელ ჩემპიონთაგან ერთადერთი. ამის მიზეზი სატურნირო პრაქტიკის დეფიციტია - შარშან, როცა ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ასაკობრივი ნაკრებიდან ეროვნულში გადმოვიდა, პრაქტიკულად, არსად უჭიდავია, ახლა კი, ინტენსიური სეზონის წინ, ეს ნაკლი როგორმე უნდა გამოსწორდეს. დავითაია საუნგრეთო შემადგენლობაშიც მოიაზრება, ოღონდ იქ მისი ჭიდაობა დამოკიდებული იქნება ზედ უნგრული შეჯიბრების წინ მინსკში გასამართ მეორე შეკრებაზე - როგორ გაივლის მას. დარჩიას სტამბოლში საქართველოს ჩემპიონთაგან კიდევ ერთი ახალგაზრდის - **რობერტ ქობლიაშვილის** (84) გაგზავნაც სურდა, თუმცა ამჯერად თავი შეიკავა. ქობლიაშვილი და საქართველოს ჩემპიონი **ედნარ შავაძე** (55) კვლავაც 20-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან და იმ გუნდთან ერთად გადიან შეკრებას. ჯერ არაა გადაწყვეტილი, რომელ ნაკრებში დარჩებიან ისინი. სხვათა შორის, უფროსთა შემდეგ მათ ახალგაზრდებშიც მოიგეს საქართველოს პირველობა.

რაც შეეხება უნგრეთის ტურნირს, იქ **ლაშა გოგიტაძე**, **რევაზ ლაშხი** (ორივე - 60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი**, **მანუჩარ ცხადაია** (ორივე -74), **რობერტ ქობლიაშვილი**, **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე**, **ირაკლი ქაჯაია** (96), **სერგო გოგისვანიძე** და **გურამ ფერსელიძე** (120) გამოვლენ. თუმცა კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ იქ დავითაიას და ქობლიაშვილის ჭიდაობა ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი.

თურქეთშივე, ოღონდ ცოტა მოგვიანებით და სხვა ქალაქში - 9-10 თებერვალს ანკარაში იაშარ დოგუს სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. ნაკრების მთავარ მწვრთნელ **რევაზ მინდორაშვილის** გადაწყვეტილებით, იქ **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120) გამოვლენ. დარჩიასი არ იყოს, 19-24 მარტს თბილისში გასამართავ ევროპის პირველობამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ტურნირში გამოცდას ვერც მინდორაშვილი ასწრებს. ამიტომ გუნდი მანაც ორად გაყო - ლიდერები ანკარაში იჭიდავებენ, სათადარიგოები კი 16-17 თებერვალს კიევში საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს. თუმცა სათადარიგოებსაც გააჩნია. მაგალითად, მძიმე წონაში ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **დავით მოძმანაშვილი** და ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **გიორგი საკანდელიძე** იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**



## მილოცვა

საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია და მეგობრები დაბადებიდან საიუბილეო თარიღს — 70 წელს ულოცავენ საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებულს, „ოქროს კამათლის" შვიდგზის მფლობელს, მონტე-კარლოს 2010 წლის მსოფლიო პირველობის ჩემპიონს, ბრწყინვალე პიროვნებას **ომარ დვალს.**

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

სპორტის მატიანე

# იანვარი

**3. ძიუდო.** ფედერაციამ ნაკრების ახალი მწვრთნელი წარადგინა - **ირაკლი უზნაძე.**

**8. ჭიდაობა.** ლუკა კურტანიძემ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელად **ზაზა თურმანიძის** ნაცვლად **რეზო მინდორაშვილი** დანიშნა.

**9. ზოგადი.** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენად ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი** დაასახელა; საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი **ამირან იანვარაშვილია** (სამბო); გუნდი - ფეხბურთელთა 17-წლამდელების ნაკრები; სპორტული ფედერაცია - რაგბის კავშირი; მწვრთნელი - **ნიკოლოზ ბიბილაშვილი** (ძიუდო).

**18. წყალბურთი.** გადაწყდა, რომ ეროვნულ ნაკრებს **ვლადიმერ ისელიძე** გაწვრთნის.

**24-26. ფიგურული ციგურაობა.** ევროპის ჩემპიონატზე **ელენე გედევანიშვილმა** მე-14 ადგილი დაიკავა, ხოლო **ოთარ ჯაფარიძისა და ანგელინა ტელეგინას** წყვილმა - მე-20.

**26-27. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ჩემპიონები გახდნენ: **ირაკლი შავაძე** (50 კგ), **ედნარ შავაძე** (55), **ხვიჩა ქითავა** (60), ფირუზ წულუკიძე (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **კუკური კირცხალია** (96) და **იაკობ ქაჯაია** (120).

**27. კალათბურთი.** საქართველოს თასი „შსს აკადემიამ" მოიგო.

**27. სუმო.** იანვრის ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი).

**31. ზოგადი.** „ლელომ" 2012 წლის საუკეთესო სპორტსმენი (მკითხველის გამოკითხვით) **ლაშა შავდათუაშვილი** დააჯილდოვა.

**მომზადა ნიკოლოზ ნეფარიძემ**

სამბო

# ოლეგ იაძე საპატიო პრეზიდენტია

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში, სამბოს ფედერაციის გამგეობის სხდომა გაიმართა. განიხილეს სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარების გეგმა და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

გამგეობის სხდომამ ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად ერთხმად დაამტკიცა სამბოს ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, დიდი ხნის განმავლობაში ეროვნული ნაკრები გუნდის მწვრთნელი **ოლეგ იაძე.**

გამოითქვა რწმენა, რომ არა მხოლოდ ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც მაღალი ავტორიტეტით კარგად ცნობილი ეს სპეციალისტი თავის ცოდნასა და გამოცდილებას, კონტაქტებს აქტიურად მოახმარს საქართველოში სამბოს შემდგომ წინსვლა-განვითარებას.

სხდომას ესწრებოდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე.**

„ლელოს" კორ.

## განცხადება

2013 წლისნ 19 თებერვალს, 13 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა.

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა;
2. სხვადასხვა;

პრეზიდენტობის კანდიდატების განცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2013 წლის 17 თებერვალი. მისამართი: თბილისი, ბელიაშვილის ქ. №5.

*ფედერაციის პრეზიდიუმი*

ფიგურული ციგურაობა

# მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსეულის იმედით



ქართველმა მოციგურავე **ელენე გედევანიშვილმა** 2012-2013 წლების სეზონი იაპონიაში ასპარეზობით დაიწყო; იქ ევროპის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა. მერე გრან-პრის ორ ეტაპზე მოსინჯა ძალები და კანადაში მეორე ადგილიც დაიკავა. რამდენიმე დღის წინათ კი ზაგრებში კონტინენტის პირველობაზე მე-11 ადგილით დაკმაყოფილდა. ელენე გედევანიშვილი ამჟამად თბილისში იმყოფება და, დედაქალაქში საციგურაოს უქონლობის გამო, სპორტულ დარბაზში ვარჯიშობს.

— წლევანდელ სეზონს ახალი პროგრამებით შევხვდი, — გვითხრა გუშინ ელენემ. — ისინი უწინდელზე ბევრად რთულია, ამიტომ მათი დახვეწა ტრავმის შემდეგ გამიჭირდა, თუმცა გრან პრის ეტაპებზე ცუდი შედეგი არ მქონია. აი, ევროპის ჩემიონატზე კი ხელი მომეცარა. გულდასაწყვეტია, მაგრამ წუწუნს აზრი არა აქვს. მალევე დავივიწყე და მონდომებით ვემზადები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც კანადაში გაიმართება. ეს შეჯიბრება სალიცენზიოა, ამიტომ უძლიერესი მოციგურავეები მოიყრიან თავს. 2014 წლის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება, ცხადია, არ გამიჭირდება. ჩემი მიზანია ექვსეულში მოხვედრა. კვირას კანადაში მივემგზავრები და მზადებას იქ განვაგრძობ. ცოტა ხანს კიდევ დავრჩებოდი თბილისში, მაგრამ აქ, სამწუხაროდ, ყინული არ არის და ვერ ვივარჯიშებ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ქომაგს მადლობა ვუთხრა. განსაკუთრებით ფიგურული ციგურაობის ფედერაციას და მის ხელმძღვანელ მაკა გიორგობიანს ვემადლიერები, რომელიც ყოველთვის გვერდით მიდგას.

**— ვიცი, რომ სპორტის მინისტრს შეხვდი...**

— დიახ, მე და მაკა გიორგობიანი ბატონმა ლევან ყიფიანმა მიგვიღო. დახმარება და თანადგომა აღგვითქა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სპორტის მინისტრს კვლავ შევხვდებით და სამომავლო გეგმებს წარვუდგენთ. იმედია, წინსვლა იქნება.

**— თქვი, რომ სამთო თხილამურობა გიყვარს...**

— ეს არის შემთხვევითი. იცით, რომ ჩემი ძმა სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშობს. მართალია, ბოლო დროს ცოტა სირთულეები შეექმნა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება, რადგან შესანიშნავ ფორმაშია, თან ოლიმპიადის ლიცენზიამდეც ცოტა აკლია. მჯერა, რომ ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და ორივენი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშში ვიასპარეზებთ.

დაიბადა 1990 წლის 7 იანვარს თბილისში. ამჟამად ბერკლი კოლეჯში (აშშ) სწავლობს კრიმინოლოგია-ფსიქოლოგიის სპეციალობით.

**ვარჯიში** დაიწყო თამარ ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით. მოსკოვში გადასვლის შემდეგ გალინა ზმიევსკაია, ელენა ვოდორეზოვა და ტატიანა ტარასოვა ავარჯიშებდნენ; აშშ-ში რობინ ვაგნერი ამეცადინებდა, ამჟამად კანადაში ბრაიან ორსერთან იმაღლებს ოსტატობას.

**საუკეთესო შედეგები:** ევროპის ჩემპიონატებზე - ბრინჯაოს მედლები (2010, 1012 წ.წ.), ოლიმპიურ თამაშებზე - მე-10 ადგილი (2006), მსოფლიოს ჩემპიონატებზე - მე-10 ადგილი (2009, 2011, 2012 წ.წ.), მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია.

**უყვარს** სნოუბორდი, სამთო თხილამურობა, ჰოკეი, ჩოგბურთი. ქომაგობს რაფაელ ნადალს.

**ჰობი.** კლასიკური მუსიკა. წიგნების კითხვა. საყვარელი მწერალი ოსკარ უაილდი.

**კერპი.** იაპონელი მოციგურავე, ოლიმპიური ჩემპიონი სიძუკა არაკავა

**მიზანი.** საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა და 2013 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ექვსეულში მოხვედრა.

ჭადრაკი

# გაიხსენეს კახი ჩიგოგიძე



მარცხნიდან: გია გიორგაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ემზარ ზენაიშვილი და ლაშა ჯანჯღავა.

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ტიტულოვანი ქართველი დიდოსტატების მონაწილეობით ბლიცში საინტერესო ტურნირი გაიმართა, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, შესანიშნავი პიროვნების **კახი ჩიგოგიძის** ხსოვნას მიეძღვნა (გუშინ მას 60 წელი შეუსრულდებოდა). მემორიალში მთავარი პრიზისთვის იბრძოდნენ ევროპის ჩემპიონი, სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე **ზურაბ აზმაიფარაშვილი**, მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი **ნანა ალექსანდრია**, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე**, სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**, საქართველოს ქალთა ნაკრების მწვრთნელი **ზურაბ სტურუა**, ვეტერანებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი **თამარ ხმიადაშვილი**, ვაჟთა ნაკრების მწვრთნელი **ლაშა ჯანჯღავა** და საერთაშორისო ოსტატი **სოფიო ნიკოლაძე**; წრიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაში ჯანჯღავამ შვიდი შესაძლებლიდან 5,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გიორგაძემ და ნიკოლაძემ გაინაწილეს, 4 ქულით მე-4 ადგილი აზმაიფარაშვილს ერგო.

ავტორის ფოტო

ლელოს სტუმარი

## მიხეილ ჭიაურელი

„ჭიდაობას რა უნდა“, „ჩემი მშვილდი და ისარი“, „მეექვსე ცდა“, „ნახტომი“, „ჩემპიონის დაბრუნება“, “მე, პელეს ნათლია“ — უყურებ ამ და სპორტის თემაზე შექმნილ სხვა დოკუმენტურ ფილმებს და თვალწინ ცოცხლდება გარდასულ დღეთა უკვდავი ქრონიკა, სიამაყის გრძნობა გეუფლება და სიხარულის ცრემლს ვერ მალავ... ძალაუნებურად ძაბავ გონებას და ეძებ მებაღეს, რომელმაც ასეთი ხილი გაგემა.



# გენმა და ტრადიციამ მიბიძგა...

დიახ, **მიხეილ ჭიაურელზე** მოგახსენებთ, ოღონდ უმცროსზე, დიდი მიშას შვილიშვილზე, რომელიც სპორტს ფეხის ადგმისთანავე დაუმეგობრდა. თუ როგორ, ამას თავადვე გეტყვით.

— ბეჭდაუდები ფალავნები — ვახტანგ ბალავაძე და ამური ციმაკურიძე ჩვენს ეზოში ცხოვრობდნენ ყოფილ კამოს ქუჩაზე. ისინი მამას მეგობრები იყვნენ, — გაიხსენა ბავშვობის წლები მიხეილ ჭიაურელმა, რომელიც გუშინ „ლელოს“ სტუმარი იყო. — რომ წამოვიზარდე და გავაცნობიერე, ვის წრეში ვიზრდებოდი, მეამაყებოდა მათ გვერდით ყოფნა. სკოლიდან შინ მომავალს ძია ვახტანგი რომ მომესალმებოდა და მომეფერებოდა, ყველაფერს დედას ვუყვებოდი.

**— დიდ ჩემპიონებზე ფილმების შექმნის იდეაც მაშინ ჩაისახა?**

**ვატყობდი, რომ ხელოვანთა ოჯახში გაზრდილს შინაგანი ძალა, გენეტიკა და ტრადიციები თავისკენ მექაჩებოდა.**

— რას ამბობთ. ბავშვობისას კინემატოგრაფობის გაგონებაც არ მინდოდა, რადგან შინ მქონდა კინოც და თეატრიც: თავად განსაჯეთ: სახელოვანი ბაბუა — მიხეილ ჭიაურელი, მამა და ბიძა — მისი მიმდევრები, მამიდა — სოფიკო ჭიაურელი. თუმცა განდგომა დიდხანს არ გაგრძელებულა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე სწავლისას რაგბიმ გამიტაცა — მაშინ ახალი ხილი იყო. ჩვენი გუნდის მწვრთნელი გახლდათ გივი მრელაშვილი. მეამაყება, რომ ქართული რაგბის ერთ-ერთი პიონერი ვარ. მართალია, კიზირია არ ვყოფილვარ, მაგრამ საქართველოს პირველობებზე მითამაშია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამი წელი სპეციალობით ვიმუშავე, თუმცა საქმეს გულს ვერ ვუდებდი, ვატყობდი, რომ ხელოვანთა ოჯახში გაზრდილს შინაგანი ძალა, გენეტიკა და ტრადიციები თავისკენ მექაჩებოდა. სამხატვრო აკადემიის ბოლო კურსზე ვსწავლობდი, თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანზე, რომელსაც ანგრევდნენ, დოკუმენტური ფილმი რომ გადავიღე. კინოსტუდიას მოეწონა ჩემი ნამუშევარი და იმდენი ჰონორარი გადამიხადა, რომ გავოცდი. აქედან დაიწყო ჩემი შემობრუნება. მერე მოსკოვში რეჟისორებისა და სცენარისტების ორწლიანი კურსები დავამთავრე.

**— პირველი ფილმი სპორტზე?**

— 1976 წელს შევქმენი. იგი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს ეძღვნება, რომელმაც იმ წელიწადს ფინალში ერევნის „არარატს“ აჯობა და საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. ამ ფილმს „მეექვსე ცდა“ ჰქვია. მახსოვს, გაზეთი „ლელო“ გამოეხმაურა ჩემს ფილმს - ელგუჯა ბერიშვილმა გულთბილი რეცენზიაც უძღვნა.

**— „ჭიდაობას რა უნდა?“**

— გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს გავიცანი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი. მახსოვს, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, მგონი ხუთი შეხვედრა მოიგო და ჩემპიონი გახდა. ხუთივე ორთაბრძოლა ფირზე ალვნუსხეთ. იმ პაექრობებს შორის ქართული ჭიდაობის ისტორია ჩავსვით. საინტერესო გამოვიდა.

**— თქვენ მსგავსი სათაურის მხატვრული ფილმიც გადაიღეთ...**

— დიახ. რაც უფრო ღრმად ვეცნობოდი სპორტის ისტორიას, ახალ-ახალი თემები მიზიდავდა. რატომღაც ამ სფეროში მოღვაწე თაღლით ადამიანზე გადავწყვიტე ფილმის გადაღება. რევაზ ჭეიშვილს ვთხოვე თანადგომა. ასე ერთობლივი ძალით შევუდექით ალმართს. მსახიობების შერჩევის, ეტყობა, ბაბუას ნიჭი გამომყვა. დიდ მიხეილ ჭიაურელს არსენას როლზე თურმე მსახიობი შეგულებული ჰყოლია, მაგრამ არ მოსწონდა. ერთ დღეს პლეხანოვზე სპარტაკ ბაღაშვილი შეუნიშნავს — მეგობრებისათვის უთქვამს, ნახეთ, არსენა მოდისო. მეც დავიწყე კალენიკე ლეჩხუმელის როლის შემსრულებლის ძებნა - მაღალი, გამხდარი ჭაბუკისა, რომელიც კაკლის მბერტყავია. ხან ფალავანთა კლუბს მივაკითხე, ხან — ფიზკულტურის აკადემიას. ერთ დღეს ქუჩაში შევხვდი ასეთ ყმაწვილს. მოჭიდავე ვარო, მითხრა. მსოფლიოს ჩემპიონი იყო ახალგაზრდებში. კინოში თუ ითამაშებ-მეთქი, ვკითხე. აბა, რა ვიციო, მოუქცია რაჭულად. ასე გავიცანი დავით გობეჯიშვილი, რომელმაც გამოცდილი მსახიობივით გაუწია პარტნიორობა ოთარ მეღვინეთუხუცესს, ლიკა ქავჟარაძეს და სხვებს.

**— პელეს და კახი კავსაძის ურთიერთობაზე რას იტყვით?**

— საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით ბრაზილიაში გავემგზავრეთ კარნავალზე. მასპინძლები, თურმე, არავის გაუფრთხილებია და კითხვა-კითხვით ძლივს მივადექით სტადიონს. იქ, აბა, ასე დაუპატიჟებელ სტუმრებს ვინ შეგვიშვებდა. რკინის მოაჯირს მიღმა ერთ მშვენიერ ქალიშვილს გამოველაპარაკე. მოსკოვში უსწავლია ხუთი წელი და რუსული კარგად იცოდა. რომ გაიგო ქართველები ვიყავით, გაუხარდა, საბჭოეთის დედაქალაქში ყოფნისას ბევრ თქვენებურს დავუმეგობრდიო. რომ გაიგო, სტადიონზე, თანაც პელეს ლოჟაში გვინდოდა კადრების გადაღება, შეწუხდა. რთული საქმეაო. მერე ცოტა ხნით სადღაც გაუჩინარდა და ერთ მამაკაცთან ერთად კვლავ გამოჩნდა — პელეს მენე-[illegible]ნო. მან კი მე, ჩვენი ოპერატორი და კახი კავსაძე შეგვიყვანა სტადიონზე. პელეს ლოჟაშიც მოვხვდით, მაგრამ „ფეხბურთის მეფე“ იმ დღეს არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ დავარღვიეთ წესრიგი (აბა, რისი ქართველები ვართ) და სარბენ ბილიკებთან მთელი ხუთი წუთის განმავლობაში ვიღებდით კარნავალის მსვლელობას.

**— მაშ, პელეს არ შეხვედრიხართ?**

— ბრაზილიაში არა, მაგრამ დოკუმენტური ფილმი პელეზე მაინც შევქმენით, სადაც მთავარ როლს... კახი კავსაძე თამაშობს. დიდ ფეხბურთელთან შეხვედრა კი მოგვიანებით მილანში შევძელით. რაც მაშინ კახიმ გააკეთა, საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. იქაც ჰელიო დაგვეხმარა პოლიციელთა კორდონის გარღვევაში. მერე მთავარი როლი კახიმ ითამაშა: სარბენ ბილიკებზე გამოჩენილ პელეს წინ „მწმენდავი“ კახი მოუძლოდა და შესაშური მონდომებით იგერიებდა მოძალებულ ფოტორეპორტიორებს. დაცვა ვერაფერს ეუბნება, პელეც გაოცებულია. წამიერი შეყოვნება და “წესრიგის დამცველი” თავად ეხვევა პელეს, ხელებით უხსნის — ქართველი ვარ, ქართველიო, თან ეუბნება, მამაშენს ასე ვიცნობდიო, საჩვენებელ თითებს ერთმანეთს უხახუნებს. ფეხბურთის მეფე გაკვირვებულია, მაგრამ მამის მეგობარს გულგრილად ხომ ვერ ჩაუვლის და გადაეხვევა... დიახ, ამის მოფიქრება და გაკეთება მხოლოდ კახი კავსაძეს შეეძლო, ჩვენს შეუდარებელ „დონ კიხოტს“.

**— სამომავლოდ რას ფიქრობთ?**

— როგორც გითხარით, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების ახლოს გაცნობამ მათზე ფილმების შექმნის სურვილი გამიორკეცა. შესანიშნავი კადრები მაქვს დავით ხახალეიშვილზე, კახი კახიაშვილზე, ლეილა მესხზე. პარიზში ორჯერ ვიყავი როლან გაროსზე. მაშინ მეგობრების დახმარებით იქაური კინოდოკუმენტალისტები გავიცანი. არქივიდან კადრები მომეცით და, სამაგიეროდ, მათი დახმარებით შექმნილ ფილმებს გაჩუქებთ-მეთქი. ისინიც დამთანხმდნენ. ასე ჩამივარდა ხელთ ერთ-ერთი ფირიც, რომელზეც 1911 წელს მცხეთაში ცეკვით შესრულებული ქართული ჭიდაობაა აღბეჭდილი. სხვა ბევრი საინტერესო მასალაც მაქვს, მაგრამ ფილმების შესაქმნელად სახსრები არ არის. დაფინანსება თუ იქნება, ეს კადრებიც იხილავენ მზის შუქს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**
ავტორის ფოტო



## კალათბურთი

### ინტერვიუ დუდა სანაძესთან

# ამერიკაში სასწავლად



დუდა სანაძე 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე ლატვიასთან მატჩისას

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბომბარდირი **დუდა სანაძე** (1992 წელსაა დაბადებული, 196 სმ სიმაღლისაა) ამჟამად ამერიკაში, სან დიეგოს კოლეჯში სწავლობს და სასწავლებლის საკალათბურთო გუნდში ვარჯიშობს. ჯერ ვერ თამაშობს, რადგან ლიცენზია არ აქვს.

მართალია, დუდას სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ გუნდთან ერთადაც აქტიურად ემზადება და ინდივიდუალური მწვრთნელიც ჰყავს. განსაკუთრებით, ფიზმომზადებას აქცევს ყურადღებას, რაც ევროპაში დაბრუნების შემდეგ აუცილებლად გამოადგება.

საიტმა Europeanprospects.com-მა გამოაქვეყნა ინტერვიუ სანაძესთან, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**- რატომ გადაწყვიტე ამერიკის კოლეჯის გუნდში გადასვლა?**

- ვფიქრობ, ამერიკაში პროგრესირების საშუალება მექნება და აქ მიღებული გამოცდილება ევროპაში დაბრუნების შემდეგ გამომადგება.

**- ყველაზე მეტად რომელი კომპონენტის გაუმჯობესებაზე მუშაობ?**

- უფრო ფიზმომზადებაზე. ასევე ვვარჯიშობ სისწრაფეზე, დაცვაზე, ტყორცნაზე და კიდევ არაერთ დეტალზე. ვფიქრობ, მათი დახვეწა ევროპაში დაბრუნების შემდეგ სათანადო შედეგს გამოიღებს.

**- „სან დიეგოს" მაისურით ჯერ ერთი ოფიციალური მატჩიც არ გითამაშია...**

- რადგან გუნდის ახალწვეული ვარ, ამავე დროს ევროპაში ბევრი პროფესიონალური მატჩი მაქვს ჩატარებული, ამერიკაში ჩამოსვლიდან პირველივე წელს თამაშის უფლება არ მაქვს. ამაზე არ ვღელავ, ვემზადები და მომავალი სეზონიდან ვითამაშებ კიდეც.

**- სასწავლებელში რა სპეციალობას ეუფლები?**

- ბიზნესს ვსწავლობ, რომელსაც არაერთი განხრა აქვს და მეტად საინტერესოა.

**- 4 წლის შემდეგ სად იქნება დუდა სანაძე?**

- მინდა გავუმჯობესდე როგორც დაცვის, ასევე შეტევის კუთხით და კალათბურთი კარგ პროფესიონალურ გუნდში ვითამაშო.

**- „სან დიეგოში" კიდევ სამი ევროპელია: ჰოლანდიელი ჯიტო კოკი და ბერძენი ჯონ სინისი ახლახან ჩამოვიდნენ, გერმანელი დენის კრამერი კი ამერიკაშია გაზრდილი. რა სხვაობას ხედავ აქაურ და ევროპულ კალათბურთს შორის?**

- მოთამაშეებს მაინც ეტყობათ ევროპული სტილი, მაგრამ ამერიკულ კალათბურთსაც იოლად აუღეს ალღო. სხვადასხვა კუთხით გუნდისთვის ყველა სასარგებლოა.

### ტრანსფერი

## ბერძენი [illegible]



„შსს აკადემიამ" ბერძენი კალათბურთელი **სპირიდონ ნოტისი** დაიმატა. მასთან კონტრაქტი უკვე გაფორმდა და გუნდს მარტში შეუერთდება. ამის შესახებ „აკადემიას" სპორტულმა დირექტორმა **ლევან მიქაბერიძემ** გვაცნობა.

- სპირიდონ ნოტისი „შსს აკადემიას" მწვრთნელ გიორგიოს კეცელიდისთან აქამდეც მუშაობდა. ასე რომ, გუნდის დამრიგებელმა კარგად იცის კალათბურთელის შესაძლებლობა და იმედი გვაქვს, პლეი ოფისთვის სათანადოდ დაგვეხმარება, - დასძინა ლევან მიქაბერიძემ.

ნოტისი 1978 წელსაა დაბადებული და 202 სმ სიმაღლისაა. მართალია, ცენტრის პოზიციის კვალობაზე ნოტისი არცთუ მაღალია, მაგრამ საიტ „ევრობასკეტზე" ამპლუის გრაფაში სწორედ „ცენტრი" უწერია. შსს-ში იგი მეოთხე-მეხუთე ნომრების პოზიციებზე ითამაშებს.




### სუპერლიგის კალენდარი. II წრე

| | |
|---|---|
| **I ტური** | |
| **4 თებერვალი** | |
| 17:00 | ბათუმი-შსს აკადემია |
| 18:00 | რუსთავი-სტუ |
| **6 თებერვალი** | |
| 14:00 | თსუ-დინამო |
| 16:00 | სამედიცინო-ქუთაისი |
| 18:00 | სოხუმი-ოლიმპი |
| **II ტური** | |
| **9 თებერვალი** | |
| 11:45 | დინამო-ბათუმი |
| 14:00 | სოხუმი-შსს აკადემია |
| 16:00 | სამედიცინო-რუსთავი |
| 18:00 | სტუ-თსუ |
| **10 თებერვალი** | |
| 18:00 | ქუთაისი-არმია |
| **III ტური** | |
| **15 თებერვალი** | |
| 17:00 | ბათუმი-ოლიმპი |
| 18:00 | რუსთავი-დინამო |
| **16 თებერვალი** | |
| 14:00 | სტუ-ქუთაისი |
| 16:00 | თსუ-შსს აკადემია |
| 18:00 | სამედიცინო-არმია |
| **IV ტური** | |
| **22 თებერვალი** | |
| 17:00 | ბათუმი-სოხუმი |
| 18:00 | რუსთავი-შსს აკადემია |
| **23 თებერვალი** | |
| 14:00 | დინამო-ქუთაისი |
| 16:00 | თსუ-ოლიმპი |
| 18:00 | სტუ-არმია |
| **V ტური** | |
| **1 მარტი** | |
| 18:00 | რუსთავი-თსუ |
| 18:00 | ქუთაისი-ბათუმი |
| **2 მარტი** | |
| 14:00 | არმია-სოხუმი |
| 16:00 | შსს აკადემია-სტუ |
| 18:00 | ოლიმპი-სამედიცინო |
| **VI ტური** | |
| **8 მარტი** | |
| 18:00 | ქუთაისი-ოლიმპი |
| **9 მარტი** | |
| 11:45 | თსუ-ბათუმი |
| 14:00 | შსს აკადემია-არმია |
| 16:00 | დინამო-სამედიცინო |
| 18:00 | სოხუმი-რუსთავი |
| **VII ტური** | |
| **13 მარტი** | |
| 11:45 | სამედიცინო-ბათუმი |
| 14:00 | ოლიმპი-დინამო |
| 16:00 | არმია-თსუ |
| 18:00 | სოხუმი-სტუ |
| **15 მარტი** | |
| 18:00 | რუსთავი-ქუთაისი |
| **VIII ტური** | |
| **22 მარტი** | |
| 17:00 | ბათუმი-სტუ |
| **27 მარტი** | |
| 11:45 | სამედიცინო-თსუ |
| 14:00 | ოლიმპი-შსს აკადემია |
| 16:00 | არმია-რუსთავი |
| 18:00 | სოხუმი-დინამო |
| **IX ტური** | |
| **30 მარტი** | |
| 11:45 | თსუ-სოხუმი |
| 14:00 | ოლიმპი-რუსთავი |
| 16:00 | შსს აკადემია-ქუთაისი |
| 18:00 | დინამო-არმია |
| 20:00 | სტუ-სამედიცინო |
| **X ტური** | |
| **5 აპრილი** | |
| 17:00 | ბათუმი-არმია |
| 18:00 | ქუთაისი-თსუ |
| **6 აპრილი** | |
| 14:00 | შსს აკადემია-დინამო |
| 16:00 | ოლიმპი-სტუ |
| 18:00 | სოხუმი-სამედიცინო |
| **XI ტური** | |
| **12 აპრილი** | |
| 17:00 | რუსთავი-ბათუმი |
| 18:00 | ქუთაისი-სოხუმი |
| **13 აპრილი** | |
| 14:00 | ოლიმპი-არმია |
| 16:00 | დინამო-სტუ |
| 18:00 | შსს აკადემია-სამედიცინო |

### დანაშაული და სასჯელი

# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

საქართველოს თასის მე-11 გათამაშების ფინალური მატჩის ბოლოს, დამატებითი მეოთხედის უკანასკნელ წუთებზე, „შსს-აკადემიის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი დავით არეშიძე უცენზურო სიტყვებით მივიდა პრესსამსახურის წარმომადგენლებთან. მიუხედავად პრესსამსახურის წარმომადგენელთა თხოვნისა, დაბრუნებულიყო კუთვნილ ადგილას სათადარიგოთა სკამზე, დავით არეშიძემ გააგრძელა უხეში სიტყვებით საუბარი და უმისამართოდ იმუქრებოდა.

ზემოხსენებული ფაქტი კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკურმა კომისიამ განიხილა. დისციპლინური დარღვევებისთვის საქართველოს თასის დებულების თანახმად „შსს აკადემიას" მწვრთნელის ასისტენტ დავით არეშიძეს განესაზღვრა შემდეგი სასჯელი - ჯარიმა 200 პირობითი ერთეული და დისკვალიფიკაცია სუპერლიგის 5 თამაშით.

ამასთან, ასაკობრივი ლიგების ხელმძღვანელობამ იმსჯელა შემდეგ დარღვევაზე: ამა წლის 26 იანვარს, ქუთაისის სპორტული სკოლის დარბაზში წინასწარ დადგენილი კალენდრით უნდა გამართულიყო 14-წლამდელთა ჩემპიონატის მატჩი „ქუთაისსა" და „აკადემია 2-ს" შორის. ვინაიდან დარბაზში გაუმართავი იყო ინფრასტრუქტურა, კერძოდ კი არ მუშაობდა 24 წამის დამთვლელი, სტუმარმა გუნდმა „აკადემია 2-მა" უარი განაცხადა მატჩში მონაწილეობაზე. ქუთაისის სპორტული სკოლის დარბაზში არსებული დარღვევის შესახებ მატჩის კომისარმა წერილობით აცნობა კალათბურთის ფედერაციას.

ასაკობრივი ლიგების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით კლუბ „ქუთაისს" 200 პირობითი ერთეული ჯარიმა დაეკისრა. თუ ანალოგიური დარღვევა განმეორდება, ჯარიმა გაორმაგდება, ხოლო მესამე შემთხვევაში კლუბი მოიხსნება ჩემპიონატიდან.

ასაკობრივი ლიგების ხელმძღვანელობამ აგრეთვე იმსჯელა 16-წლამდელთა ჩემპიონატში დაფიქსირებულ ფაქტზე - გუნდიდან გუნდში მოთამაშის გადასვლაზე ორგანიზატორებთან შეუთანხმებლად. კერძოდ, „სოხუმის" ხელმძღვანელობამ „მართვე 3-ის" ყოფილი წევრი ლუკა მწარიაშვილი თავის გუნდში სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე ათამაშა. ეს ფაქტი დააფიქსირა აგრეთვე სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების ვებ-გვერდების საერთო მონაცემთა ბაზამ. ასაკობრივი ლიგების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, „სოხუმის" მთავარი მწვრთნელი ლიკა ქაჯაია დისკვალიფიცირებული იქნა 4 თამაშით.

### საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი

**კაქტუსი–სოხუმი 34:53**

12:9, 3:14, 5:16, 14:14

**კაქტუსი:** პაქსაშვილი (4ქ), შველიძე. ერაძე (13ქ, 7მ), ხითარიშვილი (2ქ), გოგოლაძე, ელიკაშვილი (1ქ), ზოსიმოვი, ესართია (10ქ, 6მ), შერმადინი (2ქ, 15მ), მეზურნიშვილი (2ქ, 11მ).

**სოხუმი:** ტუზაძე (17ქ, 8მ), მამედოვი (2ქ), პატარაია (5ქ), მორჩილაძე, ბახტაძე, ცქიტიშვილი, კვერნაძე (12ქ, 19მ), ჯაჯვანი (1ქ, 18მ), მწარიაშვილი (3ქ, 7მ),ყეინაშვილი (13ქ, 17მ, 4პ, 7ჩ).

**მართვე–კარდინალები 2 68:46**

14:16, 18:9, 18:14, 18:7

**მართვე:** ტოლიაშვილი (22ქ, 17მ, 5ჩ, 6დ), პაპიძე, მეტრეველი, შერმადინი (4ქ), ჯგუშია (20ქ, 26მ), მურჯიკნელი (2ქ), დიდებაშვილი, გოგავა, გიორგაძე, ჭიჭვეიშვილი (16ქ, 10ჩ), ქავთარაძე (4ქ), ცქვიტინიძე.

**კარდინალები 2:** სარიშვილი (2ქ), შიოლაშვილი (2ქ, 9მ), ტოროტაძე, მჭედლიშვილი (3ქ, 11მ), სანიკიძე (1ქ), მათიაშვილი (19ქ, 8მ), ღლონტი (1ქ), დემეტრაშვილი (9ქ, 8მ), კენჭიაშვილი (5ქ, 6ჩ), ჩიხლაძე (4ქ), ამაშუკელი.

**კარდინალები–აკადემია 56:59**

15:17, 15:21, 8:12, 18:9

**კარდინალები:** კვირკველია (3ქ), ტურაშვილი (12ქ, 6ჩ), ლოლიშვილი (13ქ, 8მ), ყიფშიძე, ნებიერიძე (4ქ, 8მ), ყირიმელი (8ქ, 5პ), ნადარაია (9ქ), მახარაშვილი (2ქ), ალიევი (5ქ, 10მ).

**აკადემია:** ცხოვრებოვი (2ქ), ბულაშვილი (12ქ), გოცაძე, დემეტრაძე (2ქ), აკობია (2ქ, 5პ), ლეონიძე (3ქ), გიორგაძე (6ქ, 14მ), ცირეკიძე (20ქ), მამარაშვილი (7ქ), აფხაზავა (3ქ), მახარაძე (2ქ).

**ლომები–დინამო 41:68**

4:17, 12:11, 15:24, 10:16

**ლომები:** გვარაძე, კულდონაშვილი (1ქ), ბაზერაშვილი (4ქ, 7მ), რასოები (1ქ), მთიულიშვილი (4ქ), ბარბაქაძე (3ქ), გაგოშიძე (2ქ), ბერუაშვილი (8ქ), ბექაური (13ქ), ზედგენიძე (2ქ), არეშიძე (3ქ), მიქელაძე.

**დინამო:** თვალაბეიშვილი (11ქ, 16მ), ჩილაჩავა (4ქ), შარაბიძე (2ქ), დევიდსონი (3ქ), სულიმაშვილი, დარბაიძე (4ქ), ხარძიანი (3ქ), ჭანტურია (9ქ, 7მ), გვიანიძე (11ქ, 10მ), წირღვავა (4ქ), მაჭავარიანი (17ქ, 8მ).

**იმედი–AXE 74:30**

19:2, 14:11, 16:6, 25:11

**იმედი:** კვიჟინაძე (2ქ), ბაბუციძე, ფიოდოროვი, ბრეგვაძე (8ქ), საჯაია (3ქ, 8პ), ლონღაძე (2ქ), ვაშაკიძე, ბუაჩიძე (12ქ, 19მ, 5ჩ), ევგენიძე (27ქ, 23მ), ელოშვილი (20ქ, 11მ), კობაიძე, უსუფაშვილი.

**AXE:** კუპრავა, თარაშვილი (4ქ), ყუშიტაშვილი (4ქ), ბარათელი (9ქ, 12მ), გვეტენაძე (6ქ), ხელაშვილი (3ქ), დარბაიძე (2ქ), ძნელაძე (2ქ, 8მ), თურქაძე, ბაკურიძე, ჩიხლაძე (8მ), ჯაში.

**მარნეული–ჰიუნდაი 42:66**

9:16, 9:21, 9:17, 15:12

**მარნეული:** შამფრიანი (9ქ), გენ. ბოჭოიძე, სარქისიანი (17ქ, 9მ), ჩხიტუნიძე, ფხალაძე, გოგოლაძე, ბახტურიძე (6ქ), გიორ. ბოჭოიძე (3ქ), მარგიანი (7ქ, 13მ, 5ჩ).

**ჰიუნდაი:** მ. ოდიშარია, ცინცაძე, ბერულავა, ლოლუა (12ქ, 5პ), ომაძე, ვ. ოდიშარია (21ქ, 13მ), აბულაძე (6ქ), ბერომვილი (20ქ, 15მ), ტაბატაძე (3ქ), ჩხეიძე (2ქ), ტყეშელაშვილი, გონჯილაშვილი (2ქ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 8 | 8 | 0 | 879/248 | 16 |
| 2. რუსთავი 1 | 8 | 7 | 1 | 768/330 | 15 |
| 3. სოხუმი | 8 | 7 | 1 | 441/362 | 15 |
| 4. ქუთაისი 2 | 8 | 6 | 2 | 637/479 | 14 |
| 5. ჰიუნდაი | 8 | 5 | 3 | 499/409 | 13 |
| 6. რუსთავი 3 | 9 | 3 | 6 | 498/707 | 12 |
| 7. მართვე | 8 | 3 | 5 | 448/594 | 11 |
| 8. მართვე 3 | 8 | 3 | 5 | 401/602 | 11 |
| 9. აკადემია 2 | 8 | 3 | 5 | 398/528 | 11 |
| 10. მარნეული | 8 | 2 | 6 | 318/478 | 10 |
| 11. კაქტუსი | 8 | 2 | 6 | 347/579 | 10 |
| 12. თბ. კარდინალები 2 | 9 | 0 | 9 | 353/671 | 9 |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თბ. კარდინალები | 8 | 7 | 1 | 579/363 | 15 |
| 2. მართვე 2 | 7 | 7 | 0 | 735/324 | 14 |
| 3. დინამო | 8 | 4 | 4 | 556/481 | 12 |
| 4. ლომები | 8 | 4 | 4 | 457/400 | 12 |
| 5. აკადემია | 6 | 6 | 0 | 546/243 | 12 |
| 6. ქუთაისი | 7 | 5 | 2 | 596/411 | 12 |
| 7. იმედი | 8 | 3 | 5 | 454/608 | 11 |
| 8. მართვე 4 | 8 | 2 | 6 | 390/637 | 10 |
| 9. რუსთავი 2 | 8 | 2 | 6 | 466/608 | 10 |
| 10. ბათუმი | 6 | 4 | 2 | 401/354 | 10 |
| 11. AXE | 8 | 1 | 7 | 330/645 | 9 |
| 12. TBC-თბილისი | 8 | 0 | 8 | 290/726 | 8 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი



# ბორჯღალოსნები შავ ეშმაკებს დააფრთხობენ

**დღეს ბრიუსელში საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ შეხვედრას ბელგიის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნები“ ამ ქვეყნის დედაქალაქში ხუთშაბათს საღამოს ჩავიდნენ და გუშინ ბოლო, კაპიტნის ვარჯიში გამართეს.**

ცოტა რამ ჩვენი მეტოქის, ბელგიის ნაკრებისა და იქაური რაგბის შესახებ. ამ ქვეყნის ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი 1932 წლის 13 მარტს გამართა მეზობელი, ჰოლანდიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ეს გუნდები მხოლოდ ერთმანეთთან თამაშობდნენ. 1937 წელს ბელგიელებმა გერმანიისა და იტალიის ნაკრებებთან ითამაშეს და ორივე მატჩში დამარცხდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბელგიელთა ასპარეზობის არეალი გაფართოვდა. მათ მეტოქეთა რიგებს დაემატნენ ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებები. თუმცა დიდი მიღწევები „შავ ეშმაკებს“ არ ჰქონიათ.

ბელგიური რაგბის აღმასვლა 2004 წლიდან დაიწყო. აქაური რაგბი ბოლო წლებში აშკარად პროგრესირებს. ბელგიელებმა, როგორც ჩანს, სპორტის ამ სახეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს და მზერა, ისევე როგორც ჩვენ, საფრანგეთისკენ მიაპყრეს. იმ განსხვავებით, რომ იქაური მოთამაშეების ნატურალიზებას ეწევიან.

საგულისხმოა, რომ ბელგიელებმა განვითარებისთვის სწორი გეზი აიღეს. ჯერ ასაკობრივი ნაკრებების განვითარება დაიწყეს, რამდენიმე ტურნირს თვითონაც უმასპინძლეს. მათ ახალგაზრდულ ნაკრებებს სამი-ოთხი წელიწადი დასჭირდათ საიმისოდ, რომ რუმინელი და რუსი თანატოლები უკან მოეტოვებინათ.

რვა წლის წინათ ბელგიის ნაკრები მსოფლიოს კლასიფიკაციაში 55-ე ადგილზე იყო, ნელ-ნელა გუნდმა პროგრესის პარალელურად წინ წაიწია და წლეულს, ერთა თასის დაწყების წინ, 21-ე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა ერთა თასის ძველ ბინადარს პორტუგალიის ეროვნულ გუნდს გადაასწრო, რომელიც ამჟამად კლასიფიკაციაში 22-ეა.

საგულისხმოა, რომ ბელგიელებს ორი წელიწადია არ წაუგიათ. ერთა თასის B ჯგუფში მათ ათი თამაშიდან ათივე მოიგეს და ჩვენთან ხელმოცარული უკრაინის ნაკრები ჩაანაცვლეს. „შავმა ეშმაკებმა“ ნოემბერში დუბაიში ორი ტესტმატჩი გამართეს და ორივეში გაიმარჯვეს. პირველ შეხვედრაში ბელგიელებმა ზიმბაბვეს ნაკრებს მოუგეს - 28:11, მერე კი ჰონგკონგი დაამარცხეს - 24:12.

ჩვენი დღევანდელი მეტოქის შოტლანდიური წარმოშობის ფრანგმა თავკაცმა **რიჩარდ მაკლინტოკმა** იმ 23 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც „ბორჯღალოსნებს“ დაუპირისპირდებიან. მათ შორის 14 ლეგიონერია, რომელთაგან 13 საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონის გუნდებში ასპარეზობენ, ერთიც ავსტრალიური „მელბურნ ჰარლიქვინზის“ წარმომადგენელია. ცხადია, მათი სახელები არაფერს გვეუბნებიან, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბელგიელებს დასაკარგი არაფერი აქვთ და ეცდებიან, ნებისმიერ მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობის შესახებ უკვე ვწერდით, შეგახსენებთ, რომ ბელგიელებთან მატჩში გუნდს მეორეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** უკაპიტნებს.

დღესვე გაიმართება პირველი ტურის კიდევ ორი მატჩი. რუსეთის ნაკრები სოჭში ესპანეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. პორტუგალიელები კი რუმინელებს ლისაბონში დაუხვდებიან.

ერთა თასზე ანუ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე „ბორჯღალოსნების“ უმთავრესი კონკურენტი ისევ რუმინეთის ნაკრები იქნება. „მუხის ფოთლებმა“ ერთა თასის შარშანდელ გათამაშებაში ხუთი თამაშიდან სამი მოიგეს და ორში დამარცხდნენ, შედეგად სატურნირო ცხრილში წინ საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებები გაუშვეს და მესამე ადგილი დაიკავეს.

„სტეუარისთვის“ წარუმატებელი გამოდგა ნოემბრის ტესტები. რუმინელებმა ბუქარესტში ჯერ იაპონიის ნაკრებთან წააგეს 23:34, მერე კი აშშ-ს ეროვნულ გუნდთან დამარცხდნენ 3:34. რუმინელთა უელსელმა მწვრთნელმა **ლინ ჰოულსმა,** როგორც ჩანს, აქცენტი ახალი გუნდის შენებაზე გადაიტანა და ნაკრებში ძირითადად ახლგაზრდა მოთამაშეებს უხმო. გამოცდილთაგან ძირითად შემადგენლობაში უკანახაზელები **კატალინ ფერკუ** და **ფლორინ ვლაიკუ** არიან. ოდესღაც რუმინელთა ლიდერი და ლამის ერთადერთი საერთაშორისო დონის მორაგბე **ოვიდიუ ტონიცა** კი სათადარიგოთა შორისაა. ჰოულსმა ნდობა გამოუცხადა ძმებს **ვალი** და **ანდრეი ურსაკეს,** პირველი მეორეხაზელია, მეორე კი შერკინების ბურჯი გახლავთ. კაპიტანი კი ისევ მესამეხაზელი **მიჰაი მაკოვეი** იქნება.

პირველ ტურში რუმინელთა მეტოქე პორტუგალიის ნაკრები მომავალი ბატალიებისთვის გამალებით ემზადება და ორი საწვრთნელი შეხვედრის გამართვაც მოასწრო. „ლობუშებმა“ საფრანგეთისა და ინგლისის სტუდენტურ ნაკრებებთან ითამაშეს და ორივეში დამარცხდნენ, თუმცა ამის გამო უარყოფითი დასკვნის გამოტანა ნაადრევი იქნება, რადგან პორტუგალიელთა შემადგენლობაში ლეგიონერები არ იყვნენ. ნამდვილი ძალის დემონსტრირებას ეს გუნდი სწორედ ერთა თასზე მოახდენს. მით უფრო, რომ „ლობუშებმა“ ნოემბრის ტესტებზე სამხრეთ ამერიკაში იმოგზაურეს, სადაც მათ ურუგვაისა და ჩილეს ნაკრებებს სძლიეს, რამაც ახალზელანდიელი მწვრთნელის, **ეროლ ბრაიანის** პოზიციები საგრძნობლად გაამყარა. რამდენად სწორია მის მიერ აღებული კურსი, მალე გამოჩნდება.

საინტერესო ბრძოლა იქნება სოჭში, სადაც რუსეთის ნაკრები ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. რუსთა უელსელმა თავკაცმა **კინგსლი ჯოუნზმა** საესპანეთო მებრძოლ რაზმში ქართული წარმოშობის პირველხაზელები **გრიგორი** და **ვალერი ცნობილაძეები** ძირითად შემადგენლობაში დააყენა, **პაველ კვერნაძე** კი განაცხადში ვერ მოხვდა.

ესპანელები სოჭს ჯერ კიდევ სამშაბათს ეწვივნენ და საბრძოლველად ემზადებიან. ქართველი მორაგბე მათ შორისაცაა. „არმიას“ შერკინების ბურჯი **დავით გურგენიძე** სათადარიგოთა შორის გაამწესეს. გუნდში ბევრი ისეთი მოთამაშეა, რომლებსაც ერთა თასზე დებიუტი ექნებათ.

### ბელგია-საქართველო

**ბელგია:** 15. ალან ვილიამსი, 14. ელიოტ ფან ტრაპენი, 13. ტობი ანდრე, 12. გიომ ბრებანი, 11. გიომ პირონი, 10. კარლოს პიერო, 9. ჟულიან ბერჟე. 1. ჟულიან მასიმი. 2. ნორმან ვენდე, 3. მაქსიმ ჟადო, 4. მატიო ფერსხელდენი, 5. სირილ ნანა, 6. ტომას დე მოლდერი, 7. ენდრიუ ნილი, 8. ჟულიან მორელი.

16. ალენ მირიალაკისი, 17. ალექსის კუფოლო, 18. რაფაელ ოლივიე, 19. ბერნარ ბილი, 20. მიკა დე მოლდერი, 21. ჩარლი ფურნო, 22. სებასტიან ხუნსი, 23. კევინ ადამსი.

**საქართველო:** 15. ბექა ნიკლაური, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. რეზო ბელქანია, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. შალვა სუთიაშვილი, 20. ბექა ბინაძე, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. ლაშა ხმალაძე, 23. გიორგი ფრუიძე.

**მსაჯი:** მატეო ლიპერინი (იტალია)

### ერთა თასი

**I ტური**

ბელგია-საქართველო
რუსეთი-ესპანეთი
პორტუგალია-რუმინეთი

ექვსი ერი

# ფავორიტი ორია: ინგლისი და საფრანგეთი

**ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებას რაგბის ქომაგი განსაკუთრებით ელის. შარშანდელი სეზონი მსოფლიოს თასის გათამაშების შემდგომი ეტაპი იყო, რომლის დროსაც გუნდებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობდა და მწვრთნელები ექსპერიმენტებს არ ერიდებოდნენ.**

ამჟამად ექვსი ერის მონაწილე ნაკრებების ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბებულია და თამამად შეიძლება იმსჯელო, ვინ ფავორიტია და ვინ აუტსაიდერი. წინასწარი გათვლებით, პირველობისთვის საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებებმა უნდა იბრძოლონ. გულხელდაკრეფილი, ცხადია, არც ირლანდიის ეროვნული გუნდი იქნება. უელსელთა ნაკრებს კი, რომელიც შარშანდელი ტურნირის გამარჯვებულია, პრეტენდენტად მორაგბეთა მომრავლებული ტრავმიანობის გამო არ განიხილავენ.

პირველ ტურში „წითელი ურჩხულები“ შინ ეთამაშებიან ირლანდიის ეროვნულ გუნდს. უელსელებმა ზემოთნახსენები პრობლემების გამო ზედიზედ შვიდი თამაში წააგეს და თავგამოდებით შეეცდებიან წარუმატებლობათა ეს სერია შეწყვიტონ. შარშან, დუბლინში, უელსის ნაკრებმა მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე **ლეიგ ჰალპფენის** საჯარიმოს წყალობით მოიგეს და „დიდი სლემი“ შეასრულეს.

გუნდს, ამჯერად, შარშანდელი ტრიუმფის ავტორთაგან წამყვანი მოთამაშეები აკლია. ესენია: **ბრედლი დევისი, ლუკ ჩარტერისი, რაიან ჯოუნზი, ალან-ვინ ჯოუნზი** და **დენ ლიდიატი,** რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ასეთი დანაკლისის გამო ჯანმრთელად დარჩენილ „წითელ ურჩხულებს“ გაორმაგებული ძალით გარჯა მართებთ.

უელსის ნაკრების ქომაგები მაინც იმედიანად არიან, რადგან სრულ მზადყოფნაში იმყოფებიან ახალგაზრდა უკანახაზელები, მსოფლიოს რაგბის ამომავალი ვარსკვლავები **ჯორჯ ნორსი, ალექს კატბერტი** და **ჯონათან დევისი.** თუმცა „სამყურებთან“ დაპირისპირების შემდეგ, მათ სათაყვანებელ გუნდს ზედიზედ სამი გასვლითი მატჩი აქვს სათამაშო. ბოლო ტურში კი, შინ ინგლისის ნაკრებს მიიღებს. რაც იმის მანიშნებელია, რომ 2009 წლის შემდეგ, „წითელ ურჩხულებს“ პირველად არ აქვთ შანსი „დიდი სლემი“ შეასრულონ.

ირლანდიის ნაკრების მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება მეტოქისაგან. გუნდს ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელებული ლიდერი, შუამარბი **ბრაიან ოდრისკოლი** დაუბრუნდა, თუმცა ის გუნდის კაპიტანი აღარ იქნება. ეს მისია **ჯიმი ჰისლიპს** დაეკისრა.

ტურნირის ფავორიტი, ინგლისის ნაკრები ლონდონში, „თვიქნემზე“ „ხის კოვზის“ ამჟამინდელ მფლობელს, შოტლანდიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „პომებმა“ შარშანდელი ტურნირის შემდეგ თამაშის დალაგება, წინ წასვლა შეძლეს, რაც ივნისისა და ნოემბრის ტესტებში მიღწეულ შედეგებში აისახა. მასპინძლები მატჩს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან. ერთადერთი სერიოზული დანაკლისი, საწვრთნელი შეკრების დროს დაშავებული შუამარბი **მანუ ტუილაგია.** მის ნაცვლად ინგლისელთა თავკაცმა **სტიუარტ ლანკასტერმა** ძირითადში ადგილი **ბილი თველვეტრისს** ანდო. მისივე გადაწყვეტილებით, გამოცდილი მგეზავი **ტობი ფლუდი** სათადარიგოთა სკამზე იქნება, გუნდს კი ახალგაზრდა **ოუენ ფარელი** დაგეზავს.

„ნარშავებს“ 2011 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ, საქმე სულ უკან-უკან მისდით. ნოემბრის ტესტებზე განცდილი კრახის გამო გუნდის ინგლისელი თავკაცი **ენდი რობინსონი** გადადგა და ახლა „სკოტებს“ დროებით დანიშნული მწვრთნელები ჰყავთ ავსტრალიელი **სკოტ ჯონსონის** მეთაურობით.

სავარაუდოდ, გამარჯვებით დაიწყებს ასპარეზობას სტუმრად იტალიის ეროვნულ გუნდთან საფრანგეთის ნაკრები, რომელიც ბოლო წელიწადია ერთ-ერთ ყველაზე ორგანიზებულ, ეფექტურად მოთამაშე გუნდად ჩამოყალიბდა. **ფილიპ სენტ-ანდრემ** ისიც კი მოახერხა, რომ თუ დასჭირდება, ორ ერთნაირი ძალის გუნდს გამოიყვანს. თავად განსაჯეთ, იტალიასთან მატჩისთვის სათადარიგოთა შორის დასვა ისეთი ვარსკვლავები **მორგან პარა, ფრანსუა ტრინ-დუკი, - ბენიამინ კაიზერი** და **მატიო ბასტარო** რომ არიან.

იტალიელები ფრანგი თავკაცის **ჟაკ ბრუნელის** მეცადინეობით შეეცდებიან „ლე ბლოს“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ. რამდენად გამოუვათ ეს, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ კვირას გამოჩნდება.

### ექვსი ერი

**I ტური**

უელსი-ირლანდია
ინგლისი-შოტლანდია
იტალია-საფრანგეთი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


ტომაშ ვანეკი

# ოტავამ ლიდერი დაკარგა

დიდი სათამაშო დღე შედგა გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში, რის შემდეგაც პირველ ვარსკვლავად გამოცხადდა „ბაფალო სეიბრზის“ ფორვარდი **ტომაშ ვანეკი**. მან ხუთი ქულა (3 შაიბა+2 პასი) დააგროვა „ბოსტონთან“ 7:4 მოგებულ მატჩში. აღსანიშნავია, რომ ეს თავდამსხმელი ამ სეზონში უკვე მეორედ აგროვებს ერთ მატჩში ხუთ ქულას. პირველად მან ორი გოლი გაიტანა და სამი შედეგიანი პასი შეასრულა „ფილადელფიასთან“ მატჩში. სულ მიმდინარე რეგულარულში ვანეკის ანგარიშზე 15 ქულა (6+9) მოდის.

დღის მეორე ვარსკვლავი გახდა „პიტსბურგის“ მეკარე **ტომაშ ვოკოუნი**, რომელმაც „ნიუ იორკ რეინჯერსის“ ყველა დარტყმა (28) მოიგერია და „შათაუტი“ შეასრულა. მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო „კოლორადო ეველანშის“ ფორვარდ **ჯონ მიტჩელს** - მან დუბლი შეასრულა „კალგარისთან“ მატჩში და ამას ერთი საგოლე პასიც დაუმატა.

■ ■ ■

ამასობაში, სერიოზული დანაკლისი განიცადა „ოტავა სენატორზმა“. ამ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯეისონ სპეცამ** ზურგის ტრავმა მიიღო, რის გამოც გამოტოვა „ვაშინგტონთან“ და „მონრეალთან“ შეხვედრები. საბოლოოდ, ექიმებმა თავდამსხმელს ხერხემლის დაზიანება აღმოუჩინეს, რის მკურნალობასაც ოპერაცია დასჭირდება, რომელსაც სპეცა უახლოეს დღეებში გაიკეთებს.

წინასწარი პროგნოზით, სპეცა ექვსი-რვა კვირა ვერ შეძლებს თამაშს. ასე რომ, ოტაველი გამოტოვებს დაახლოებით 25 შეხვედრას, არადა, ისედაც შემოკლებული რეგულარული ჩემპიონატი 48 მატჩისგან შედგება.

**ბოსტონი-ბაფალო 4:7**

0:0, 3:3: 1:4

**გოლები:** 0:1 ვანეკი-4 (ჰოჯსონი-1, პომინვილი-6), 1:1 პევერლი-1 (პეი-2, კელი-2), 2:1 მარჩანდი-4 (პ. ბერჟერონი-3), 3:1 მარჩანდი-5 (პ. ბერჟერონი-4, სეგუინი-3), 3:2 ვანეკი-5 (ერჰოფი-5, ენისი-3), 3:3 ენისი-2 (ვანეკი-8, ფოლინო-3), 4:3 კრეიჩი-2 (ჰორტონი-3), 4:4 ზულცერი-1 (გრიგორენკო-1, ჰეხტი-1), 4:5 ჰოჯსონი-4 (ვანეკი-9, პომინვილი-7), 4:6 ვანეკი-6 (ჰოჯსონი-2, მ. უებერი-2), 4:7 პომინვილი-5.

**ტორონტო-ვაშინგტონი 3:2**

1:1, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ჯ. უორდი-4 (რიბეირო-6, ჩიმერა-5), 1:1 ვან რიმსდიკი-4 (კესელი-4, ბოუაკი-3), 1:2 ოვეჩკინი-2 (რიბეირო-7, ბექსტრიომი-4), 2:2 კულემინი-1 (კოსტკა-4, მაკლემანი-1), 3:2 ფრატინი-4 (კადრი-4).

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 4:5 (ო)**

0:1, 3:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ტავარესი-3 (ბოიესი-4, ნილსენი-6), 0:2 კ. ოკუანი-4 (ჰამონიკი-3, ენდრიუ მაკდონალდი-1), 1:2 ბერნიე-1 (ს. ჯონტა-1, რ. კარტერი-1), 2:2 რ. კარტერი-1 (მ. ანდერსონი-1, ს. ჯონტა-2), 2:3 ტავარესი-4 (მოულსონი-4, ნაბოკოვი-2), 3:3 ტალინდერი-1 (ზეიჯაკი-1), 3:4 შტრაიტი-3 (ულსტრიომი-3, ციზიკასი-1), 4:4 ენრიკე-1 (კლარკსონი-4, ზუბრუსი-2), 4:5 ბოიესი-2 (ნილსენი-7, ტავარესი-7).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 მალკინი-2 (დეპრე-2, ლეტანგი-4), 0:2 ჯ. ნილი-5 (კროსბი-4, მალკინი-6), 0:3 დეპრე-1 (დუპუი-2, ადამსი-1).

**კოლამბუსი-სტ ლუისი 1:4**

0:3, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჯეკმენი-2 (რივსი-1, ლანგენბრუნერი-1), 0:2 ბერგლუნდი-4 (ოში-3, ბეკსი-4), 0:3 ტარასენკო-5 (სტინი-5, პიეტრანჯელო-7), 1:3 ბრასარი-1 (დუბინსკი-3, ვიშნიევსკი-3), 1:4 ბეკსი-1 (სობოტკა-3, ოში-4).

**ფლორიდა-ვინიპეგი 6:3**

0:0, 1:1, 5:2

**გოლები:** 1:0 ბ. კემპბელი-3 (ფლიშმანი-3, ვერსტიგი-1), 1:1 კლიტსომი-1 (ლედი-4, პოსტმა-2), 1:2 ო. იოკინენი-2 (ველერი-4), 2:2 ვერსტიგი-1 (ფლიშმანი-4, კულიკოვი-1), 2:3 ენსტრიომი-1 (უ7 კეინი-5, ველერი-5), 3:3 მიულერი-3 (გოკი-1, კუბა-2), 4:3 კოვალიოვი-2 (ფლიშმანი-5, კოპეცკი-2), 5:3 ჰუბერდო-2, 6:3 კოპეცკი-2.

**კალგარი-კოლორადო 3:6**

1:1, 2:2, 0:3

**გოლები:** 1:0 ჰუდლერი-1 (სტაიანი-1), 1:1 ჯ. მიტჩელი-3, 2:1 ჰუდლერი-2 (სტაიანი-2, ჩერვენკა-1), 2:2 პარენტო-4 (მაკგინი-2, დუშენი-4), 2:3 ჯ. მიტჩელი-4 (კობესიუ-2, მაკლეოდი-1), 3:3 ტანგეი-3 (ჰუდლერი-2, ვიდემანი-3), 3:4 პ. შჩასტნი-1 (პარენტო-2, მაკგინი-3), 3:5 პ. შჩასტნი-2 (ჯ. მიტჩელი-1), 3:6 პარენტო-5 (დუშენი-5).

**ლოს ანჯელესი-ნეშვილი 1:2 (ბ)**

1:1, 0:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 იიპი-2 (გ. ბურკი-2, ლეგუანდი-1), 1:1 დ. ბრაუნი-1 (დაუტი-1, მ. რიჩარდსი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ლეგუანდი (ნეშვილი), მ. რიჩარდსი (ლოს ანჯელესი), კ. სმიტი (ნეშვილი), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი), გ. ბურკი (ნეშვილი), ს. კოსტიცინი (ნეშვილი).

**სან ხოსე-ედმონტონი 3:2 (ბ)**

0:0, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კუტური-5, 2:0 პავულსკი-4, 2:1 სემ განიე-3 (ფისტრიჩი-1, იაკუპოვი-1), 2:2 ტ. ჰოლი-2 (ებერლე-4, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰანძუში (სან ხოსე), დ. ბოილი (სან ხოსე).

● ამერიკული ფეხბურთი

# სუპერბოული მკვლელითა და ბეიონსეთი

**კვირას, ღამით, ნიუ ორლეანში გაიმართება ამერიკული ფეხბურთის სეზონის გადამწყვეტი მატჩი - სუპერბოული. მასში ერთმანეთს შეხვდებიან გუნდები, რომლებსაც ღვიძლი ძმები ავარჯიშებენ. შემადგენლობაში იქნება კვოტერბეკი, რომელიც კარიერაში მხოლოდ მეათედ მოხვდება სასტარტოში. და კიდევ მოთამაშე, რომელიც ორმაგ მკვლელობაშია დადანაშაულებული.**

ფინალურ მატჩში ხვდებიან „ბალტიმორი“ და „სან ფრანცისკო“. ამ გუნდებს ავარჯიშებენ ძმები - **ჯონ** და **ჯიმ ჰარბოები**. ამ დღეებში მათი მშობლებისთვის მოეწყო სპეციალური პრესკონფერენცია და მათ ბოლომდე ვერ გასცეს მკაფიო პასუხი იმაზე, თუ რომელ შვილს უგულშემატკივრებენ სუპერბოულში.




ამერიკის შეერთებულ შტატებში სუპერბოული - უბრალოდ სპორტზე მეტია. ეს არის ამერიკული ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტის ნაზავი.

ასე მაგალითად, ტელევიზიის წარმომადგენლები ელიან, რომ მატჩის ტრანსლაცია გასულ წელს დამყარებულ რეკორდს მოხსნის. მაშინ, მაყურებელთა ყურადღების პიკი შესვენებაზე მოვიდა, როცა სტადიონზე **მადონა** მღეროდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე იქნება ამჯერადაც. ახლა, მთელი ყურადღება **ბეიონსეზე** იქნება გადატანილი, რომელმაც აღიარა, რომ კვირანახევრის წინ, **ბარაკ ობამას** ინაუგურაციაზე ფონოგრამით იმღერა.

სარეკორდო რეიტინგი რეკლამებიდან სარეკორდო შემოსავალს მოიტანს. ამჯერად, 30 წამი სარეკლამო დრო 4 მილიონი დოლარი ღირს.

როგორც ყოველთვის, მრავალრიცხოვანი ტელეაუდიტორიის ყურადღების გამოყენებას მოისურვებენ პოლიტიკოსები. ბარაკ ობამა მისცემს ტრადიციულ 20-წუთიან ინტერვიუს, რომელიც მატჩის წინ გავა ეთერში. თუმცა ჯერ უცნობია, შეეკითხება თუ არა პრეზიდენტს იმ დათვური სამსახურის შესახებ, რომელიც მან ფეხბურთის ეროვნულ ლიგას გაუწია. საქმე ისაა, რომ დაახლოებით ერთი კვირის წინ, ერთ-ერთ ჟურნალთან ინტერვიუში ობამამ თქვა, რომ მას ვაჟები რომ ჰყავდეს, დაფიქრდებოდა, ღირს თუ არა მათთვის ამერიკულ ფეხბურთში მეცადინეობა.

საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში სულ უფრო მეტი კვლევა ტარდება, რომელიც ადასტურებს სპორტის ამ სახეობის მავნე გავლენას ფეხბურთელის თავის ტვინზე. დღეისთვის, NFL იძულებულია უპასუხოს ყოფილი მოთამაშეების სარჩელებს. ისინი ლიგისგან იმ ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ, რომელიც მათ მოთამაშის კარიერის პერიოდში მიიღეს.

■ ■ ■

სუპერბოულში მონაწილე ყოველი გუნდის რიგებშია ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც ამერიკული პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, ვიდრე სხვა მოთამაშეებს.

ასე მაგალითად, გასულ კვირას, აშშ-ის მთავარი სპორტული ჟურნალის - Sport Illustrated-ის გარეკანზე გამოსახეს „სან ფრანცისკოს“ კვოტერბეკი **კოლინ კაპერნიკი**, ამ კვირას - „ბალტიმორის“ ლაინბეკერი **რეი ლუისი**.

კაპერნიკისთვის სუპერბოული იქნება მხოლოდ მეათე სტარტი NFL-ში. ის სეზონის შუაში შეცვლაზე შევიდა მოედანზე, როცა ტრავმა მიიღო იმ დროისთვის გუნდის მთავარმა კუოტერბეკმა **ალექს სმიტმა**. კაპერნიკმა ისე კარგად წარმოაჩინა თავი, რომ მწვრთნელმა **ჯიმ ჰარბომ** ის სმიტის გამოჯანმრთელების შემდეგაც სასტარტოში დატოვა.

ლაინბეკერ რეი ლუისს, რომელთანაც ასოცირდება „ბალტიმორი“, NFL-ში უფრო გრძელი ისტორია აქვს. სწორედ მასთან ერთად მოიგო ამ გუნდმა სუპერბოული 2000 წელს და სწორედ ხვალინდელი მატჩი გახდება ლუისისთვის უკანასკნელი მის კარიერაში.

თუმცა „ბალტიმორის“ გამარჯვების შემთხვევაში, ტრიუმფით გამოწვეული სიხარული შეიძლება გაფერმკრთალდეს. ამ კვირას გამოსული Sport Illustrated წერს, რომ ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესის დროს, ლუისი ლიგის მიერ აკრძალულ პრეპარატს იყენებდა, რასაც თავად ფეხბურთელი უარყოფს. სხვა გამოცემები კი იხსენებენ 2000 წლის დასაწყისს, როცა ლუისი ატლანტაში მომხდარი ჩხუბის დროს ორი ადამიანის მკვლელობაში იყო დადანაშაულებული. მოგვიანებით, ლუისს მოუხსნეს ბრალდება, რადგან ის გარიგებაში შევიდა გამოძიებასთან და ჩხუბის სხვა მონაწილეებზე მისცა ჩვენება. რამდენიმე წლის შემდეგ, ლუისმა თანხა გადაუხადა ერთ-ერთი მოკლულის ოჯახს, რომელმაც უარი თქვა ფეხბურთელის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელზე.

■ ■ ■

როგორც არ უნდა დასრულდეს ლუისის ისტორია აკრძალულ პრეპარატთან დაკავშირებით, NFL მომავლისგან მხოლოდ კარგს ელოდება.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში გახანგრძლივდა კონტრაქტები უმსხვილეს ამერიკულ ტელეკომპანიებთან, რომლებიც ლიგის მატჩებს გადასცემენ. ამ კონტრაქტების ღირებულება ათეული მილიარდი დოლარით იზომება. მარტო Disney-ის მფლობელობაში მყოფი ESPN 2014 წლიდან მოყოლებული ლიგას ერთი სეზონის სანაცვლოდ 1.9 მილიარდ დოლარს გადაუხდის. საშუალოდ ეს არის 100 მილიონზე მეტი რეგულარული ჩემპიონატის ერთი მატჩისთვის! ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გასულ სეზონში გაფიცვისთვის მომზადებულმა ფეხბურთელებმა თავს უფლება არ მისცეს თუნდაც ერთი მატჩი ჩავარდნილიყო - მათ მრავალი წლით გააგრძელეს ლიგასთან შრომითი ხელშეკრულება.

● ძიუდო

# ხუთი წელი გაუპატიურებისთვის

ძიუდოში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი **მასატო უჩიშიბა** ხუთწლიანი პატიმრობით დაისაჯა სტუდენტი გოგონას გაუპატიურების გამო, რომელსაც ის ძიუდოში ავარჯიშებდა. ტოკიოს სასამართლომ არ დაუჯერა უჩიშიბას, რომელიც ამტკიცებდა, რომ გოგონამ მასთან ინტიმური კავშირი ორმხრივი შეთანხმებით დაამყარა.


მასატო უტისიბა

ინციდენტი, რომელიც სასამართლო გარჩევის საგნად იქცა, 2011 წელს მოხდა, როცა უჩიშიბა კიუსიუს უნივერსიტეტში ასწავლიდა. ოლიმპიური ჩემპიონი ალკოჰოლს მიირთმევდა სტუდენტებთან ერთად, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ ძიუდოში. ერთი გოგონა გონის დაკარგვამდე დათვრა, რის შემდეგაც ის უჩიშიბამ გააუპატიურა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სტუდენტს არ შეეძლო თავისი მოქმედების გაკონტროლება.

2012 წლის იანვარში ჩემპიონი უნივერსიტეტიდან გააგდეს, ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ კი მას დისკვალიფიკაცია მისცა.

უჩიშიბამ ოქროს მედლები მოიგო 66-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში 2004 და 2008 წლის ოლიმპიადებზე. იაპონიაში მას ეროვნული გმირის სტატუსი ჰქონდა.


რონაია ტუიასოსოპო

# მანტი გეია?

საინტერესო გაგრძელება ჰპოვა ამერიკული ფეხბურთის მოთამაშის - **მანტი ტე'ოს** ისტორიამ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ამ ბიჭმა მთელი მსოფლიო განაცვიფრა თავისი ფანტასტიკური სიყვარულით არარსებული გოგონას მიმართ.

არ არის გამორიცხული, რომ ტეო ჰომოსექსუალი იყოს. მანტი „ჩაუშვა“ მისმა თანაგუნდელმა **რონაია ტუიასოსოპომ**, რომელმაც განაცხადა, რომ უყვარს ამერიკული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი (მანტი ტე'ო კოლეჯის ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და მას მომავალ დრაფტში პირველ ნომერს უწინასწარმეტყველებენ).

ამ საიდუმლოს ფარდა ახადა გუნდის ექიმმა, რომელმაც დაახლოებით ასეთი რამ თქვა: *„მე ვკითხე რონაიას - ჰქონდა თუ არა მას მანტისთან რომანტიკული ურთიერთობა, რაზეც მან დადებითი პასუხი მომცა“.*

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი


დუეინ უეიდი

# კაპიტნები და მწვრთნელი

**დუეინ უეიდი** („მაიამი ჰიტი") და **კრის პოლი** („ლოს ანჯელეს კლიპერსი") „ყველა ვარსკვლავის მატჩში" შესაბამისად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაკრებების კაპიტნები იქნებიან. თუმცა მათი კაპიტნობა მხოლოდ შაბათის პროგრამაზე გავრცელდება, როცა ჩატარდება ტრადიციული კონკურსები. შეგახსენებთ, რომ „ყველა ვარსკვლავის უქმეებს" წელს ქალაქი ჰიუსტონი უმასპინძლებს.

2013 წელს, „ოლ სტარის" უქმეები ახალი ფორმატით გაიმართება. თითოეული კონფერენციის მიერ ოთხ კონკურსში დაგროვილი ქულების მიხედვით გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი. მოგებული კონფერენცია მიიღებს 350 ათას დოლარს, წაგებული - 150 ათასს. ეს თანხა იმ საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაერიცხებათ, რომლებსაც გუნდების კაპიტნები აირჩევენ. თავად კაპიტნები კი ლიგის ხელმძღვანელობამ და მოთამაშეთა პროფკავშირმა დაასახელეს.

■ ■ ■

ასევე გაირკვა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" დასავლეთი კონფერენციის ნაკრების მწვრთნელი. ეს გახლავთ „სან ანტონიო სპურსის" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი.**

ოთხშაბათს, „შარლოტის" დამარცხების შემდეგ, „სპურსს" 48 მატჩში 37 მოგება დაუგროვდა და 3 თებერვლისთვის დაიბევა პირველი ადგილი დასავლეთ კონფერენციაში. „სპურსის" დაწევა მხოლოდ „ოკლაჰომას" შეუძლია, მაგრამ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვერ ჩაუდგება სათავეში დასავლეთს, რადგან შარშან უკვე ეკავა ეს პოსტი.

აქამდე, პოპოვიჩი ორჯერ ხელმძღვანელობდა დასავლეთის ნაკრებს - 2005 და 2011 წლებში.

**ოკლაჰომა-მემფისი 106:89**

32:22, 26:12, 21:33, 27:22

ო: დურანტი (27+7 მოხსნა+6 პასი), უესტბრუკი (21+9 მოხსნა+6 პასი), მარტინი (16), კოლისონი (12+7 მოხსნა).

მ: ბეილესი (23+6 პასი), კონლი (17+3 ჩაჭრა), გასოლი (16+7 მოხსნა), რენდოლფი (9+19 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**გ. სტეიტი-დალასი 100:97**

28:23, 27:30, 25:26, 20:18

გ-ს: ტომპსონი (27), ლი (15+20 მოხსნა+9 პასი), ჯეკი (13+9 პასი), ჰ. ბარნსი (12+5 პასი), ლენდრი (10+6 მოხსნა).

დ: მაიო (25+5 მოხსნა+6 პასი), კარტერი (22), მერიონი (18+17 მოხსნა).

● ექსტრემალური სპორტი

# ტრაგედია ასპენში

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ გრანდ ჯანკშენში გარდაიცვალა ექსტრემალი სპორტსმენი **კალებ მური,** რომელმაც ზამთრის ექსტრემალური თამაშების დროს მიიღო ტრავმა. ამის შესახებ ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება.

რიგით მეათე ექსტრემალური თამაშები კოლორადოს შტატის ქალაქ ასპენში იმართებოდა. შეჯიბრის პირველ დღეს, 25 წლის მურმა წარუმატებლად შეასრულა ილეთი სკუტერით. სალტოს შესრულებისას, მან სწორი დაშვება ვერ განახორციელა, რის გამოც თოვლზე წაქცეულ სპორტსმენს სკუტერი თავზე დაეცა.

ინციდენტის შემდეგ, მური თავისი ფეხით მივიდა ვერტმფრენამდე და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. სპორტსმენს ძლიერი ტინის შერყევა ჰქონდა და აგრეთვე, სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა გულის გარშემო. ექიმები მურს ოპერაციისთვის ამზადებდნენ, მაგრამ ის 31 იანვარს გარდაიცვალა.

კალებ მური ზამთრის ექსტრემალური თამაშების არაერთგზის მონაწილე იყო და სკუტერით ოთხი მედალი აქვს მოპოვებული. ორგანიზატორების ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ ეს არის ტურნირის ისტორიაში პირველი სასიკვდილო შემთხვევა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კალებ მური

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| სლავია-ტრნავა | 2:1 |
| ოლესუნდი-კრისტიანსუნდი | 0:0 |
| ჰორსენსი-ვიბორგი | 1:3 |
| ლიბერეცი-ვარნსდორფი | 2:0 |
| კოტეპე-ტალინა | 0:1 |
| სონდერიისკი-ფრედერისია | 2:0 |
| ესბერგი-ვეილე | 1:1 |
| დნიპრო-კლუჟი | 2:1 |
| ლეგია-დოლჩანი | 3:3 |
| ლილესტრიომი-ბრომაპიოკარნა | 1:3 |
| სპარტა-გუანგჯოუ | 1:1 |
| ოლბორგი-ჰობრო | 1:0 |
| დი სი იუნაიტედი-მალმიო | 1:1 |
| სტარტი-ბრინი | 3:0 |
| ერებრუ-ვასტერასი | 1:1 |
| რაუფოსი-ჰიონეფოსი | 2:2 |
| ოსტერი-ვარნამო | 3:0 |
| უექსფორდი-შემროკი | 0:3 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| შეფილდი-ქოვენთრი | 1:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-ბარნეტი | 2:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ებსფლიტი-მაკლსფილდი | 0:4 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| რომა-კალიარი | 2:4 |

**სერია B**

| | |
|---|---|
| რეჯინა-ვერონა | 1:1 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ბილბაო | 2:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვერდერი-ჰანოვერი | 2:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო (დ)-დუისბურგი | 0:0 |
| უნიონი-ზანდჰაუზენი | 3:1 |
| აალენი-ბოხუმი | 2:2 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ესენი-ფერლი | 0:1 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ტულუზა-პსჟ | 0:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კაენი-ნიმი | 1:0 |
| გინგამი-ნიორი | 4:3 |
| ისტრი-ანჟერსი | 0:0 |
| ლავალი-ოსერი | 4:5 |
| ჰავრი-დიჟონი | 3:0 |
| ლანსი-გფკო აიაჩო | 2:0 |
| სედანი-კლერმონი | 1:1 |
| ტური-შატორუ | 3:1 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ეპინალი-ორლეანი | გადაიდო |
| კევილი-ვანი | 0:5 |
| ბურჟი-რედ სტარი | 0:0 |
| ამიენი-პარიზი | 3:2 |
| კოლმარი-ლე პუარი | 1:0 |
| კრეტეი-ბულონი | 2:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ვაალვიკი-ჰერენვეენი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გრააფსხაპი-ალმერი | 5:1 |
| დენ ბოში-იგლზი | 1:0 |
| ეინდჰოვენი-ექსელსიორი | 1:1 |
| ფორტუნა-ჰელმონდი | 1:1 |
| ტელსტარი-დორდრეხტი | 2:0 |
| ტოპ ოსი-ვოლენდამი | 2:2 |
| ვეენდამი-ემენი | 1:1 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეუპენი-ბრიუსელი | 1:1 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ტურკუ-ლაჰტი | 0:0 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანაგენისი-ირაკლისი | 0:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ახისარი-ქაისერი | 1:2 |
| ბეშიქთაში-ქარაბუქი | 2:2 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ბრისბენი-სენტრალ კოუსტი | 2:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| უნიკახა-ეფესი | 73:78 |
| კახა ლაბორალი-ხიმკი | 71:83 |
| პანათინაიკოსი-ბამბერგი | 76:73 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| გრაველენი-პარიზი | 81:70 |
| სტრასბური-პუატიე | 69:63 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-სიბირი | 1:7 |
| ბარისი-ავანგარდი | 5:4 |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 5:0 |
| ნეფტეხიმიკი-ტორპედო | 4:1 |
| სევერსტალი-მეტალურგი (მ) | 5:2 |
| ატლანტი-ლოკომოტივი | 5:2 |
| სკა-დინამო (მ) | 3:1 |
| ცსკა-სპარტაკი | 4:2 |
| სლოვანი-ვიტიაზი | 3:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ვენა | 1:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | 3:2 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 3:1 |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 5:4 |
| იზერლონი-კიოლნი | 6:1 |
| კრეფელდი-მიუნხენი | 6:7 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 3:4 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 6:4 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| როდოვრე-სონდერიისკე | 2:3 |
| ოლბორგი-ოდენსე | 1:2 (ბ) |
| ჰერნინგი-ფრედრიკშავენი | 4:1 |
| ჰერლევი-კოპენჰაგენი | 4:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| პოპრადი-მარტინი | 5:2 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 4:2 |
| ზვოლენი-სკალიცა | 1:3 |
| კოშიცე-ჟილინა | 7:0 |
| პიესტანი-ნიტრა | 0:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ილვესი | 1:2 |
| პელიკანსი-ესეტი | 0:3 |
| ჰპკ-კალპა | 0:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-სპარტა | 4:5 |
| ჟლინი-ლიბერეცი | 6:3 |
| კლადნო-ხომუტოვი | 2:3 (ო) |
| პლზენი-ვიტკოვიცე | 3:0 |
| ბუდეიოვიცე-ბრნო | 6:3 |
| სლავია-პარდუბიცე | 2:1 (ო) |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-სერვეტი | 5:2 |
| ცუგი-ამბრი | 6:1 |

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| ბერტენსი-საფაროვა | 6:1, 7:5 |
| ერანი-სუარეს ნავარო | 7:5, 4:6, 7:5 |
| ბარტელი-ბარტოლი | 7:6, 6:4 |
| მლადენოვიჩი-კვიტოვა | 6:3, 6:4 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| ერაკოვიჩი-ლისიცკი | 7:5, 3:6, 2:6 |
| მორიტა-ბრატჩიკოვა | 1:6, 6:3, 1:6 |
| სევასტოვა-კირსტეა | 3:6, 0:6 |
| ვესნინა-კირილენკო | 6:7, 3:6 |

**დევისის თასი**

**ყაზახეთი-ავსტრია**

| | |
|---|---|
| გოლუბევი-ჰაიდერ მაურერი | 7:6, 6:3, 7:6 |
| კოროლიოვი-მელცერი | 7:6, 6:3, 6:2 |

**საფრანგეთი-ისრაელი**

| | |
|---|---|
| ცონგა-ვაინტრაუბი | 6:3, 6:3, 4:6, 7:5 |
| გასკე-სელა | 6:3, 6:2, 6:2 |

**შვეიცარია-ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვავრინკა-როსოლი | 6:4, 6:3, 6:4 |
| ლააკსონენი-ბერდიხი | 3:6, 2:6, 2:6 |

**ბელგია-სერბეთი**

| | |
|---|---|
| გოფენი-ტროიცკი | 6:1, 6:3, 6:7, 4:6, 4:6 |
| ო. როხუსი-ჯოკოვიჩი | 3:6, 2:6, 2:6 |

**იტალია-ხორვატია**

| | |
|---|---|
| ფონინი-ჩილიჩი | გადაიდო |
| სეპი-დოდიგი | 6:2, 6:7, 6:4, 6:4 |

**არგენტინა-გერმანია**

| | |
|---|---|
| ბერლოკი-კოლშრაიბერი | 3:6, 7:5, 2:6, 6:4, 7:5 |
| მონაკო-ფ. მაიერი | 6:7, 6:3, 6:3, 6:4 |

**აშშ-ბრაზილია**

| | |
|---|---|
| კუერი-ბელუჩი | 6:3, 6:4, 6:4 |

● TV პროგრამა

**2 თებერვალი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ვერდერი-ჰანოვერი.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. პალმეირასი-სან ბერნარდო.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტურის წინ.
**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ქუინზ პარკი-ნორვიჩი (LIVE).
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ნიუკასლი-ჩელსი (LIVE).
**21:00** ბრაზილიის შოუ
**21:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ფულემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**23:45** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური. ეინდჰოვენი-დენ ჰააგი (LIVE).
**01:45** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. მაინცი-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-მაიამი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VI ტური. რეალი-ცსკა.
**17:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. VI ტური. კახა ლაბორალი-ხიმკი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. მაინცი-ბაიერნი (LIVE).
**20:30** NBA ACTION.
**21:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ჰამბურგი-აინტრახტი (LIVE).
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვეიცარია-ჩეხეთი.
**16:30** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვეიცარია-ჩეხეთი (LIVE).
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფილადელფია.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**23:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ექსეტერი-ლენსტერი.

**3 თებერვალი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური. ეინდჰოვენი-დენ ჰააგი
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**15:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**15:30** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. მაინცი-ბაიერნი.
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი (LIVE).
**19:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**20:30** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ლევერკუზენი-დორტმუნდი (LIVE).
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. სანტოსი-სან პაულუ (LIVE).
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტური. მანჩესტერ სიტი-ლივერპული.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. კორინთიანსი-მოჟი მირიმი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ნიუ ორლეანი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**17:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური. ტვენტე-უტრეხტი (LIVE).
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXI ტური. მანჩესტერ სიტი-ლივერპული (LIVE).
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-კლიპერსი (LIVE).
**00:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ნიუ ორლეანი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვეიცარია-ჩეხეთი.
**13:00** საჩოგბურთო მიმოხილვა
**13:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მონპელიე - ტულონი
**15:30** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვეიცარია-ჩეხეთი (LIVE).
**21:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-რასინგი.
**23:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 7 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 4 | 8 | (წვიმა) |
| ბათუმი | 6 | 10 | (წვიმა) |
| ფოთი | 5 | 9 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 3 | 8 | (წვიმა) |
| გორი | 0 | 5 | (თოვლჭყაპი) |
| თელავი | 3 | 7 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 1 | 6 | (წვიმა) |
| გუდაური | -10 | -2 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -8 | 1 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -2 | 3 | (თოვლი) |
| მესტია | -4 | 1 | (თოვლი) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2466 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6575 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6190 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5220 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ვიკა და რედფუ

## აზარენკას სკანდალისტი რეპერი შეუყვარდა



ვიქტორია აზარენკა

ავსტრალიის ღია პირველობაზე, რომელიც გასულ კვირას დასრულდა, 23 წლის **ვიქტორია აზარენკას** ემოციურად გულშემატკივრობდა ერთი უცნაური მამაკაცი ხუჭუჭა თმებით, წვერითა და დიდი სათვალით. ეს არის ამერიკელი რეპერი **სტეფან კენდალ გორდი**, მაგრამ ის უფრო ცნობილია თავისი სცენური ფსევდონიმით – **რედფუ**.

37 წლის ამერიკელი – საკმაოდ ექსტრავაგანტური ნატურაა. მას თავისუფლად შეუძლია ტრუსებით გავიდეს სცენაზე და მაყურებელს თავისი შიშველი უკანალი უჩვენოს. სწორედ ასეთი პერფორმანსი ჩაატარა მან რუსეთის ქალაქ სამარაში, რითაც ალაფრთოვანა ახალგაზრდა მაყურებელი, უფრო ასაკოვანი ქალბატონები კი კარგა ხანი ვერ გამოდიოდნენ შოკიდან. მელბურნში სკანდალური რეპუტაციის დიჯეისა და რეპერს ასეთი რამ არ უკადრებია - ის რეგულარულად ესწრებოდა ვიქტორიას ვარჯიშებს და ეხმარებოდა მას ჩოგნების ჩანთის ტარებაში.

*"მე შეყვარებული ვარ და არ არის მნიშვნელოვანი, როგორ შეხვდა ხალხი ჩემს არჩევანს, - განუცხადა ჟურნალისტებს აზარენკამ. – ის უჩვეულო ბიჭია, განსაკუთრებული. თითქოს სხვადასხვა სამყაროდან ვართ".*



ვიკა და რედფუ



სერგეი ბუბკა და ვიქტორია

ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა არ დაასახელა თავისი რჩეულის სახელი. რედფუც ქარაგმებით ლაპარაკობს: *"ის მთელი ჩემი ცხოვრების სიყვარულია. ის არის ნომერ პირველი".*

ვიქტორია მართლაც მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერია. ვიკამ და რედფუმ შარშან სექტემბერში, ნიუ იორკში გაიცნეს ერთმანეთი, როცა აზარენკა აშშ-ის ღია პირველობაზე თამაშობდა, სეზონის დასრულების შემდეგ კი რეპერი ვიკასთან მინსკში ჩავიდა. მათ ერთად ხედავდნენ საჩოგბურთო კორტზე და საკალათბურთო მოედანზე, გარდა ამისა, აზარენკამ ამერიკელს მისთვის საყვარელ ადგილებზე ექსკურსია მოუწყო. თუმცა რეპერი მშობლებს არ გააცნო – დედ-მამას, შესაძლოა, არ მოსწონებოდათ გოგონას არჩევანი. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი ქალიშვილი ჩოგბურთელ **სერგეი ბუბკას** ხვდებოდა.

### ნახტომი მესამე სართულიდან

ბუბკასა და აზარენკას რომანი რამდენიმე წელი გრძელდებოდა. ისინი ერთად ჩნდებოდნენ საღამოებზე და გარშემო მყოფნი ამჩნევდნენ, რომ მათ შორის დიდი სიყვარული იყო.

*"ის კარგი და კეთილი ადამიანია. და სრულიადაც არ არის კაპრიზული. მასში არაფერია ვარსკვლავური, - ჰყვებოდა ნახევარი წლის წინ უკრაინელი ჩოგბურთელი. - ჩვენ ყველაფერი შესანიშნავად გვაქვს. ვიქტორია ჩამოსული იყო კიევში, მე ის ჩემს მშობლებს გავაცანი, მათ სწრაფად იპოვეს საერთო ენა. ვფიქრობ, ამ მომენტისთვის ვიკას პრიორიტეტი – კარიერაა. მას ძალიან უნდა საუკეთესო გახდეს".*

აზარენკამ თავისას მიაღწია - საუკეთესო გახდა. ხოლო ჭოკით ხტომის ლეგენდის, უფროსი **სერგეი ბუბკას** ვაჟი ბოლომდე იმედისმომცემ ჩოგბურთელად დარჩა. ის რეიტინგის მეორე ასეულში ჩაიკარგა – "დიდი სლემის" ტურნირებზე ბუბკას აღარ იწვევდნენ. 2012 წლის ნოემბერში კი მას სულელური ამბავია შეემთხვა. უმცროსი ბუბკა მესამე სართულის ფანჯრიდან გადავარდა. ეს პარიზში მოხდა. დილით ადრე, დაახლოებით შვიდ საათზე, ახალგაზრდა ჩოგბურთელი მძიმე ტრავმებით მიიყვანეს ჟორჟ პომპიდუს სახელობის საავადმყოფოში. თავიდან ექიმები მისი სიცოცხლის გამოც კი შიშობდნენ. ბუბკა იცოცხლებს, მაგრამ უცნობია, შეძლებს თუ არა კორტზე დაბრუნებას.

ფრანგული პრესის ვერსიით, სერგეი ტურნირის დროს თავის ერთ-ერთ მეგობართან გაჩერდა. საღამოს ბიჭები კარგად გაერთნენ და დილით გაღვიძებულმა ბუბკამ აღმოაჩინა, რომ სააბაზანოში იმყოფებოდა, კარი კი გარედან იყო ჩაკეტილი. მან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ფანჯრიდან სცადა მეზობელ ოთახში გადასვლა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და ფანჯრიდან გადავარდა.

თუმცა არსებობს სხვა ვერსია. უმცროსმა ბუბკამ შეგნებულად სცადა თვითმკვლელობა. იმ მომენტისთვის ის უკვე დაშორებული იყო ვიქტორია აზარენკასთან და როგორც საჩოგბურთო წრეებში ჭორაობენ, მძიმედ გადაიტანა შეყვარებულის დაკარგვა. ამ გაყრის ინიციატორი აზარენკა ყოფილა. მოგვიანებით მან საავადმყოფოში მოინახულა ბუბკა და უთანაგრძნო მას, თუმცა მიახვედრა, რომ კავშირის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა.

ფორმულა 1



# ფერარიც წარადგინეს

თებერვლის პირველ დღეს იტალიურმა საჯინიბო „ფერარიმ" მარანელოში გამართული ოფიციალური ცერემონიის დროს თავისი ახალი მანქანა წარადგინა. ბოლიდმა მიიღო ინდექსი - F138. აქ პირველი ორი ციფრი მიმდინარე წელს ნიშნავს, „რვიანი" - ძრავაზე ცილინდრების რაოდენობას.



F138-ის სტუდიური ფოტოები გუნდის პრესსამსახურმა ცერემონიამდე ცოტა ხნით ადრე გამოაქვეყნა. ახალ მანქანაზე ვერ ვხედავთ შარშანდელი სეზონისთვის დამახასიათებელ საფეხურს ბოლიდის „ცხვირზე". მანქანა იქმნებოდა ქალაქ კიოლნში, „ტოიოტას" აეროდინამიკურ მილში და მას 2012 წლის ბოლიდის მემკვიდრეს უწოდებენ, თუმცა ბევრი ელემენტი შეიცვალა. გუნდმა ინოვაციური მიდგომა აირჩია და ამით სურს იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც გასულ სეზონში წარმოიშვა. ამის გამო, „ფერარი" საკმარისად სწრაფი არ იყო.

ცერემონია დაიწყო სპეციალური ვიდეორგოლით, რომელშიც ჩამოთვლილი იყო „ფერარის" მიღწევები. შემდეგ სცენაზე გამოჩნდა გუნდის ხელმძღვანელი **სტეფანო დომენიკალი**, რომელმაც ჟურნალისტებსა და სტუმრებს F138 წარუდგინა და მომავალი სეზონის გეგმებზე ილაპარაკა. „სკუდერიას" მიზანია სეზონის საწყისი რბოლებიდანვე გამარჯვებები და პირველობა ორივე ჩათვლაში.

ავტოსპორტი

# მრბოლელისა და მსახიობის გაყრა

ინდიკარის სერიის ოთხგზის ჩემპიონის **დარიო ფრანკიტის** ოჯახში უსიამოვნება ჩამოვარდა: ავტომრბოლი თავის მეუღლეს, ცნობილ ჰოლივუდელ მსახიობს **ეშლი ჯადს** დაშორდა. ეს უკანასკნელი აგრეთვე ჰუმანიტარული და პოლიტიკური მოღვაწე გახლავთ, დაკავებულია დიზაინით, მისდევს მოდელის კარიერას...

2001 წლიდან მოყოლებული, მსახიობი ბედნიერად ცხოვრობდა ცნობილ მრბოლელთან, მაგრამ ახლა მათ განქორწინება გადაწყვიტეს.

*„ჩვენ მივიღეთ ერთობლივი გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ, - განაცხადა წყვილმა. - სამუდამოდ დავრჩებით ოჯახად და გავაგრძელებთ ურთიერთობას, რომელიც აღსავსე იქნება სიყვარულით, პატიოსნებით და პატივისცემით. როგორც ყოველთვის იყო".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ფრანკიტი და ჯადი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608